K 24590
4

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

ოციალურ
მეცნიერებათა
სერია

ლია წულაძე



აკადემიური წერა

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

სოციალურ მეცნიერებათა სერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიური წერა

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების
მაგისტრანტებისათვის

ლია წულაძე

თბილისი
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006
© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის" (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით

OSI

The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 – 873-7-1

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 24. 590

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

თემა I. არგუმენტირებული ესე 8

თემა II. კრიტიკა 27

თემა III. ანალიტიკური რეფერატი 44

თემა IV. კვლევითი ნაშრომი 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

კურსის აქტუალობა: უმაღლესი განათლების მიღება კომპლექსური მიზნების მიღწევას ემსახურება, რომელთა შორის განმსაზღვრელი ადგილი კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარებას უკავია. ჯერ კიდევ 1948 წელს ბენჯამინ ბლუმმა და მისმა კოლეგებმა მუშაობა დაიწყეს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაზე, რაც 1956 ლოგიკურად დაგვირგვინდა ,,საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიის" შექმნით, რომელიც დღეს ბლუმის ტაქსონომიის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ტაქსონომიის ძირითადი იდეა ისაა, რომ სწავლების პროცესში სტუდენტების მიერ მიღებულ ცოდნას იერარქიული სტრუქტურა აქვს, უფრო მარტივიდან მეტად კომპლექსურის მიმართულებით. ამდენად, სტუდენტები ეტაპობრივად გადიან გარკვეულ საფეხურებს და საუნივერსიტეტო სწავლების მიზანია, ყველა საფეხურის თანმიმდევრულად დაუფლების შედეგად, სტუდენტებმა უმაღლეს საფეხურს მიაღწიონ. ამ უმაღლეს საფეხურად, ბლუმსა და მის კოლეგებს, სწორედ შეფასების უნარის განვითარება მიაჩნიათ. ქვემოთ წარმოგიდგენთ ბლუმის ტაქსონომიას, რათა უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების ილუსტრირება მოვახდინო.

ბლუმის ტაქსონომია

1. ცოდნა – ინფორმაციის ათვისება — ტერმინოლოგია, ინდივიდუალური ფაქტები, წესები, კრიტერიუმები, კატეგორიები, სტრუქტურა, პროცედურა. ცოდნა წარმოადგენს ცნებების, ლექსიკონის, კონტექსტის საფუძველს.

2. გაგება/წვდომა — ინფორმაციის გაგება — ინტერპრეტაცია, სხვა სიტყვებით გადმოცემა, არსებული მონაცემების გააზრება, განზოგადება. გაგება ასაზრისიანებს ფაქტსა და ცოდნას შორის კავშირს. ფაქტების ინტერპრეტაციის, შეჯამებისა და განზოგადების საფუძველზე, სტუდენტი სწავლობს ინფორმაციასთან მუშაობასა და მის გათავისებას.

3. გამოყენება — მიღებული ინფორმაციით პრაქტიკაში ხელმძღვანელობა —ინფორმაციისა და წესების გამოყენება ახალ სიტუაციებში, პრინციპებისა და თეორიების გამოყენება სპეციფიკურ გარემოებებში. წესისა თუ პრინციპის გამოყენება ახალ თუ უჩვეულო სიტუაციაში საშუალებას აძლევს სტუდენტს ,,გამოყენებადი" გახადოს მისი ცოდნა.

4. ანალიზი — კომპლექსური იდეების საზრისის მქონე ნაწილებად დაყოფა — მონაცემების დაჯგუფება ლოგიკურ ქვეჯგუფებად, ქვეჯგუფებს შორის ლოგიკური კავშირების დადგენა. ანალიზი ზრდის სტუდენტის მიერ შესასწავლი საკითხის გაგებასა და ათვისებას, აძლევს რა საშუალებას მოახდინოს მასალის ორგანიზება და სტრუქტურირება მის შემადგენელ კომპონენტებად. ეს ორგანიზება განსხვავებულია საგნის მიხედვით — შესაძლოა ის იყოს ლოგიკური, ასახავდეს ფიზიკურ აღწერას, ან ქვეკატეგორიებისაგან შემდგარი კლასიფიკაციის ფორმა ჰქონდეს. ანალიზი არის ის დონე, რომელიც ასახავს შესასწავლი საკითხის გაგებას/წვდომას.

5. სინთეზი — გამოცდილების ორგანიზება ახალი ფორმით — სხვადასხვა კომპონენტების საფუძველზე ახალი სტრუქტურების შექმნა, ან პრობლემის გადაჭრის ახალი გზის მოძიება; ინფორმაციის ლოგიკურ კატეგორიებად ორგანიზება. სინთეზი პროდუქტიული, შემოქმედებითი, პრობლემის გადაჭრის დონეა. ამ დონეზე სტუდენტს შეუძლია შექმნას რაიმე ახალი (მოხსენება, მოდელი, პრეზენტაცია) ადრე შეძენილი ცოდნისა და გაგების საფუძველზე.

6. შეფასება — შეფასებითი მსჯელობისათვის აუცილებელი კრიტერიუმების შემუშავება — კონკურირებად გადაწყვეტილებებს შორის შედარებითი ღირებულების დადგენა, არგუმენტსა თუ გადაწყვეტილებაში არათანმიმდევრულობის გამოვლენა, შემოქმედებითი ნაშრომების შედარება და კონტრასტის დასაბუთება, გამოყენებული კრიტერიუმების ჩვენება. შეფასება საშუალებას აძლევს სტუდენტს შეადაროს კონკურირებადი გადაწყვეტილებები, შრომის პროდუქტები, ან დაასაბუთოს ბიზნეს-გადაწყვეტილება. სხვაობა კარგ შეფასებასა და ზერელე მსჯელობას შორის ისაა, რომ პირველი გულისხმობს წინა ხუთ დონეზე შეძენილი ცოდნის, უნარების, გაგებისა და გამოცდილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებას [Richard-Amato, P.A. (1988). *Making it Happen.* NY: longman].

ბლუმის ტაქსონომიის თანახმად, ცოდნა და გაგება/წვდომა ,,ინფორმაციის შეყვანის" ეტაპია, გამოყენება და ანალიზი – აქტიური პროცესის ეტაპად მოიაზრება, სინთეზი და შეფასება – შედეგის მიღების ეტაპია, რომელიც აზროვნების პროდუქტიულ და შემოქმედებით დონეზე მიუთითებს. ნახევარი საუკუნეა, აღნიშნული პრინციპები საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემას, თუმცა ჩვენს რეალობაში ისინი ახლაღა ინერგება, რადგან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, უმაღლესი განათლება ვერ იქნებოდა ორიენტირებული კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარებაზე, ალბათ, საბჭოთა რეჟიმგამოვლილ ადამიანს საკმაოდ უცნაურად მოეჩვენება დასავლურ სამყაროში დამკვიდრებული აკადემიური წერის ძირითადი პრინციპი ,,დაიწყეთ დასკვნით", რაც გულისხმობს, რომ მწერალმა თეზისი ანუ მისი ძირითადი პოზიცია შესავალშივე უნდა წარმოადგინოს, და არა ხანგრძლივი მსჯელობით დაღლილ მკითხველს, დასკვნაში შესთავაზოს იგი; რაც ჩვეული ამბავია საბჭოთა ლიტერატურისათვის, რადგან საბჭოთა ავტორი საკმაოდ ფრთხილი უნდა ყოფილიყო საკუთარი პოზიციის გადმოცემისას, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორიც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებებია. არც ისაა საიდუმლო, რომ წლების მანძილზე ჩვენი საუნივერსიტეტო სწავლება მიმართული იყო სტუდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის პასიურ დასწავლაზე, ყოველგვარი კრიტიკული გააზრებისა თუ ანალიზის გარეშე, რაც ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი უნდა იყოს იმისა, რომ სტუდენტთა საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომები ხშირად უნებური პლაგიატის ნიმუში იყო. მაგრამ არსებულ ვითარებას უფრო მეტად ის ფაქტი ამძიმებდა, რომ, ჩვენში საუნივერსიტეტო სწავლების ძირითადი მიზანი ,,ინფორმაციის შეყვანა" .იყო, სტუდენტებისათვის დიდ სირთულე იყო აქტიური პროცესის დონეზე გადასვლა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და თითქმის შეუძლებელი ხდებოდა პროდუქტიული და შემოქმედებითი დონის მიღწევა.

აღნიშნული პრობლემის დაძლევა უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების პირობებში, განსაკუთრებით, ბოლონიის პროცესში ჩართვის შედეგად. შესაბამისად, აუცილებელ მოთხოვნად იქცა საუნივერსიტეტო სწავლებაში ისეთი კურსის შემოტანა, რომელიც სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარების განვითარებას ემსახურებოდა. სწორედ ასეთი საგანია აკადემიური წერა, რომელიც 2004/2005 სასწავლო წლიდან მოყოლებული ეკითხება თსუ-ს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებს.

კურსის მიზანი: მაგისტრატურის სტუდენტებს მთელი რიგი წერითი დავალებები ეძლევათ, რომლებიც, თუმცა განსხვავებულია პროგრამის მიხედვით, ორი საერთო თავისებურებით ხასიათდება: 1. ეს დავალებები ეტაპობრივად რთულდება და 2. ისინი ,,აკადემიურად" უნდა იყოს შესრულებული.

სწორედ ამ ორი ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურება აკადემიური წერის სასემინარო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის, რომელიც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური წერის პროგრამის საფუძველზეა აგებული და 4 ჟანრს მოიცავს:არგუმენტირებულ ესეს, კრიტიკას, ანალიტიკურ რეფერატს და კვლევით ნაშრომს, რომელიც, თავის მხრივ, ორი ძირითადი სახისაა – საბიბლიოთეკო და ექსპერიმენტული. აღნიშნული კურსი ინტერაქტიული ხასიათისაა. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ლექციის მსვლელობაში და ლექციაზევე განიხილავენ და აანალიზებენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს. ისინი ეტაპობრივად ქმნიან თითოეული ჟანრის ნაწარმოებს და, ჯგუფური შეფასების მეთოდის გამოყენებით, ლექციაზევე აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს, წინასწარ შემუშავებული შეფასების სკალების საფუძველზე.

კურსის მიზანია არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარება სტუდენტებში, აგრეთვე, არსებული თეორიული მასალისა და გამოკვლევების გამოყენება საკვლევი პრობლემის გადაჭრისა და ემპირიული კვლევის პარამეტრების განსაზღვრისათვის. ამასთან ერთად, მოცემული კურსის საფუძველზე, სტუდენტები ეცნობიან პლაგიატის თავიდან აცილებისა და ციტირების სწორ ტექნიკას, გამოყენებული ლიტერატურის მითითებას მსოფლიოში აღიარებული ფორმატის ფარგლებში და პრეზენტაციების მოწყობის ხელოვნებას.

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ თითოეული ჟანრის მიზანსა და აღწერას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანრები უნივერსიტეტში

ჟანრი	აღწერა	მიზანი
1) არგუმენტირებული ესე	არააკადემიური დებატის ორი მხარის სტრუქტურირებული ანალიზი.	მტკიცებულების ფორმულირებისა და შესაბამისი მხარდაჭერით განმტკიცების პროცესის განვითარება.
2) კრიტიკა	ერთი აკადემიური ტექსტის კრიტიკული კითხვა და წერილობითი ფორმით შეფასება.	კრიტიკული აზროვნებისა და ძირითადი არგუმენტების შეჯამება-შეფასების უნარის განვითარება.
3) ანალიტიკური რეფერატი	დებატის ძირითადი საკითხების განსაზღვრა სტუდენტისათვის შერჩეული ორი ან სამი სტატიის საფუძველზე.	დებატის ძირითადი არსის წვდომისა და წერილობითი ფორმით გადმოცემის ხელშეწყობა.
4) საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი	აკადემიური პრობლემის წერილობითი ფორმით გადაჭრა საბიბლიოთეკო გამოკვლევის საფუძველზე.	მოცემულ დისციპლინაში საკვლევი პრობლემის დაყენებისა და გადაჭრის ხელშეწყობა შესაბამისი თეორიის/ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.
5) ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი	საკუთარი გამოკვლევის ანგარიში, რომელშიც დასაბუთებულია არჩეული მეთოდოლოგია და წარმოდგენილია გამოკვლევის თითოეული ეტაპი, მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია.	საკუთარი გამოკვლევის სტრუქტურირებისა და პრეზენტაციის ხელშეწყობა აკადემიური დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად.

[შედგენილია ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) აკადემიური წერის ცენტრის მიერ შემუშავებული სქემის საფუძველზე]

აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები:

აკადემიური წერა რამდენიმე ძირითად პრინციპზეა აგებული:

- **მკითხველი**

სანამ წერას დავიწყებთ, უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვინ იქნება ჩვენი მკითხველი. მაგისტრატურის სტუდენტისათვის მკითხველი ლექტორია, რომელიც მოცემული დარგის ექსპერტია. წერით დავალებას წარმატებით რომ გაართვან თავი, სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს მკითხველის გათვითცნობიერებულობა მოცემულ საკითხში და მისი მოლოდინები, რაც, უდავოდ, გავლენას ახდენს ნაშრომის შინაარსზე. ნაგულისმევი მკითხველიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, აზრობრივად მსგავსი ორი წინადადება შეიძლება განსხვავებულ მიზანს ემსახურებოდეს. ნიმუშის სახით წარმოგიდგენთ ორ წინადადებას, რომელთაგან ერთი ფართო აუდიტორიისათვის, მეორე კი — სპეციალისტებისთვისაა დაწერილი:

- სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის გზითაც მოცემული კულტურის ღირებულებები და ნორმები თაობიდან თაობას გადაეცემა, და, რომლის საფუძველზეც ინდივიდი მოცემულ სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას ახდენს.
- პროცესს, რომლის გზითაც მოცემული კულტურის ღირებულებები და ნორმები თაობიდან თაობას გადაეცემა, და რომლის საფუძველზეც ინდივიდი მოცემულ სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას ახდენს, სოციალიზაცია ეწოდება.

- **მიზანი**

ზემოთ განხილული მაგალითი ადასტურებს, რომ მკითხველი და მიზანი ერთმანეთთან მჭიდო კავშირში იმყოფება. თუ მკითხველი მწერალზე ნაკლებ ინფორმირებულია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მწერლის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის მიწოდება (როგორც, მაგალითად, სახელმძღვანელოში). თუ მკითხველი მწერალზე მეტად ინფორმირებულია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მწერლის ძირითადი მიზანია საკუთარი ცოდნისა და ექსპერტიზის დემონსტრირება. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს მაგისტრატურის სტუდენტს, როცა წერით დავალებას ასრულებს.

- **დაიწყეთ დასკვნით**

აკადემიური წერის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, რომ ავტორმა შესავალშივე წარმოადგინოს მისი თეზისი ანუ ძირითადი პოზიცია, რაც ორ მიზანს ემსახურება: 1. ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრულობის შენარჩუნებას, რადგან ავტორმა უკვე ჩამოაყალიბა მისი პოზიცია, რაც დაეხმარება ერთი არჩეული მიმართულებით იმოძრაოს და ყველა არგუმენტი თუ ქვეარგუმენტი წარმოდგენილი პოზიციის გასამყარებლად გამოიყენოს; და 2. მკითხველისთვის თავიდანვე ნათელია ავტორის პოზიცია, ამიტომ მისთვის მარტივია როგორც ავტორის არგუმენტების შესაბამისობის შეფასება, ისე მის მოსაზრებებში ლოგიკური ხარვეზების აღმოჩენა.

- **სტრუქტურა**

ნებისმიერი ინფორმაცია განსაზღვრული სტრუქტურის საფუძველზე უნდა იყოს ორგანიზებული. ელემენტარული დონით რომ დავიწყოთ, მარტივ წინადადებასაც და მცირე ზომის პარაგრაფსაც კი საკუთარი სტრუქტურა აქვს. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, აკადემიურ წერაში ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ტიპი გამოიყენება, თუმცა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ნაშრომის ორგანიზება „პრობლემა — გადაჭრის გზა" სტრუქტურის საფუძველზე, რომელიც 4 ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

1. სიტუაციის აღწერა
2. პრობლემის იდენტიფიკაცია
3. გადაჭრის გზის აღწერა
4. გადაჭრის გზის შეფასება

[Holy, M. (1983). *On the Surface of Discourse.* London: Allen and Unwin].

- **სტილი**

აკადემიური ნაშრომი შესაბამისი სტილით უნდა იყოს შესრულებული, რომელიც არა მარტო თანმიმდევრულად უნდა იყოს დაცული მთელ ნაშრომში, არამედ აუცილებლად შეესაბამებოდეს მწერლის მიზანსა და ნაგულისხმევ მკითხველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება პროფესიული დონის მიღწევა, რადგან არაფორმალური ენით დაწერილი ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის ანგარიშიც კი, მიუხედავად კომპლექსური მონაცემების წარმოდგენისა, შესაძლოა, ზედმეტად გამარტივებული გვეჩვენოს. შესაბამისი სტილის შერჩევასთან დაკავშირებულ უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს საკითხი, თუ რა მივიჩნიოთ აკადემიურად და რა — არა. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური წერის სტილის არსებითი ნიშანია მეტყველების ნაწილებს შორის (იქნება ეს ზმნა, არსებითი სახელი, თუ სხვ.), რაც შეიძლება მეტად ფორმალურის შერჩევა; წინადადებების შედგენისას კი, უმთავრესად ფორმალური ტონის გამოყენება.

- **ლოგიკური თანმიმდევრულობა**

აკადემიურ ნაშრომში ავტორის ყველა არგუმენტი მისი ძირითადი პოზიციის გამყარებას უნდა ემსახურებოდეს, რაც ნიშნავს, რომ ყველა იდეა ლოგიკურ კავშირში უნდა იმყოფებოდეს და ავტორი არ უნდა მერყეობდეს სხვადასხვა მოსაზრებებს შორის. თუ მკითხველს უხდება უკან დაბრუნება და აზრის გასაგებად, ნაწერის რამდენჯერმე გადაკითხვა, ანდა მას უჭირს ავტორის არგუმენტების ძირითად პოზიციასთან დაკავშირება, ეს ნიშნავს, რომ ნაშრომი არათანმიმდევრული და არალოგიკურია [Swales, J.M. and Feak, C.B. (1994). *Academic Writing for Graduate Students.* The University of Michigan Press.]

აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების გაცნობის შემდეგ, უშუალოდ კურსის შინაარსზე გადავიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსის შინაარსი

თემა I. არგუმენტირებული ესე

თითქმის ყველა ჟანრის აკადემიური ნაშრომი არგუმენტირებას მოითხოვს, ვინაიდან ნებისმიერი ნაწარმოების მიზანია მკითხველის დარწმუნება, რომ რასაც ავტორი ამბობს, საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს კი მოითხოვს სათანადო სტრატეგიების შემუშავებას, რათა ავტორმა ეფექტურად გადმოსცეს თავისი მოსაზრებები და გაითვალისწინოს მკითხველის შეხედულებები და მოლოდინები. არგუმენტირების უნარი ეხმარება ადამიანს იდეების განვითარებასა და ორგანიზებაში, შეხედულებების დამაჯერებლობის შეფასებაში, ლოგიკური თანმიმდევრულობის დაცვასა და სათქმელის ნათლად და ეფექტურად წარმოდგენაში — ყველა ეს უნარი ძალიან ღირებულია აკადემიური წერის ნებისმიერი ჟანრისათვის.

არგუმენტირების თანამედროვე თეორია ბერძნულ-რომაული ტრადიციებიდან იღებს სათავეს. ბერძნებისა და რომაელებისათვის, არგუმენტი იყო დებატების გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენის გზა. ჩვენ მოგვყავს არგუმენტები არა იმიტომ, რომ ვინმეზე გაბრაზებული ვართ ან მისი არ გვჯერა, არამედ იმიტომ, რომ არგუმენტირება გვეხმარება უკეთ შევისწავლოთ როგორც საკუთარი, ისე სხვისი იდეები; შევაფასოთ საპირისპირო პოზიციები; ნათლად და აკურატულად გამოვხატოთ ჩვენი შეხედულებები; მოვახდინოთ სხვათა იდეების კრიტიკული ანალიზი. ამდენად, არგუმენტირებული ესეს ძირითადი პრინციპების ათვისება გვეხმარება სხვა ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების შექმნაშიც.

აკადემიურ წერაში არგუმენტირებული ესეს სტრუქტურირების ორი ნიმუში არსებობს, რომელთაც ქვემოთ წარმოგიდგენთ: [Smally, R.L., Ruetten, M.K. and Kozyrev, J.R. (2000). *Rifining Composition Skills: Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle and Heinle, Thomson Learning].

როგორც ვხედავთ, შესავალი და დასკვნა ორივე ნიმუშში მსგავსია, განსხვავება ძირითად ნაწილშია. პირველ შემთხვევაში, ავტორი წარმოგვიდგენს მის არგუმენტებს, რასაც ოპონენტთა არგუმენტის განხილვა და უკუგდება ახლავს. მეორე შემთხვევაში კი, ავტორი მხოლოდ ოპონენტთა შეხედულებების უკუგდებითაა დაკავებული. მართალია, ესეს სტრუქტურის ორივე ნიმუში წარმატებით გამოიყენება დასავლურ აკადემიურ წერაში, უპირატესობას მაინც პირველ ნიმუშს მივანიჭებდი, რადგან არგუმენტირებული ესეს შემთხვევაში, ჩვენი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა, და, დამაჯერებელი დასაბუთებაა (რაზეც სათაურიც მეტყველებს) და არა ოპონენტის შეხედულებების გაკრიტიკება. ამიტომ, შემდგომ მსჯელობაში მხოლოდ პირველი ნიმუშით ვიხელმძღვანელებთ. არგუმენტირებული ესეს სტრუქტურის გაცნობის შედეგ, მისი ნიმუშებიც განვიხილოთ.

ნიმუში 1

სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია

კაცობრიობამ ცივილიზაციის მიღწევამდე ხანგრძლივი გზა განვლო და ცხოველური საწყისები გადალახა. მიუხედავად ამისა, ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელია ისეთი არაადამიანური ქმედებები, რომლებიც ყოველ ჩვენგანს თავზარს სცემს. ყოველდღე არაერთი სასტიკი დანაშაული ხდება და დამნაშავეთა სამყარო სულ უფრო და უფრო იზრდება. აქედან გამომდინარე, დანაშაულის რიცხვის შემცირება და დამნაშავეთა დასჯა ყველა დროის მნიშვნელოვან პრობლემა იყო. საკითხავია, რამდენად შეუძლია ციხეს სამუდამოდ შეიფაროს საშიში დამნაშავეები და ამით საზოგადოებას მისცეს მათგან უსაფრთხოების გარანტია. და აი, ასეთ პირობებში შეიძლება დადგეს სიკვდილით დასჯის გამართლების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობაა. საჭიროა სიკვდილით დასჯა სამართლებრივ სახელმწიფოში? ნამდვილად აუცილებელია დასჯის ეს უკიდურესი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები? ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ძლიერი არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა სიკვდილით დასჯას. ყოველი ადამიანის უფლებაა იცოცხლოს და არავის არ აქვს დამნაშავის სიცოცხლის ხელყოფის ნება (თვით სამართალდამცავებსაც კი). აქედან, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ სიკვდილით დასჯა სამართლიანობის აღდგენის გაუმართლებელი საშუალებაა.

არგუმენტირებული ესეს სტრუქტურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმუში 1.

პარაგრაფი 1. შესავალი
საკითხის / პრობლემის წარდგენა და თეზისის (საკუთარი პოზიციის) შეთავაზება

პარაგრაფი 2. საფუძველმდებარე ინფორმაცია (არჩევითი)
ზოგიერთი საკითხის წარდგენას სჭირდება ნიადაგის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია მკითხველისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, ტერმინების განსაზღვრა და ა.შ.

პარაგრაფი 3. I მტკიცებულება თავისი მხარდაჭერით
(ჩვეულებრივ, არგუმენტირებული ესე შედგება 3 მტკიცებულებისაგან)

პარაგრაფი 4. II მტკიცებულება თავისი მხარდაჭერით

პარაგრაფი 5. III მტკიცებულება თავისი მხარდაჭერით

პარაგრაფი 6. მოსალოდნელი კონტრარგუმენტის უკუგდება
ოპონენტის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტის უკუგდება.

პარაგრაფი 7. დასკვნა
შეჯამება, პრობლემის გადაჭრის შეთავაზება, მოქმედებისაკენ მოწოდება, სამომავლო სურათის პროგნოზირება.

ნიმუში 2.

პარაგრაფი 1. შესავალი
საკითხის / პრობლემის წარდგენა და თეზისის (საკუთარი პოზიციის) შეთავაზება

პარაგრაფი 2. საფუძველმდებარე ინფორმაცია (არჩევითი)

პარაგრაფი 3. ოპონენტის I არგუმენტის უკუგდება

პარაგრაფი 4. ოპონენტის II არგუმენტის უკუგდება

პარაგრაფი 5. ოპონენტის III არგუმენტის უკუგდება

პარაგრაფი 6. დასკვნა
შეჯამება, პრობლემის გადაჭრის შეთავაზება, მოქმედებისაკენ მოწოდება, სამომავლო სურათის პროგნოზირება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სიკვდილით დასჯით ვერ მიიღწევა ის მიზნები, რასაც ემსახურება დასჯა საერთოდ. კერძოდ, სასჯელის ამოცანებია: სოციალური სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის გამოსწორება (რესოციალიზაცია), და ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილება (სპეციალური პრევენცია). დამნაშავის მოკვლა ვერ აღადგენს დაზარალებულის უფლებებს, აგრეთვე დასჯის ზომით შეუძლებელია კრიმინალის გამოსწორება, ხოლო რაც შეეხება ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებას, სიკვდილით დასჯა დიდ გავლენას არ ახდენს პოტენციურ დამნაშავეებზე. რუსეთში 1954 წელს შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯა მკვლელობაზე, თუმცა ამის შემდეგ მკვლელობები კი არ შემცირდა, არამედ გახშირდა.

სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი უკავშირდება შემთხვევას, როცა ადამიანს შეცდომით ედება ბრალი. ამ დროს ხდება უდანაშაულო პიროვნების მკვლელობა, რომელსაც ჰყავს ოჯახი, ახლობლები და რომელსაც შეიძლებოდა სარგებელი მოეტანა საზოგადოებისთვის. ისტორიას შემონახული აქვს ასეთი ადამიანების ხსოვნა, რომლებიც ტყუილად იქნენ დასჯილნი (არისტოტელე, ჯორდანო ბრუნო და სხვები).

გარდა კრიმინოლოგიური არგუმენტებისა, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ შეიძლება გამოვთქვათ რელიგიურ-ეთიკური არგუმენტებიც. მცნება „არა კაც-ჰკლა" ვრცელდება ყველაზე, მათ შორის, სამართალდამცავებზეც. სიცოცხლე ადამიანს ეძლევა ღმერთისგან და არავის აქვს მისი წართმევის უფლება. კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ დიდ ცოდვად ითვლება, რადგან ამით ბოროტება კი არ ისპობა, არამედ მრავლდება. წმინდა ბასილი გვარიგებს: „ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიკეთით შეგიძლია უწამლო". თუ დამნაშავე ისჯება სხვისი მკვლელობის გამო, მაშინ რა უფლება აქვს სასჯელის აღმსრულებელს ჩაიდინოს იგივე ქმედება — დამნაშავის მკვლელობა?! საზოგადოებას შეუძლია თავისუფლება შეუზღუდოს კრიმინალს, მაგრამ არ შეიძლება გადაწყვიტოს მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

შესაძლოა სარწმუნოდ გვეჩვენოს მოსაზრება, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებამ შეიძლება დანაშაულის რიცხვის ზრდა გამოიწვიოს, რამდენადაც ადამიანებს ნაკლები შიში ექნებათ კანონის წინაშე. მრავალრიცხოვანი კვლევები საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს. უფრო მეტიც, ისინი გვიჩვენებენ, რომ დანაშაული იქ უფრო ცოტაა, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. აშშ-ში სიკვდილით დასჯის აღდგენის შემდეგ მძიმე დანაშაულთა რიცხვი 42%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, მასაჩუსეტსა და ტეხასში, სადაც არ მიმართავდნენ სიკვდილით დაჯას, დანაშაულის კოეფიციენტი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ნიუ-იორკსა და ფლორიდაში, სადაც სასჯელის ამ ზომას მიმართავდნენ. არც ერთი კრიმინოლოგიური გამოკვლევა არ ადასტურებს, რომ სიკვდილით დასჯას შეუძლია დანაშაულის რიცხვის შემცირება.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სიკვდილით დასჯა სრულებითაც არ არის კრიმინალური ქმედებების ლიკვიდაციის საუკეთესო და ეფექტური საშუალება. დასჯის ასეთი უკიდურესი ზომა ვერ „აკეთილშობილებს" კრიმინალურ საზოგადოებას და ვერ იცავს ადამიანის უფლებებს. უფრო მეტიც, სიკვდილით დასჯა ისეთი შეუქცევადი პროცესია, რომელმაც შეიძლება უდანაშაულო ადამიანებიც იმსხვერპლოს. სხვისი სიცოცხლის ხელმყოფი სცოდავს არა მარტო ადამიანთა, არამედ ღმერთის წინაშეც. ჰუმანურ, სამართლებრივ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სასჯელის ეს არაადამიანური სახე. უმჯობესი იქნება, თუ სახელმწიფო მიმართავს საშიში დამნაშავეების საზოგადოებისგან იზოლაციის სხვა გზებს.

ნიმუში 2

სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია

თანამედროვე მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება სულ უფრო მეტად იღებს ჰუმანურ შინაარსს, მრავალი ისეთი ფაქტი გვხვდება, რომელიც საზოგადოებას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. გარკვეული პირების დანაშაულებრივი მოქმედებები ისეთ მასშტაბებს აღწევს, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილს შიშის ზარს სცემს. როგორც წესი ამ კატეგორიის დამნაშავეებს ათავსებენ საპატიმრო დაწესებულებებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი გარკვეული დროით იზოლირება საზოგადოებისაგან. ხშირია შემთხვევები, როცა დამნაშავე პატიმრობის პერიოდში არ დგება გამოსწორების გზაზე, პირიქით, იგი უფრო საშიში ხდება საზოგადოებისათვის და გათავისუფლების შემდეგ აგრძელებს საზოგადოების უდანაშაულო წევრებისადმი შემზარავი ზიანის მიყენებას. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მსგავსი დანაშაულებრივი ქმედე-

ბები, ვფიქრობ, სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, გამართლებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს დანაშაულთა კატეგორია, რომელიც გამოირჩევა თავისი მასსტაბურობით. საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა საქმე გვაქვს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე. ისტორიას მრავალი ისეთი ფაქტი ახსოვს, რომელმაც საზოგადოების ფართო მასების ცხოვრება უარყოფითად შეცვალა, და იგი გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი ადამიანისა (ლიდერის) თუ ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებით. ამ კატეგორიის დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა აუცილებელიც არის, რადგან საზოგადოების ჩაგრულმა ფენებმა მიიღონ არა მარტო უსაფრთხოების გარანტია, არამედ გარკვეული ემოციური მუხტი, რომელიც მათ „ჩაგრულობის" პოზიციიდან რებილიტირების საშუალებას მისცემს.

საუბარი შეიძლება „დევიანტი" ლიდერის გარკვეულ სიმბოლურობაზე, გარკვეული დანაშაულებრივი ჯგუფების ლიდერების ქცევა ჯგუფის დანარჩენი წევრების ადეკვატურ რეაქციას იწვევს ანუ ხდება ლიდერის მახასიათებელი სიმბოლოებისაკენ სწრაფვა, რაც, საერთო ჯამში ზრდის დანაშაულის ალბათობას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ამგვარი „სიმბოლოების" ფიზიკური ლიკვიდაცია აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმის შესანარჩუნებლად.

სიკვდილით დასჯის გამართლების ასახსნელად შესაძლებელია დამნაშავეთა კიდევ ერთი კატეგორიის მაგალითის გამოყენება. ბოლო დროს თანამედროვე საზოგადოება ძლიერ შეაწუხა თვითმკვლელი ტერორისტების პრობლემამ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც გამართლებული თუ გაუმართლებელი მიზნის მისაღწევად იყენებენ შემზარავ საშუალებებს. ყველაზე საშინელი „გვერდითი ეფექტი" კი, რაც ამ თვითმკვლელლი ტერორისტების ქმედებებს ახლავს, არის უდანაშაულო მსხვერპლი, ხშირად ბავშვების სახითაც. ამგვარი პირების დაკავების შემთხვევაში დაუშვებელია მათთვის „მეორე შანსის" მიცემა და ისინი დაუყოვნებლივ ინდა იქნან ლიკვიდირებულნი, რათა მათმა სიცოცხლემ დატოვებამ არ გამოიწვიოს მათი „კოლეგების" ეიფორია ტერორისტული ოპერაციების წარმატებასთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, ასეთ თემასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი საწინააღმდეგო აზრი, რომლებიც ძირითადად ჰუმანისტურ მოსაზრებებს ემყარება და რელიგიური წყაროებით საზრდოობს. თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება ლიბერალური დემოკრატია, რომელიც განსაკუთრებით „ელოლიავება" ადამიანის უფლებებს, სიცოცხლის უფლებას. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩემი პოზიცია უცვლელი რჩება და ვფიქრობ, რომ სიკვდილით დასჯა მაინც გამართლებულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით სასტიკ დანაშაულს ჩადიან და შემდეგ კი შესაძლოა გარკვეული ორგანიზაციების დაცვის ქვეშაც მოხვდნენ, რომლებიც მათი „სიცოცხლის უფლებას" დაიცავს, ამავე დროს თვითონ ართმევენ ამ „სიცოცხლის უფლებას" სხვა ადამიანებს, საზარელი დანაშაულებრივი აქტების შედეგად.

ბოროტების სიკეთით დამარცხება რელიგიური ფილოსოფიის ცენტრალური მომენტია, თუმცა განსაკუთრებით დიდი ბოროტების შემთხვევაში, ჩემი აზრით, უმჯობესია პატარა, მაგრამ ეფექტური და სწრაფად მოქმედი ბოროტების გამოყენება, ვიდრე უზარმაზარი სიკეთის დაპირისპირება, რომელიც შესაძლოა უშედეგო აღმოჩნდეს, რადგან არაადეკვატურად აღიქმება სხვადასხვა ადამიანების მიერ და თან შედეგის მისაღებად გაცილებით ხანგრძლივ პერიოდს ითვალისწინებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს არსებობა ითვალისწინებს ძალადობის გარკვეულ დონეს და შესაბამისად იგი ავტომატურად უფრო გაიზრდება „მოძალადეების" მიმართ.

სანამ უფრო დეტალურად განვიხილავთ არგუმენტირებული ესეს თითოეული ნაწილის — შესავალის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნის — თავისებურებებს, გავეცნოთ იდეების გენერაციისა და პარაგრაფების სტრუქტურირების ტექნიკას.

იდეების გენერაცია მოულოდნელი იდეებით იწყება, რაც აზროვნების სტიმულირებას უწყობს ხელს. ასეთ შემთხვევაში, ვიწყებთ გარკვეული სიტყვით თუ ფრაზით და განსაზღვრული დროის განმავლობაში, ვწერთ ყველაფერს, რაც ამ სიტყვასა თუ ფრაზასთან დაკავშირებით გვახსენდება. დანიშნული დროის ამოწურვის შემდეგ, გადავხედავთ ჩვენს ჩამონათვალს, რათა დავადგინოთ, რამდენად ლოგიკურია კავშირი წარმოდგენილ იდეებს შორის, შესაბამისად, შესაძლოა თუ არა მათი დაჯგუფება. ამ ტექნიკის გამოყენება მიზანშეწონილია, რათა არგუმენტირებული ესესთვის არგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტები ან მათი მხარდაჭერა განვავითაროთ.

როგორც წესი, მოულოდნელ იდეებს თავისუფალი წერა მოსდევს. ეს არის წერა შესვენების გარეშე. ამ შემთხვევაში იდეების მსვლელობას მივყვებით ისე, რომ არ ვზრუნავთ პარაგრაფების სტრუქტურასა და გრამატიკულ გამართულობაზე. წინა ტექნიკისაგან განსხვავებით, სადაც გარკვეულ სიტყვასა თუ ფრაზაზე, ასოციაციის გზით, მასთან დაკავშირებული სიტყვა თუ ფრაზა გვახსენდება, თავისუფალი წერა არა განყენებული იდეების გადმოცემას ემსახურება, არამედ იდეათა ლოგიკური ჯაჭვია. თავისუფალი წერისას, გარკვეული ლიმიტი უნდა დავაწესოთ დროსა და გვერდების რაოდენობაზე, და უწყვეტად ვწეროთ, სანამ მიზანს არ მივაღწევთ. ამის შემდეგ, გადავიკითხოთ ჩვენი ნაწერი და ის იდეები ამოვკრიბოთ, რაც მომავალი ნაშრომის შექმნაში დაგვეხმარება.

თავისუფალი წერის შემდგომ გაღრმავებას „ლუპირება" წარმოადგენს. როცა ერთდროულად რამდენიმე იდეა გვიჩნდება, „ლუპირება" გვეხმარება, ძირითად იდეაზე ვფოკუსირდეთ და მისი ღრმა ანალიზი მოვახდინოთ. საკითხის დასმის შემდეგ, 5-10 წუთის განმავლობაში, უწყვეტად ვწერთ ყველაფერს, რაც მასთან დაკავშირებით გვახსენდება. განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, გადავიკითხავთ ნაწერს და თითო წინადადებით ვაჯამებთ, რასაც „ლუპირების" მეორე ეტაპი მოსდევს. ამ შემთხვევაში, უკვე შეჯამებული წინადადება წარმოადგენს ჩვენთვის ძირითად ფოკუსს და ჩვენი აზრებიც მის გარშემო ტრიალებს 5-10 წუთის განმავლობაში, რასაც კვლავ თითო წინადადებით ვაჯამებთ და „ლუპირების" მესამე ეტაპს ვიწყებთ.

სავარჯიშო #1. პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს თემას. ისინი იდეების გენერაციას მოულოდნელი იდებით იწყებენ, შემდეგ 10-15 წუთის მანძილზე თავისუფალი წერით და „ლუპირებით" არიან დაკავებულნი.

იდეების გენერაციის არანაკლებ ეფექტური ტექნიკაა „რა, ვინ, სად, როდის, რატომ?" შეკითხვების დასმა, რაც საშუალებას იძლევა განსახილველი საკითხის სხვადასხვა ასპექტი ვიკვლიოთ. თუმცა, ეს ტექნიკა ძალიან პოპულარულია ჟურნალისტებს შორის, მას არანაკლები წარმატებით იყენებენ სოციალური მკვლევარნი საკვლევი პრობლემის დასმისას. ვთქვათ, სოციოლოგს სურს იკვლიოს აზარტული თამაშების პრობლემა, რათა საკითხის სხვადასხვა ასპექტი მოიცვას, მან შემდეგი შეკითხვები უნდა დასვას:

რა იწვევს აზარტული თამაშებისადმი მიჯაჭვულობას? აქ აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ითვლება აზარტულ თამაშად და რა მდგომარეობა ითვლება მის მიმართ მიჯაჭვულობად.

ვინ ხდება აზარტული თამაშებისადმი მიჯაჭვული? გონივრული იქნება, თუ ემპირიული კვლევისას, შემოვიფარგლებით კონკრეტული ჯგუფის შესწავლით, ვთქვათ, ტინეიჯერებით, რომლებიც ვერ წყდებიან სათამაშო აპარატებს.

სად თამაშობენ ხოლმე აზარტულ თამაშებს? თუ, ვთქვათ, სათამაშო აპარატების კვლევას ვირჩევთ, უმეტესად დასასვენებელ და გასართობ ცენტრებსა და კლუბებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

როდის ხდება აზარტული თამაშებით გატაცება და რა სიხშირით?

რატომ წარმოადგენს სოციალური მკვლევარისათვის ყველაზე ფუნდამენტურ შეკითხვას. კვლევის მიზანი ხომ სწორედ აზარტული თამაშებისადმი მიჯაჭვულობის მიზეზების ახსნაა [Newel, R. (2002). Constructing Questionneires in Gilbert, N. (ed.). *Researching Social Life.* London: SAGEE Publications].

რაც შეეხება იდეების ვიზუალურ გამოსახვას, საუკეთესო ტექნიკად „კლასტერი" უნდა მივიჩნიოთ. ის გვათავისუფლებს იდეების სწორხაზოვანი თანმიმევრობისაგან და ახალ ასოციაციებს იწვევს, რითაც მეტ შემოქმედებით აზროვნებას უწყობს ხელს. კლასტერის აგებისას, გვერდის ცენტრში მოვათავსებთ ძირითად საკითხს და მასთან მიმავალი ხაზებით დავაკავშირებთ შესაბამის იდეებს. შემდეგ დავადგენთ ახალ კავშირებს სხვადასხვა იდეებს შორის და მათ კატეგორიებად თუ კლასტერებად დავაჯგუფებთ:



[Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills - Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning].

სავარჯიშო #2:
სტუდენტები ვიზუალურად გამოსახავენ სავარჯიშო 1-ში წარმოდგენილ იდეებს.

ყველა ეს ტექნიკა გვეხმარება იდების გენერაციასა და მათ შორის ლოგიკური კავშირების დადგენაში. მას შემდეგ, რაც იდეები ყოველგვარი სტრუქტურის გარეშე „ჩამოყრილია" ფურცელზე, აუცილებელია მათი სტრუქტურული გამთლიანება, რაც პარაგრაფის დონეზე ხორციელდება.

პარაგრაფი წარმოადგენს წინადადებების ჯგუფს, რომელიც ერთი ძირითადი იდეის ანუ ერთი თემის განვითარებას ემსახურება. პარაგრაფი იწყება თემატური წინადადებით, რომელიც განსახილველ თემას თუ საკითხს წარადგენს. არგუმენტირებულ ესეში,

როგორც წესი, თემატური წინადადება ძირითად არგუმენტს წარმოადგენს. თემატურ წინადადებას, ჩვეულებრივ, მაკონტროლებელი იდეა ახლავს, რომელიც გამოხატავს ავტორის ემოციურ დამოკიდებულებას მოცემული საკითხის მიმართ. ნიმუშის სახით განვიხილოთ შემდეგი პარაგრაფი:

ერთ-ერთი პრობლემა, დაკავშირებული ლექციებთან, არის ის, რომ მათი მოსმენა რთული საქმეა. იმავე მასალის წაკითხვა სახელმძღვანელოში სწავლის უფრო ეფექტური გზაა, რადგან სტუდენტებს შეუძლიათ იკითხონ მანამ, სანამ მასალა მათთვის ნათელი არ გახდება. უბრალოდ, ყურადღების კონცენტრაციაც კი საკმაოდ რთულია: ადამიანებს შესწევთ უნარი მოისმინონ 400-600 სიტყვა წუთში, მაშინ როცა ყველაზე მონდომებული პროფესორი ამის მესამედსაც კი ძლივს ახერხებს. ამდენად, შეუსაბამობა სიჩქარესა და გაგების უნარს შორის, მცონარებაში აგდებს სტუდენტებს.

აქ პირველი წინადადება თემატური წინადადება, რომელიც საკითხს გვაცნობს; სიტყვა „რთული" კი მაკონტროლებელ იდეას წარმოადგენს, რადგან ის ლექციების მიმართ ავტორის ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს. თემატურ წინადადებას შესაბამისი მხარდაჭერა მოსდევს, რომელიც ავტორის ძირითადი იდეის თუ არგუმენტის განმტკიცებას ემსახურება. როგორც წესი, ის თემატურ წინადადებაში წარმოდგენილი იდეის ილუსტრირებას, ახსნას ან დასაბუთებას ახდენს. განხილულ მაგალითში, ავტორს ორი სახის მხარდაჭერა მოაქვს, რათა დაგვისაბუთოს, რომ ლექციების მოსმენა საკმაოდ „რთული საქმეა": ერთი მხრივ, ის მიიჩნევს, რომ სტუდენტისათვის უფრო მარტივი და გასაგებია, როცა თავად ეცნობა შესაბამის მასალას; მეორე მხრივ კი, ლექტორის საუბრის ტემპსა და სტუდენტის გაგების უნარს შორის შეუსაბამობა, ყურადღების გაფანტვის ძირითადი მიზეზი ხდება.

იმის მიხედვით, თუ რა ტიპის მხარდაჭერას ვიყენებთ, პარაგრაფი შიძლება იყოს ნარატიული, აღწერითი და ახსნითი. პირველი გულისხმობს შესაბამისი დეტალების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ორგანიზებას, რადგან მოგვითხრობს წარსულ თუ აწმყო ისტორიას; მეორეს მიზანია, საგნის თუ მოვლენის აღწერა, ამიტომ, მისთვის მთავარია ობიექტების სივრცითი განლაგება. ახსნითი პარაგრაფი კი სპეციფიკურ დეტალებსა და მაგალითებზე ამახვილებს ყურადღებას; მისი თემატური წინადადება ზოგად ინფორმაციას გვაწვდის, მხარდაჭერა კი — სპეციფიკური დეტალით განამტკიცებს თემატურ წინადადებას, ამიტომ ახსნითი პარაგრაფის ჩვეული თანმიმდევრობაა ზოგადიდან კერძოს მიმართულებით მოძრაობა.

რა ტიპისაც არ უნდა იყოს პარაგრაფი — ნარატიული, აღწერითი თუ ახსნითი, ის გამართულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორ ძირითად პირობას აკმაყოფილებს, კერძოდ, მთლიანობითა და ლოგიკური თანმიმდევრულობით გამოირჩევა. მთლიანობა ნიშნავს, რომ პარაგრაფში ყველა წინადადება თემატურ წინადადებასთან დაკავშირებულია და მის მხარდაჭერას ემსახურება. ლოგიკური თანმიმდევრულობა კი გულისხმობს, რომ ყველა წინადადება ლოგიკურ კავშირშია მის წინამდებარე და მომდევნო წინადადებასთან. ლოგიკური თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას დიდად უწყობს ხელს ისეთი გარდამავალი სიტყვები, როგორიცაა პირველ რიგში, მაგალითად, განსხვავებით, უფრო მეტიც, მიუხედავად, თუმცა, შესაბამისად და ა.შ.

აკადემიურ წერის სპეციალისტები გვთავაზობენ შემდეგი შეკითხვებით ვიხელმძღვანელოთ, როცა პარაგრაფის გამართულობას ვამოწმებთ:

პარაგრაფის შემოწმება

1. რა არის პარაგრაფის თემა? ახასიათებს თუ არა პარაგრაფს ზოგადიდან კერძოსაკენ სვლა? შესაძლებელია თუ არა მისი შემდგომი დაკონკრეტება?
2. რომელია პარაგრაფის ძირითადი წინადადება?
3. რომელია პარაგრაფის მაკონტროლებელი იდეა? არის ის ნათელი და ფოკუსირებული? როგორაა შესაძლებელი მისი გაუმჯობესება?
4. არის პარაგრაფი შეკრული? განამტკიცებს ყველა წინადადება მაკონტროლებელ იდეას?
5. არის პარაგრაფი ლოგიკური? ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ყველა წინადადება?
6. რომელია პარაგრაფის ყველაზე საინტერესო ნაწილი?

7. რა არის პარაგრაფის ყველაზე ძლიერი მხარე?
8. არის ეს ნარატიული, აღწერითი თუ ახსნითი პარაგრაფი?
   - მოჰყავს თუ არა ავტორს ამ ტიპის პარაგრაფისათვის შესატყვისი დეტალები, ფაქტები თუ მაგალითები?
   - არის თუ არა საჭირო დამატებითი დეტალები, ფაქტები თუ მაგალითები?
   - არის სტრუქტურა შესაფერისი ამ ტიპის პარაგრაფისათვის?

[Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills - Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning].

სავარჯიშო #3. სტუდენტები ეცნობიან სტატიას „ერთბაშად სწავლის საშიშროებანი". მასში პარაგრაფების თანმიმდევრობა არეულია; ამასთან, თითოეულ პარაგრაფში ზედმეტი წინადადებაა ჩართული, რომელიც ლოგიკურად არ შეესაბამება განსახილველ საკითხს და პარაგრაფის მთლიანობას არღვევს. პირველ რიგში, სტუდენტები თანმიმდევრულად ალაგებენ პარაგრაფებს და იღებენ ზედმეტ წინადადებებს; შემდეგ, თითოეულ პარაგრაფში გამოყოფენ თემატურ წინადადებასა დ მაკონტროლებელ იდეას; ბოლოს კი — განსზღვრავენ, რა ტიპის მხარდაჭერაა წარმოდგენილი თითოეულ პარაგრაფში.

გასამართი ნიმუში

ერთბაშად სწავლის საშიშროებანი

ქეით ელბოუ

ზოგიერთ ადამიანში ძილის რეგულარული ციკლიდან ამოვარდნას შეუძლია დროებითი ინტელექტუალური ლაფსუსების გამოწვევა, სტიმულატორებმა კი შეიძლება გამოიწვიოს მწვავე გვერდითი მოვლენები. რა ელოდება ღამის გამთენებლებს, ძნელი სათქმელია, რადგან უძილობის გავლენა ადამიანებზე მრავალგვარია. დღეს ამერიკის კოლეჯები და უნივერსიტეტები ძლიერი შეტევის ქვეშ მოხვდნენ მრავალი კუთხიდან. დევიდ ბუხჰოლცი, ნევროლოგი და ძილის თერაპევტი ჯონს ჰოპკინსის საავადმყოფოდან (ბალტიმორი) ამბობს, რომ „ზოგ ადამიანში სერიოზულ დარღვევას იწვევს ძილისათვის განკუთვნილი დროის ოდნავი შემცირებაც კი, მაშინ როცა სხვებს შეუძლიათ გაძლონ ძილის გარეშე რამდენიმე ღამე ისე, რომ ეს არც კი დაეტყობათ." ადამიანებს აგრეთვე, სხვადასხვა მინიმალური მოთხოვნილებები გააჩნიათ: ღამის ძილის ხანგრძლივობა რანჟირებს 4-დან 10 საათამდე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანმა იცოდეს, თუ რა რაოდენობით ძილი ესაჭიროება მას.

გარდა ამისა, სტუდენტებს უჩნდებათ პრობლემა კარგად გამოიძინონ გამოცდამდე. სტრესი ხშირად წარმოშობს ინსომნიას. ის უბიძგებს რეტიკულარული აქტივობის სისტემას — ტვინის იმ სტრუქტურას, რომელიც პასუხს აგებს სიფხიზლეზე, ფხიზლად იყოს ძალიან დიდხანს, რაც ხელს უშლის ძილის გამომწვევ მექანიზმებს გააკეთონ თავიანთი საქმე. რას ურჩევენ ექსპერტები სტუდენტს, რომელიც გაუთავებლად წრიალებს საწოლში ტესტის წინა ღამეს? ის უნდა ადგეს და გააკეთოს რამე რელაქსაციისათვის, ვთქვათ, ჭამოს ან უყუროს ტელევიზორს, სანამ არ დაიღლება. ბევრი სტუდენტი მიიჩნევს, რომ წლობით ტელევიზორის ყურება ხელს უშლის მათი ყურადღების კონცენტრაციას, მაგრამ მათი რეალური პრობლემაა ის, რომ ყურადღებით მოსმენა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მათ ჰგონიათ.

და ბოლოს, საუკეთესო ფორმულა, რომელსაც უნდა მისდიოს სტუდენტმა, როცა გამოცდები ახლოვდება, არის ის, რომელსაც მას წლების განმავლობაში ასწავლიან — ზომიერება. მასწავლებლებს ადანაშაულებენ, რომ ისინი კარგად არ ასწავლიან, სტუდენტებს კი იმაში, რომ ისინი კარგად არ სწავლობენ. რა თქმა უნდა, ზოგჯერ გამოცდის ჩასაბარებლად გვიწევს ძილის დროის გადაწევა, მაგრამ ნებისმიერი სერიოზული ცვლილება ძილის გრაფიკში სიფრთხილეს მოითხოვს. როგორც ბუხჰოლცი ამბობს, „მთავარია ზომიერების შენარჩუნება და არა უკიდურესობაში გადავარდნა."

შუაღამეა და სპირალურ რვეულში ფურცლების თითქმის ნახევარი ამოგლეჯილია. ორგანული ქიმიის ფორმულებით სავსე ეს ფურცლები მოფანტულია ოთახის იატაკზე. ყოველ 5 წუთში მერხზე დახრილი ფიგურა ამოგლეჯს ახალ ფურცელს, იმახსოვრებს რა რაც შეიძლება მეტს და გადააწოდებს ფურცელს მეგობარს. ასე გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში და ოთახიც ივსება ფურცლებით მას შემდეგ, რაც ორივე მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცნობა მათ. ლექციები არასოდეს გაქრება სრულად საუნივერსიტეტო სცენიდან, რადგან ისინი ეკონომიურად აუცილებელია და დიდი ხნის ტრადიცია აქვთ.

ავტორიტეტების აზრით, ადამიანთა უმრავლესობას არ უნდა აწუხებდეს დიდხანს ძილი. ზედმეტი ძილის შემდეგაც კი ტვინი აღვიძებს საკუთარ თავს, როცა მისი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. ამდენად, შეუსაბამობა სიჩქარესა და გაგების უნარს შორის მცონარებაში აგდებს სტუდენტებს. კლინიკურად დეპრესიული ადამიანები ხშირად იხანგრძლივებენ ძილბურანს, მაგრამ ნამდვილ კლინიკურ დეპრესიას ახლავს ისეთი თვალსაჩინო სიმპტომები, როგორიცაა მადის დაკარგვა, თვითშეფასების დაცემა და თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი.

სტიმულატორების ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა უფრო გაართულოს საქმე. ბევრი სტუდენტი ფიქრობს, რომ ყავის დიდი დოზა ან რამდენიმე ამფეტამინი აქტივობას ზრდის. მაგრამ ისინი სცდებიან. სინამდვილეში სტიმულატორები ნიღბავენ ინფორმაციის წვდომის, ათვისებისა და შენარჩუნების შემცირებულ უნარს. კიდევ უფრო უარესია ის, რომ ლექციების მოსმენა პასიური სწავლების ფორმაა, განსაკუთრებით გამოუცდელი სტუდენტებისათვის. ბუხჰოლცის აზრით, ,,კოფეინი ვერ გამოასწორებს კოგნიტურ დარღვევას, გამოწვეულს უძილობით. შესაძლოა, ადამიანს არ ჩაეძინოს, მაგრამ ის აღმოჩნდება ინტელექტუალური დეფიციტის წინაშე, რადგან ვერ იქნება კონ-ცენტრირებული. მას შეიძლება ჰქონდეს ,,მიკროძილი" და 5 წუთის განმავლობაში მიშტერებული იყოს ერთიდაიმავე სიტყვას." ყავის მსმელებმა უნდა გაითვალისწინონ კოფეინით ინტოქსიკაციის სინდრომიც — აღელვების, პანიკის, თავის ტკივილის და ძილის უუნარობის ერთდროული შეტევა. ადამიანების უმრავლესობამ უნდა დალიოს დაახლოებით 10 ჭიქა, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, მაგრამ ზოგი ისეთი მგრძნობიარეა, რომ 2-3 ჭიქაც ყოფნის. ამფეტამინი გაცილებით უფრო საშიშია. მისი ზედმეტი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაცია და პარანოია. დაბოლოს, როგორც ლერი ალესი, ჯონს ჰოპკინსის სამედიცინო სკოლის პროფესორი ფსიქიატრიაში აღნიშნავს, ,,თუ ვინმე მრავალი კვირის განმავლობაში იყენებს ამფეტამინებს და შემდეგ წყვეტს მათ მიღებას, ის შეიძლება ჩავარდეს მწვავე დეპრესიაში."

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ღამის სწრაფი სწავლის სესიაზე, რაც ყველა სტუდენტს გამოუცდია კოლეჯში სწავლი რაიმე პერიოდში. ახალგაზრდობის ენერგიით აღჭურვილნი, ისინი უბრალოდ იგნორირებას უწევენ მათი სხეულების ძახილს ძილისადმი, ცდილობენ რა გაფანტონ დაღლილობა ყავის დოზებით, ან ზოგჯერ წამლებითაც კი. მასწავლებლები და მშობლები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ერთბაშად სწავლას მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. სტუდენტები ხდებიან აქტიურად ჩართულნი, როცა კითხვის ქვეშ აყენებენ როგორც საკუთარ, ისე მასწავლებლის იდეებს. ძილის მოთხოვნილებებისა და სახეობების უახლესმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ისინი მართლები არიან.

სანამ ადამიანი იყენებს სტიმულატორებს, ის ვერ გამოძვრება მარტივად ღამის მთეველის მდგომარეობიდან. ჩვეულებრივ ერთი სრული ღამის მოსვენება ხსნის ძილის 48-საათიან დეპრივაციასაც კი. ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ ფხიზლად ყოფნა ერთი კვირის განმავლობაშიც კი ყოველგვარი უკუჩვენების გარეშე. მეორე ღამეს ჩვეულებრივ მატულობს REM ძილი (ანუ ძილი თვალის სწრაფი მოძრაობით) — ფაზა, როცა სიზმარი ჩნდება. იმავე მასალის წაკითხვა სახელმძღვანელოში სწავლის უფრო ეფექტური გზაა, რადგან სტუდენტებს შეუძლიათ იკითხონ მანამ, სანამ მასალა მათთვის ნათელი არ გახდება. როგორც წესი, REM ძილი სასარგებლოა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი უჩივის გრაფიკულ და შემაწუხებელ ღამის კოშმარებს, დაკავშირებულს REM-ის უეცარ ზრდასთან.

გამართული ნიმუში

ერთბაშად სწავლის საშიშროებანი

ქეით ელბოუ

შუაღამეა და სპირალური რვეულიდან ფურცლების თითქმის ნახევარი ამოგლეჯილია. ორგანული ქიმიის ფორმულებით სავსე ეს ფურცლები მოფანტულია ოთახის იატაკზე. ყოველ 5 წუთში მერხზე დახრილი ფიგურა ამოგლეჯს ახალ ფურცელს, იმახსოვრებს რა რაც შეიძლება მეტს და გადააწოდებს ფურცელს გვერდით მჯდომ მეგობარს. ასე გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში და ოთახიც ივსება ფურცლებით მას შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ორივე მეგობარი გაეცნობა მათ.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ღამის სწრაფი სწავლის სესიაზე, რაც ყველა სტუდენტს გამოუცდია კოლეჯში სწავლის რომელიმე პერიოდში. ახალგაზრდობის ენერგიით აღჭურვილნი, ისინი უბრალოდ იგნორირებას უწევენ მათი სხეულების ძახილს ძილისადმი, ცდილობენ რა გაფანტონ დაღლილობა ყავის დოზებით, ან ზოგჯერ წამლებითაც კი. მასწავლებლები და მშობლები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ერთბაშად სწავლას მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ძილის მოთხოვნილებებისა და სახეობების უახლესმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ისინი მართლები არიან.

ზოგიერთ ადამიანში ძილის რეგულარული ციკლიდან ამოვარდნას შეუძლია დროებითი ინტელექტუალური ლაფსუსების გამოწვევა, სტიმულატორებმა კი შეიძლება გამოიწვიოს მწვავე გვერდითი მოვლენები. რა ელოდება ღამის გამთენებლებს, ძნელი სათქმელია, რადგან უძილობის გავლენა ადამიანებზე მრავალგვარია. დევიდ ბუხჰოლცი, ნევროლოგი და ძილის თერაპევტი ჯონს ჰოპკინსის საავადმყოფოდან (ბალტიმორი) ამბობს, რომ „ზოგ ადამიანში ძილისათვის განკუთვნილი დროის ოდნავი შემცირებაც კი სერიოზულ დარღვევებს იწვევს, მაშინ როცა სხვებს შეუძლიათ გაძლონ ძილის გარეშე რამდენიმე ღამე და ეს არც კი დაეტყობათ." ადამიანებს, აგრეთვე სხვადასხვა მინიმალური მოთხოვნილებები გააჩნიათ: ღამის ძილის ხანგრძლივობა რანჟირებს 4-დან 10 საათამდე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანმა იცოდეს, თუ რა რაოდენობით ძილი ესაჭიროება მას.

სტიმულატორების ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა უფრო გაართულოს საქმე. ბევრი სტუდენტი ფიქრობს, რომ ყავის დიდი დოზა ან რამდენიმე ამფეტამინი აქტივობას ზრდის. მაგრამ ისინი ცდებიან. სინამდვილეში, სტიმულატორები ნიღბავენ ინფორმაციის წვდომის, ათვისებისა და შენარჩუნების შემცირებულ უნარს. ბუხჰოლცის აზრით, „კოფეინი ვერ გამოასწორებს კოგნიტურ დარღვევას, გამოწვეულს უძილობით. შესაძლოა, ადამიანს არ ჩაეძინოს, მაგრამ ის აღმოჩნდება ინტელექტუალური დეფიციტის წინაშე, რადგან ვერ იქნება კონცენტრირებული. მას შეიძლება ჰქონდეს „მიკროძილი" და 5 წუთის განმავლობაში მიშტერებული იყოს ერთიდაიმავე სიტყვას." ყავის მსმელებმა უნდა გაითვალისწინონ კოფეინით ინტოქსიკაციის სინდრომიც — აღელვების, პანიკის, თავის ტკივილის და ძილის უუნარობის ერთდროული შეტევა. ადამიანების უმრავლესობამ უნდა დალიოს დაახლოებით 10 ჭიქა, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, მაგრამ ზოგი ისეთი მგრძნობიარეა, რომ 2-3 ჭიქაც ყოფნის. ამფეტამინი გაცილებით უფრო საშიშია. მისი ზედმეტი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაცია და პარანოია. და ბოლოს, როგორც ლერი ალესი, ჯონს ჰოპკინსის სამედიცინო სკოლის პროფესორი ფსიქიატრიაში, აღნიშნავს, „თუ ვინმე მრავალი კვირის განმავლობაში იყენებს ამფეტამინებს და შემდეგ წყვეტს მათ მიღებას, ის შეიძლება მწვავე დეპრესიაში ჩავარდეს."

სანამ ადამიანი იყენებს სტიმულატორებს, ის მარტივად ვერ გამოძვრება ღამის მთეველის მდგომარეობიდან. ჩვეულებრივ, ერთი სრული ღამის მოსვენება ხსნის ძილის 48-საათიან დეპრივაციასაც კი. ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ ფხიზლად ყოფნა ერთი კვირის განმავლობაშიც კი ყოველგვარი უკუჩვენების გარეშე. მეორე ღამეს ჩვეულებრივ მატულობს REM ძილი (ანუ ძილი თვალის სწრაფი მოძრაობით) — ფაზა, როცა სიზმარი ჩნდება. როგორც წესი, REM ძილი სასარგებლოა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი უჩივის გრაფიკულ და შემაწუხებელ ღამის კოშმარებს, დაკავშირებულს REM-ის უეცარ ზრდასთან.

გარდა ამისა, სტუდენტებს უჩნდებათ პრობლემა კარგად გამოიძინონ გამოცდამდე. სტრესი ხშირად წარმოშობს ინსომნიას. ის უბიძგებს რეტიკულარული აქტივობის სისტემას — ტვინის იმ სტრუქტურას, რომელიც პასუხს აგებს სიფხიზლეზე, ფხიზლად იყოს ძალიან დიდხანს, რაც ხელს უშლის ძილის გამომწვევ მექანიზმებს გააკეთონ თავიანთი საქმე. რას ურჩევენ ექსპერტები სტუდენტს, რომელიც გაუთავებლად წრიალებს საწოლში ტესტის წინა ღამეს? ის უნდა ადგეს და გააკეთოს რამე რელაქსაციისათვის, ვთქვათ, ჭამოს ან უყუროს ტელევიზორს, სანამ არ დაიღლება.

ავტორიტეტების აზრით, ადამიანთა უმრავლესობას არ უნდა აწუხებდეს დიდხანს ძილი. ზედმეტი ძილის შემდეგაც კი ტვინი აღვიძებს საკუთარ თავს, როცა მისი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. კლინიკურად დეპრესიული ადამიანები ხშირად იხანგრძლივებენ ძილბურანს, მაგრამ ნამდვილ კლინიკურ დეპრესიას ახლავს ისეთი თვალსაჩინო სიმპტომები, როგორიცაა მადის დაკარგვა, თვითშეფასების დაცემა და თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს, საუკეთესო ფორმულა, რომელსაც უნდა მისდიოს სტუდენტმა, როცა გამოცდები ახლოვდება, არის ის, რომელსაც მას წლების განმავლობაში ასწავლიან ზომიერება. რა თქმა უნდა, ზოგჯერ გამოცდის ჩასაბარებლად გვიწევს ძილის დროის გადაწევა, მაგრამ ნებისმიერი სერიოზული ცვლილება ძილის გრაფიკში სიფრთხილეს მოითხოვს. როგორც ბუხჰოლცი ამბობს, ,,მთავარია ზომიერების შენარჩუნება და არა უკიდურესობაში გადავარდნა."

მას შემდეგ, რაც იდეების გენერაციის ტექნიკასა და პარაგრაფების სტრუქტურების ხელოვნებას გავეცანით, უშუალოდ არგუმენტირებული ესეს სტრუქტურასა და მისი თითოეული ნაწილის დახასიათებაზე გადავიდეთ:

სათაური

არგუმენტირებული ესე სათაური დასრულებული წინადადება, რომელიც აუცილებლად ორ სპირისპირო პოზიციას გამოხატავს, თუმცა ავტორის გადასაწყვეტია, თუ რომელ პოზიციის დასაბუთებას აპირებს. მაგ.: არგუმენტირებული ესეს სათაური შეიძლება იყოს „სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია" და ამ სათაურის ქვეშ ავტორი იმ პოზიციას დაასაბუთებს, რომელსაც ემხრობა — მას შეუძლია ასაბუთოს, რომ სიკვდილით დასჯა გამართლებულია ან გაუმართლებელი. მაგრამ არგუმენტირებული ესეს სათაური ვერ იქნება „თანამედროვე მსოფლიოში სიკვდილით დასჯა", რადგან მსგავსი სათაური მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალებას იძლევა და მასში არ ჩანს საპირისპირო პოზიციები, შესაბამისად, არც არგუმენტირებას მოითხოვს.

სავარჯიშო #4: სტუდენტები სთავაზობენ პედაგოგს არგუმენტირებული ესეს სათაურის ნიმუშებს და ასაბუთებენ თითოეულის შესაბამისობას.

შესავალი

შესავალი სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- „კაუჭის" ფუნქცია, რაც გულისხმობს, რომ შესავლის პირველი წინადადებები მიმართულია იმაზე, რომ დააინტერესოს, „დაიჭიროს" მკითხველი, ცდილობს რა დაარწმუნოს, რომ წარმოდგენილი ესე ღირს იმად, მკითხველმა დრო დახარჯოს მის წასაკითხად.
- საფუძველმდებარე ინფორმაციის მიწოდება. მკითხველის ყურადღების მოპოვების შემდეგ, ავტორმა მას ესეს შექმნის მიზეზი უნდა გააცნოს. მაგრამ პირდაპირ ავტორის პოზიციის წარდგენა არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ამან შეიძლება დააბნიოს მკითხველი, რომელსაც გარკვეული საფუძველმდებარე ინფორმაცია სჭირდება, რომ მომზადებული შეხვდეს ავტორის პოზიციას.
- თეზისის წარდგენა. თეზისი ავტორის ძირითად პოზიციას ნიშნავს, რომლის დასაბუთებასაც ემსახურება არგუმენტირებული ესე. როგორც წესი, თეზისი ერთი-ორი წინადადებისაგან შედგება (ფაქტიურად, ეს არის მთლიანი ესეს შეჯამება ერთი-ორი წინადადებით) და მისი მიზანია გააცნოს მკითხველს, თუ რის დასაბუთებას აპირებს ავტორი და რას შეეხება მისი ძირითადი არგუმენტები. ჩვეულებრივ, თეზისი შესავლის ბოლო წინადადებას წარმოადგენს [Leki, I. (2nd ed.). (1998). *Academic Writing. Exploring Processes and Strategies.* Cambridge: Cambridge University Press.]

სავარჯიშო #5. პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს თეზისის ნიმუშებს და სთხოვს განსაზღვრონ, თუ რომელი მათგანია არგუმენტირებადი, ამდენად, გამოდგება თეზისად. მაგალითად:

- უნივერსიტეტის სტუდენტებს სრული თავისუფლება უნდა მიეცეთ აირჩიონ მათთვის საინტერესო კურსები;
- ჩვენს უნივერსიტეტში გაცილებით მეტი სტუდენტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებში;
- 100-ბალიანი შეფასების სისტემა აკურატულად ვერ ასახავს სტუდენტთა ინტელექტუალურ მიღწევებს;
- სტუდენტების ხმა გადამწყვეტი უნდა იყოს, როცა ფაკულტეტზე პედაგოგების დატოვება-დათხოვნის საკითხი დგას;
- არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება ჩაითვალოს ესე გამოცდის

K 24.590 4

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარების ეფექტურ საშუალებად.

პირველი, მესამე და მეოთხე წინადადებები გამოდგება თეზისის ნიმუშებად, რადგან ისინი არგუმენტირებადია. მაგალითად, ერთმა მხარემ შეიძლება ასაბუთოს, რომ სტუდნეტებს სრული თავისუფლება უნდა მიეცეთ კურსების არჩევისას, მაშინ როცა მეორე მხარე შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ფაკულტეტმა თავად უნდა განსაზღვროს სტუდენტებისათვის აუცილებელი კურსები. მეორე და მეხუთე წინადადებები არ გამოდგება თეზისის ნიმუშებად, რადგან მეორე წინადადება ფაქტს წარმოადგენს, რომლის ჭეშმარიტების დასადგენად სტატისტიკური მონაცემებიც საკმარისია; მეხუთე წინადადებაში კი ავტორი არ ასაბუთებს თავის პოზიციას, შესაბამისად, საპირისპირო პოზიციის წარდგენაც აზრს მოკლებულია.

შესავლის სტრუქტურის განხილვის შემდეგ, რამდენიმე სიტყვით მის შინაარსსაც შევეხოთ. სტუდენტები ხშირად სვამენ შეკითხვას, თუ რით დაიწყონ წერა. აკადემიური წერის სპეციალისტები გვთავაზობენ ესეს შესავლის ოთხ ძირითად ვარიანტს:

- ზოგადიდან სპეციფიკურის მიმართულებით მოძრაობა. ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეს, ავტორმა გარკვეული საფუძველმდებარე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მკითხველს და თანმიმდევრულად უნდა იმოძრაოს ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით, რაც დაეხმარება მკითხველს მისდიოს მის ლოგიკას.
- დრამატული შესავალი, რომელიც პირდაპირ მოქმედების ცენტრში (სიუჟეტში) „გადაისვრის" მკითხველს
- შესაბამისი ციტატის მოხმობა, რაც პირველი წინადადებებიდანვე ემსახურება ავტორის პოზიციის განმტკიცებას
- კონტრარგუმენტით დაწყება, შემდეგ საკუთარი თეზისის შეთავაზება და მკითხველისათვის საპირისპირო პოზიციებს შორის კონტრასტის დემონსტრირება. [Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills -Rhetoric and Grammar*. Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning.]

თუ რა ტიპის შესავალს აირჩევს ავტორი, განსახილველ საკითხსა და მის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

სავარჯიშო #6. სტუდენტები ირჩევენ სათაურს სავარჯიშო 4-ში შემოთავაზებული სათაურების სიიდან და წერენ არგუმენტირებული ესეს შესავალს.

ძირითადი ნაწილი

არგუმენტების წარდგენა

არგუმენტირებული ესეს ძირითად ნაწილში ავტორი საკუთარ არგუმენტებსა და მათ მხარდაჭერას გვთავაზობს, აგრეთვე წარადგენს და უკუაგდებს ოპონენტთა სავარუდო არგუმენტს. არგუმენტების საშუალო რაოდენობაა 3-4, რადგან სამზე ნაკლები არგუმენტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ავტორმა განსახილველი საკითხის სხვადასხვა ასპექტი მოიცვას; ოთხზე მეტი არგუმენტის წარდგენისას კი, ერთი მხრივ, ავტორის ყველა არგუმენტი ვერ იქნება ერთნაირად ძლიერი და, როგორც წესი, არგუმენტების როდენობის ზრდასთან ერთად, ჩვენი ფანტაზიაც იწურება, მეორე მხრივ კი, მკითხველიც იღლება და ინტერესს კარგავს.

არ არსებობს მკაცრი წესი, თუ რა თანმიმდევრობით განვალაგოთ არგუმენტები, თუმცა შეგვიძლია გამოვიყენოთ გარკვეული ტექნიკა, რათა ისინი ეფექტურად წარმოვადგინოთ. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ არგუმენტის წარდგენის შემდეგი თანმიმდევრობა:

- სიძლიერით მეორე ადგილზე მდგომი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ყველაზე ძლიერი არგუმენტი;

ამგვარი თანმიმდევრობა დაგვეხმარება იმაში, რომ, ერთი მხრივ, დადებითი შთაბეჭდილება მოვახდინოთ მკითხველზე, ვინაიდან, როგორც წესი, ადამიანებს პირველი და ბოლო პუნქტები ყველზე უკეთ ამახსოვრდებათ, მეორე მხრივ კი, ყველაზე ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგუმენტით დასრულების შემთხვევაში, მკითხველს ვაფიქრებინებთ, რომ არათუ იდეები ამოგვეწურა, არამედ შეგვწევს უნარი კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი წარმოვადგინოთ.

არგუმენტების მოფიქრებასა და მათი სიძლიერის შეფასებაში, მომხრე-მოწინააღმდეგის სქემა დაგვეხმარება, რომლის ნიმუშსაც ქვემოთ განვიხილავთ.

თეზისი: მარიხუანის მოწევა ლეგალიზებულ უნდა იქნეს	
მომხრე	**მოწინააღმდეგე**
1. ის უმტკივნეულო გასართობია	1. ის მიჩვევას იწვევს
2. სახელმწიფოს შეუძლია მისი გაყიდვიდან შემოსავლის მიღება	2. სახელმწიფომ უნდა აკრძალოს საზიანო ნარკოტიკული საშუალებების ცირკულაცია
3. ის წამლად გამოდგება	3. მისი გავლენის ქვეშ მყოფმა ადამიანმა შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვებს
4. მრავალი ადამიანი ისედაც მოიხმარს მას	4. მის გამოყენებას მივყავართ სხვა უფრო საშიში ნარკოტიკების გამოყენებამდე

[Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills - Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning]

ამ სქემის საფუძველზე, შეგვიძლია „ჩამოვყაროთ" ორივე პოზიციის შესაბამისი არგუმენტები, დავალაგოთ ისინი სიძლიერის მიხედვით და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, თუ რომელი პოზიციის მხარდაჭერას ვაპირებთ და რატომ. გარდა ამისა, მოცემული სქემა გვეხმარება განვსაზღვროთ ოპონენტთა სავარაუდო არგუმენტებიც, ვინაიდან თითოეულ არგუმენტს შესაბამისი კონტრარგუმენტი ახლავს საპირისპირო გრაფაში.

სავარჯიშო #7. პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს არგუმენტის ნიმუშებს და სთხოვს განსაზღვრონ, თუ რომელი მათგანი გამოდგება არგუმენტად და რატომ.

მაგალითად:

- ზოგიერთი ადამიანი მუდამ საქმეს უფუჭებს სხვებს (არ გამოდგება არგუმენტად, რადგან ძალიან ზოგადია და გაურკვევლია, თუ რისი თქმა სურს ავტორს).
- დაუფიქრებელი ფანების მიერ ატეხილი აურზაური სკოლის საფეხბურთო მატჩის ჩაშლის მთავარი მიზეზია (კარგია, რადგან ზედა წინადადებაში ჩადებული აზრი უკვე დაკონკრეტებულია და ნათელია მკითხველისათვის). ამავე დროს საკამათოა, რადგან ვიღაცას შეიძლება მიაჩნდეს, რომ მატჩის ჩაშლას სხვა მიზეზები განაპირობებს).
- თანამედროვე პირობებში კორუფცია ღრმად ფესვგადგმულია საზოგადოებაში (გამოდგება თეზისად და არა არგუმენტად, რადგან ავტორის ზოგად პოზიციას გამოხატავს. არგუმენტად გამოდგება იმ შემთხვევაში, თუ მის სხვადასხვა ასპექტს დავაკონკრეტებთ, კერძოდ, ვიტყვით, რომ კორუფცია ფართოდ გავრცელებულია უმაღლესი განათლების სფეროში, და შესაბამის მხარდაჭერასაც მოვიტანთ).
- ვაშლი ხილია (არ გამოდგება არგუმენტად, რადგან ობიექტური ფაქტია წარმოდგენს)
- ვაშლი გემრიელია (არ გამოდგება არგუმენტად, რადგან გემოვნების საკითხია და ვერ იკამათებ)
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა წაახალისოს გლეხები, რაც შეიძლება მეტი ვაშლი მოიყვანონ (კარგია, რადგან შესაბამისი მხადაჭერის შემთხვვაში, შესაძლებელია მისი დასაბუთება).

სავარჯიშო #8. სტუდენტები აგებენ მომხრე-მოწინააღმდეგის სქემას სავარჯიშო 6-ში არჩეული თემის საფუძველზე. სქემების პრეზენტაცია და ჯგუფური დისკუსია.

მხოლოდ არგუმენტების წარდგენა არ არის საკმარისი იმისათვის, რათა თეზისი დასაბუთებულად ჩაითვალოს. უცილებელია, რომ არგუმენტებს შესაბამისი მხარდაჭერა ახლდეს, რადგან სწორედ ძლიერი მხარდაჭერა განაპირობებს არგუმენტის დამაჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლობას; დამაჯერებელი არგუმენტი კი, თავის მხრივ, განაპირობებს ავტორის პოზიციის სიძლიერეს.

მხარდაჭერა, შესაძლოა, სხვადასხვა სახის იყოს. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები, ცნობილ ადამიანთა ციტირება, ექსპერტთა შეფასებები, პირადი გამოცდილება და ა.შ. ავტორის მიზანია, მისი მხარდაჭერა რაც შეიძლება ეფექტური და დამაჯერებელი იყოს, და კონკრეტულად რა სახის მხარდაჭერას გამოიყენებს, კონტექსტსა და მის გემოვნებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ლიტერატურის სფეროში, ცნობილ მწერალთა ციტირება უფრო გამოდგება მხარდაჭერად, სოციალურ მეცნიერებათა სფეროში კი, სტატისტიკური მონაცემები და ექსპერტთა შეფასებები.

სავარჯიშო #9: პედაგოგი აძლევს სტუდენტებს პარაგრაფებს და სთხოვს გამოარჩიონ არგუმენტი და მისი მხარდაჭერა; ამასთან, განსაზღვრონ, თუ რა ტიპის მხარდაჭერაა წარმოდგენილი.

სავარჯიშო 1#0. სტუდენტებს შესაბამისი მხარდაჭერა მოაქვთ სავარჯიშო 8-ში წარმოდგენილი არგუმენტების გასამყარებლად.

კონტრარგუმენტის უკუგდება

არგუმენტირება აუცილებლად გულისხმობს საპირისპირო პოზიციის არსებობას. ამიტომ, მკითხველის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ავტორმა არა მარტო საკუთარი პოზიცია უნდა ახსნას და დაასაბუთოს, არამედ ოპონენტის სავარაუდო არგუმენტიც უნდა განსჭვრიტოს და უკუაგდოს. ოპონენტის არგუმენტის განხილვა და უკუგდება აუცილებელია, რადგან საზოგადოებაში იარსებებს ადამიანთა თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც საპირისპირო მოსაზრებისაა, რაც მკითხველისათვის ისედაც ცნობილია. ამ საპირისპირო აზრის გაუთვალისწინებლობა ისევ ავტორის პოზიციის სისუსტეზე მეტყველებს, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არ შესწევს უნარი „შეეჭიდოს" ოპონენტებს. თანაც, ავტორმა ოპონენტთა ყველაზე ძლიერი არგუმენტის უკუგდება უნდა სცადოს, რაც კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მკითხველს მისი პოზიციის დამაჯერებლობაში. რაც შეეხება ყველაზე ძლიერი კონტრარგუმენტის განსაზღვრას, ამაში ავტორს მომხრე-მოწინააღმდეგის სქემა დაეხმარება, სადაც მის ყოველ არგუმენტს შესაბამისი კონტრარგუმენტი ახლავს.

ოპონენტთა არგუმენტების შეფასებისას, აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- რამდენად ძლიერია ჩემი ოპონენტების არგუმენტები?
- მისაღებია ჩემთვის რომელიმე მათგანი, თუნდაც ნაწილობრივ?
- რამდენად ახლოს იდგება მკითხველი ჩემი ოპონენტების პოზიციასთან?
- ხომ არ არის რაიმე ლოგიკური სისუსტე ჩემი ოპონენტების პოზიციაში?
- ნამდვილად მივყავართ ფაქტებს იმ დასკვნებამდე, რასაც ოპონენტები გვთავაზობენ?
- ყველა ფაქტი აქვთ მათ გათვალისწინებული, თუ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი ფაქტები?
- ხომ არ არის ოპონენტთა დასკვნები გამოტანილი საკამათო განზოგადებების საფუძველზე?
- ხომ არ არის ოპონენტთა არგუმენტები მიმართული მკითხველის ემოციებზე?
- ხომ არ გვთავაზობენ ოპონენტები, რომ ესა თუ ის იდეა თუ მოქმედების ტაქტიკა კარგია მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ინდივიდები/ჯგუფები იზიარებენ მას ან იქცევიან ასე?

სავარჯიშო #11. სტუდენტები უკუაგდებენ სავარჯიშო 8-ში წარმოდგენილ კონტრარგუმენტებს.

კომპრომისური პოზიცია

არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება ოპონენტთა პოზიციის მიმართ, რომელიც ცნობილი ფსიქოლოგის კარლ როჯერსის კომუნიკაციის თეორიიდან იღებს

სათავეს. ტრადიციული არგუმენტირებისაგან განსხვავებით, ის არ ცდილობს „გამარჯვება მოიპოვოს“ ოპონენტთა პოზიციაზე, არამედ გარკვეული კომპრომისის შემოთავაზების გზით, ცდილობს დააბალანსოს საპირისპირო პოზიციები, ითვალისწინებს რა ორივე მხარის ძლიერ არგუმენტებს.

კ. როჯერსის თანახმად, მუქარა აფერხებს კომუნიკაციას. ისინი, ვინც მუქარას გრძნობენ, წყვეტენ კომუნიკაციას და აღარ უსმენენ მოსაუბრეს. გარდა ამისა, რაც უფრო მეტად შეუტევ ოპონენტს, მით უფრო ძლიერია მისი მხრიდან წინააღმდეგობაც. ამ მუქარის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ნეიტრალური, ობიექტური ტონის შენარჩუნებითა და ოპონენტისათვის იმის ჩვენებით, რომ მის პოზიციას გაგებით ეკიდები.

როჯერსისეული არგუმენტის შემადგენელი კომპონენტებია:

- მოკლე და ობიექტური თეზისი, რომელიც პრობლემის ზოგად განსაზღვრებას იძლევა;
- ოპონენტთა პოზიციის ღრმა, ამავე დროს, ნეიტრალური ანალიზი, რაც იმის გამომხატველია, რომ გაგებით ეკიდები საპირისპირო პოზიციას;
- საკუთარი პოზიციის ღრმა და ნეიტრალური ანალიზი ისე, რომ არ ასაბუთებ შენი პოზიციის უპირატესობას;
- იმის გაანალიზება, თუ რა საერთოა თქვენს პოზიციებს შორის;
- პრობლემის გადაჭრის შემოთავაზება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებს. [Hairston, M. (1982). *A Contemporary Rhetoric* (3rd ed.) Boston. Houghton Mifflin.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა

დასკვნა არგუმენტირებული ესეს უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან ის აჯამებს ავტორის პოზიციას და საბოლოო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. შესავლის მსგავსად, ისიც სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- ავტორის არგუმენტების შეჯამება თითო წინადადებით;
- თეზისის გამეორება, ოღონდ სხვა სიტყვებით, რომ ავტორმა კიდევ ერთხელ დააფიქსიროს პოზიცია, მაგრამ მკითხველისათვის მოსაბეზრებლად არ ჟღერდეს;
- პრობლემის განხილვა მომავლის ჭრილში, რაც მკითხველს საფიქრალს დაუტოვებს, ვთქვათ, თუ როგორ გამოიყენოს მოცემული ესე რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

ვინაიდან დასკვნა ძირითად ნაწილში წარმოდგენილი არგუმენტების შეჯამებას ახდენს, ყოველმხრივ უნდა მოვერიდოთ ამ ეტაპზე ახალი საკითხების წამოჭრას. თუ ვფიქრობთ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გამოგვრჩა, ახალი პარაგრაფი უნდა დავუმატოთ ძირითად ნაწილს და იქ განვიხილოთ ეს საკითხი. მხოლოდ ამის შემდეგ დავწეროთ დასკვნა, რომელიც მოდიფიცირებულ სახეს მიიღებს.

სავარჯიშო #12: სტუდენტები წერენ არგუმენტირებული ესეს დასკვნას.

სავარჯიშო #13: არგუმენტირებული ესეს პირველი ვერსიის პრეზენტაცია: სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს.

როცა არგუმენტირებული ესეს პირველი ვერსია შექმნილია, აუცილებელია მისი გამართულობის შემოწმება, რისთვისაც აკადემიური წერის სპეციალისტები შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემას გვთავაზობენ:

ესეს შემოწმება

1. იპყრობს შესავალი მკითხველის ყურადღებას?
2. რა არის ესეს თეზისი?
3. არის თეზისი ნათელი და საკმარისად დაკონკრეტებული?
4. გაქვთ რაიმე რჩევა შესავალთან ან თეზისთან დაკავშირებით?
5. რა პრინციპითაა ესე ორგანიზებული? არის მისი სტრუქტურა ეფექტური?
6. არის ესე ლოგიკური და შეკრული?
7. ყველა პარაგრაფი განამტკიცებს თეზისს?
8. გაქვთ რაიმე რჩევა პარაგრაფებთან დაკავშირებით?
9. არის არგუმენტები საკმარისად განმტკიცებული მხარდაჭერით? გაქვთ რაიმე რჩევა მხარდაჭერასთან დაკავშირებით?
10. არის საჭირო ესესთვის რაიმეს დამატება ან რაიმეს ამოღება?
11. არის დასკვნა ლოგიკური? არის ის საინტერესო? გაქვთ რაიმე რჩევა დასკვნასთან დაკავშირებით?
12. რომელია ესეს საუკეთესო ნაწილი? რომელ ნაწილს სჭირდება გაუმჯობესება?

[Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills - Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო #14: არგუმენტირებული ესეს საბოლოო ვერსიის შექმნა.

ნიმუში 1

გლობალიზაცია დადებითი პროცესია

XX საუკუნის დასაწყისიდანვე შეამჩნია მსოფლიომ ახლადგანვითარებული, სწრაფადმზარდი პროცესი. ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ვეღარ ეტეოდა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, გადადიოდა სხვა ქვეყნებში და იწვევდა მათ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უნიფიკაციას. სოციოლოგიური აზროვნება ძალზე გვიან დაფიქრდა ამ სტიქიურ პროცესზე და მას გლობალიზაცია უწოდა. ადამიანები გაუთავებლად მსჯელობენ მის მნიშვნელობაზე. ისმის უამრავი კითხვა და არსებობს უამრავი პასუხი. გლობალიზაცია წარმოადგენს უკანასკნელი პერიოდის ყველაზე ფართოდ გამოყენებულ, თუმცა ყველაზე ბუნდოვან, თეზისზე გადასვლა უფრო თვალსაჩინო და ლოგიკური უნდა იყოს! ამავე დროს, პოლიტიკურად ყველაზე ეფექტურ სიტყვას. გლობალიზაცია დღესდღეობით ნეგატიურ მოვლენად გვევლინება, რადგანაც ის არასწორი ფორმით წარიმართება.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესის ძირითადი სუბიექტი არის ამერიკის შეერთებული შტატები, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში სწორედ აშშ-ის ეკონომიკის, ტექნოლოგიის, კულტურისა და ცხოვრების წესის გლობალური გავრცელება ხდება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის — ევროპელი მოაზროვნეები მწვავედ რეაგირებენ ამ მოვლენაზე. მათ რიცხვს ეკუთვნის გერმანელი ფილოსოფოსი ულრიხ ბეკი, რომელიც ამბობს, რომ გლობალიზაციის დადებით თვისებებზე ისევე უნაყოფოა საუბარი და დისკუსია, როგორც პუდინგის კედელზე ლურსმით მიჭედება. მსოფლიო ამერიკული გლობალიზმის ხაფანგშია გაბმული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია სამუშაო ადგილების შემცირებასა და შრომის დაბალი ანაზღაურების ქვეყნებში ექსპორტს იწვევს. ეს იმ დროს, როცა უწყვეტი ეკონომიკური და ტრანსნაციონალური კონცერნებისა და სხვადასხვა მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლების ზრდის მიუხედავად, მსოფლიოში მძვინვარებს უმუშევრობის პრობლემა. გლობალიზმის ეპოქაში ეკონომიკის განვითარება ეროვნულ-სახელმწიფო კონტროლს აღარ ექვემდებარება. მაგალითად, ისეთი ჰეგემონი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ საფრანგეთი და გერმანია, დღესდღეობით აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, მიეკუთნებიან გლობალიზაციის პროცესში წაგებული ქვეყნების რიცხვს. სტატისტიკის მიხედვით, ამ ქვეყნებში უმუშევრობა სულ მცირე 30 პროცენტით გაიზარდა. გაზეთ „შპიგელის" ერთ-ერთი ნომერი ასეთი ფრაზით იწყება: „შემოსავლები მაღლა მიცოცავს, სამუშაო ადგილები მცირდება". აღმოსავლეთ გერმანიის ერთ-ერთი უმუშევარი კი წერს: „ჩვენ უკვე აღარა ვართ ადამიანები. ადამიანის სახის დაკარგვის აღწერა შეუძლებელია". ის, რომ სამუშაოს დაკარგვა „სახის დაკარგვას" იწვევს, ალბათ, მსოფლიოს საერთო ტრაგედია უნდა იყოს.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტორი, რომ გლობალიზმი, რომლის ვირუსიც მთელ მსოფლიოს შეეყარა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეროვნულ ღირებულებებს, თვითიდენტურობას, წარმოშობს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს, რაც ხშირად ომებით სრულდება. ამის მაგალითია აშშ-ერაყის ომი, რომლის მიზეზი ვითომდა მსოფლიოში დემოკრატიული პრინციპების აღიარება და განმტკიცებაა, რეალურად კი ხალხი მხოლოდ აშშ-ის ინტერესებს ეწირება. ამასთანავე ხდება უკიდურესად განსხვავებულ კულტურათა შეჯახება. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მოდერნიზაცია და დემოკრატიის დასავლური მოდელის დამკვიდრება. ავიღოთ, მაგალითად, ქალთა უფლებები. ძნელი წარმოსადგენია, რომ არაბეთის ნახევარ კუნძულის ქვეყნების ქალებმა ახლო მომავალში მიიღონ ისეთი უფლებები, რაც დასავლეთში მცხოვრებ ქალებს აქვთ. მაგალითად, საუდის არაბეთში სახლის გარეთ მყოფი ყველა ქალისათვის აუცილებელია ტრადიციული აბაიას ტარება, რომელიც ქალს მთლიანად ფარავს. ქალს აქ მანქანის მართვის უფლებასაც არ აძლევენ. ყველაზე დიდ უკმაყოფილებას დასავლური დემოკრატიის მოდელის მიმართ გამოთქვამენ ისლამური რელიგიური პარტიები და მოძრაობები, რომლებიც ხალხს სამართლიანობისა და მაღალი ზნეობის დამკვიდრებისკენ მოუწოდებენ. ასეთ პარტიების შეუძლიათ ამ მაღალი ღირებულების მქონე პრინციპების დამყარება, მაგრამ VII-VIII საუკუნის ნორმებით. მათ არაფერი ექნებათ საერთო დასავლური ტიპის დემოკრატიულ ფასეულობებთან.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ალბათ, გამოჩნდებიან საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანებიც, რომლებიც იტყვიან: რატომ ოპონირებთ ამჟამინდელ პოლიტიკურ ტენდენციებს და გლობალიზაციის პროცესებს? ის უდავოდ ეხმარება სხვა სახელმწიფოებს განვითარებასა და ერთმანეთტან მჭიდრო კავშირის დამყარებაში, ამასთანავე, ხელს უწყობს კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვრის — დემოკრატიული პროცესების განმტკიცებას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ეს ასე არ არის. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ლინდონ ლარუში ამბობს: „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა და გადაწყვიტეს ფეოდალიზმისაკენ დაბრუნება, რასაც ლამაზად „გლობალიზაცია" და „თავისუფალი ვაჭრობა" უწოდეს. როგორც ჩანს, რომის იმპერიის მაგალითით მოხიბლულებმა, ფაქტობრივად, იწყეს მსოფლიო იმპერიის შენება, რაც არის როგორც ზნეობრივი, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური სიგიჟე". რომის ამჟამინდელმა მაშენებლებმა თავიანთი მიზნების რეალიზაცია დაიწყეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის განადგურებით. მათი ამოცანაა ერთი ცენტრიდან კონტროლირებადი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც გადაწყვეტს, თუ რომელს აქვს განვითარების უფლება და რომელს ეკრძალება არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამჟამად მსოფლიოს ძირითადი ბირთვი ამერიკა ცდილობს ხელთ იგდოს მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველობა, მაგრამ როგორც ლარუში ამბობს: „ამჟამად ცხოვრებაში დამკვიდრებული უტოპია დაიმსხვრევა განვითარების ზენიტში, ისევე როგორც დაეცა რომი". რაც შეეხება დემოკრატიას, ხდება არა ზოგადად დემოკრატიის განმტკიცება, არამედ მსოფლიოში დასავლური დემოკრატია ვრცელდება, რაც სასარგებლოა მხოლოდ ამერიკისათვის და არა სხვა ქვეყნებისათვის. აშშ თავისი მიზნების მისაღწევად ყველა ხერხს და მეთოდს იყენებს და ამას თავისუფალ სიტყვასა და დემოკრატიას უწოდებს. ამის მაგალითია, უკვე ნახსენები აშშ-ერაყის ომი, რომელიც მიმართულია ნავთობით მდიდარი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად და არა მსოფლიოში მშვიდობის დასამკვიდრებლად. ვფიქრობ, ამ საეჭვო ომში უაზროდ დაღუპული უამრავი ადამიანის მაგალითი საკმაოდ ძლიერი საფუძველია იმისთვის, რომ ამგვარი დემოკრატია ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ.

ის, რომ გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, ალბათ, თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს, მაგრამ ეს მოვლენა კიდევ უფრო მტკივნეულად რომ არ შეეხოს სახელმწიფოებს, ვფიქრობ, ყოველი ერი უნდა ცდილობდეს იპოვოს მასში ქვეყნის უნიკალურობის შენარჩუნების რესურსი. ის, რომ მსოფლიოში ხდება ყველაფერი დასავლურის პოპულარიზაცია და გავრცელება, კაცობრიობა სიღატაკეს ებრძვის და, რომ ეროვნულ ღირებულებებს საფრთხე ემუქრება, ვფიქრობ, საკმაო არგუმენტებია იმისთვის, რომ გლობალიზაცია და მსოფლიოში არსებული ამჟამინდელი ტენდენციები უარყოფით პროცესად მივიჩნიოთ.

ნიმუში 2

გლობალიზაცია დადებითი პროცესია

„გლობალიზაცია ასახავს ყველა იმ პროცესს,
რომელთა მეშვეობითაც მსოფლიოს ხალხები
ერთ მსოფლიო საზოგადოებაში, გლობალურ
საზოგადოებაში ერთიანდებიან." მარტინ ელბროუ

ხშირად ახალი ტერმინი იმიტომ ხდება პოპულარული, რომ მსოფლიოში მიმდინარე ამა თუ იმ მნიშვნელოვან ცვლილებას ასახავს. ახალი იდეა ახალი ვითარების აღსაწერად არის საჭირო. 1980-იანი წლებიდან გახშირდა საუბარი გლობალიზაციაზე, რამაც ყოველდღიურ აზროვნებაშიც იჩინა თავი. ძნელია იმ მომენტის ზუსტად განსაზღვრა, როდის დაიწყო გლობალიზაცია. პერიოდიზაცია ხშირად საკამათოა, თუმცა მისი გავლენა კაცობრიობის დიდი ნაწილის ცხოვრებაზე ყველაზე ინტენსიურად 1960-იანი წლებიდან არის შესამჩნევი, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან ხდება აშკარა მისი უარყოფითი გავლენა სხვადასხვა კულტურისა თუ აღმსარებლობის ერებზე. დადგა ეროვნული სუვერენიტეტისა თუ თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემები, ერთი ზესახელმწიფოს ჰეგემონიის ზრდისა და ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნების კიდევ უფრო დასუსტების საფრთხე: ყოველივე ამან ნათლად დაგვანახა, რომ გლობალიზაცია უარყოფითი მოვლენაა. დღეს კი ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური და პრობლემურია, ვიდრე ოდესმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვეხსენება, რომ მსოფლიო მეტად მრავალფეროვანია. ხალხები განსხვავდებიან თავიანთი კულტურით, რელიგიით, ტრადიციებით, ღირებულებებითა და ცხოვრების წესით, რაც მათ საუკუნეების განმავლობაში მოსდგამთ და არც აქვთ რაიმეს შეცვლის სურვილი. ეს აიხსნება არა მათი ჩამორჩენილობით, არამედ მათი მისწრაფებით შეინარჩუნონ ის, რაც მათთვის ღირებულია და თვითიდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს. ამის მაგალითია იაპონია, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების დონით პირველია მსოფლიოში. მაგრამ ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. გლობალიზაცია, თავის მხრივ, იჭრება ამგვარ კუტურათა თავისებურებებში და გარდაქმნის მათ. შედეგად, ცალკეულ ხალხებში ხდება ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშეგნების დაკარგვა, ღირებულებათა გადაფასება, რაც მეტად მტკივნეულია ნებისმიერი ერისათვის. ეს არ ეხება მხოლოდ ქცევისა თუ ჩაცმის სტილს. ამ ტიპის ხალხების გლობალურ პროცესებში ჩართვა ხშირად გულისხმობს გარკვეულ გარდაქმნებს სოციალურ სტრუქტურაში, ქალთა გენდერული როლის ცვლილებებს და ა.შ. ეს ყოველივე პროტესტის გრძნობას აღვივებს მათში და შედეგად სხვადასხვა ფორმით არის ხოლმე გამოხატული. პროტესტის ყველაზე უკიდურესი ფორმაა ტერორიზმი, განსაკუთრებით ისლამურ ქვეყნებში, რისი მოწმენიც ხშირად გავმხდარვართ ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. ამგვარი ქმედება, რა თქმა უნდა, არ იმსახურებს გამართლებას, მაგრამ გვაფიქრებინებს, რომ ეს ხალხები ძლიერი წნეხის ქვეშ იმყოფებიან და იძულებით გარდაქმნებს განიცდიან მათ სულიერ თუ ყოფით ცხოვრებაში.

ამ უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს კიდევ ერთი ფაქტორი, სადაც მთავარ როლს სახელმწიფოთა პოლიტიკური ორიენტაცია ასრულებს. გლობალიზაცია არ ვითარდება განყენებულად, თავისთავად. მას ჰყავს ფასილიტატორი ძალა, რომლისთვისაც მომგებიანი იქნებოდა ამგვარი გლობალური პროცესის ფონზე საკუთარი ძლიერიებისა და გავლენის გავრცელება. XX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, ნათლად გამოიკვეთა მსოფლიოს ზესახელმწიფო, რომელიც საყოველთაო ჰეგემონიისაკენ მიისწრაფვის. გლობალიზაციის ერთ-ერთი განმარტებაც „ვესტერნიზაცია" სწორედ ამის აღმნიშვნელია. ამდენად გლობალიზაცია და ამერიკანიზაცია ბევრისათვის სინონიმებია. დღეს უკვე აშკარაა, თუ როგორ არღვევს ზესახელმწიფო დემოკრატიის სახელით საერთაშორისო სამართლის ნორმებს, როგორ ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი გააწყვეტილებებისა და რეზოლუციების იგნორირებას, მას შეუძლია ომიც კი დაიწყოს „დემოკრატიის სახელით". ყოველივე აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ბევრ სახელმწიფოს არ სურს მისი გავლენის სფეროში მოქცევა. თუმცა, პატარა და სუსტი ქვეყნები ხშირად იძულებულნი ხდებიან მოჩვენებითი კეთილგანწყობით მოიპოვონ ამგვარი ჰეგემონების დაინტერესება, მაგრამ, ამავე დროს, უნდა გვესმოდეს, რომ გლობალიზაცია ამ ფორმით არ არის მხოლოდ კოკა-კოლა და ჯინსები, როგორც ბევრს მიაჩნია. ეს არის ასიმილაცია მმართველობის ფორმების, სასამართლოს, განათლებისა და სხვა სისტემების გაუაზრებელი სტრუქტურული გარდაქმნა, რაც, თუნდაც საქართველოს მაგალითზე, ყოვლად მიუღებლად და დაუშვებლად მიმაჩნია.

ასევე საჭიროა შევეხოთ გლობალიზაციის ეკონომიკურ მხარეს თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა სრულიად გლობალური ხასიათი შეიძინა, მეტად აქტიურად დადგა ე.წ. მესამე სამყაროს საკითხი, რომელშიც მოიაზრება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი. განვითარებული და განვითარებადი სამყაროს ურთიერთობები ძირითადად ბატონობა — დაქვემდებარებული გამოიხატება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა მცირე, არატევადი შიდა ბაზრის მქონეა. მათი მეურნეობა არ არის დივერსიფიცირებული. ამიტომ ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი განვითარებულ ქვეყნებზე, საიდანაც შემოდის მათი ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინვესტიციები. ფინანსური სესხისა თუ დახმარების გამცემი კომპანიები გავლენას ახდენენ მათ გადაწყვეტილებებზე. ამის შედეგად, განვითარებადი ქვეყნები იძულებული ხდებიან მოახდინონ სულ უფრო დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების ექსპორტი (ხე-ტყე, წიაღისეული, ნავთობი, ნედლეული, სხვა მინერალები) დაბალ ფასად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მისაღებად. ნადგურდება ტყის საფარი და სხვა ბუნებრივი რესურები. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ხელით წარმოებაში იყო ჩაბმული ადგილობრივი მოსახლეობა, საწარმოო დანადგარების შეტანამ უმუშევრობის ზრდა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია მესამე სამყაროს ქვეყნების არა თუ განვითარებას, არამედ განვითარებული ქვეყნების მიერ ექსპლუატაციას და კიდევ უფრო გაღარიბებას

უწყობს ხელს. მარტინ ქორის განმარტებით, „გლობალიზაცია გახლავთ ის, რასაც ჩვენ მესამე სამყაროში საუკუნეების მანძილზე კოლონიზაციას ვუწოდებდით“.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ გლობალიზაციის კიდევ ერთი თანმდევი პროცესი, რაც ფაქტობრივად სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაკარგვას ნიშნავს. სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპი ვესტფალიის სისტემიდან იღებს სათავეს. ეს იყო მმართველობის სტრუქტურა, რომლის სათავეებთან სახელმწიფოებრიობისა და სუვერენულობის პრინციპები იდგა. სახელმწიფოებრიობა გულისხმობდა მსოფლიოს ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფას, რომელთაგან თითოეულს ცალკე მთავრობა მართავდა, ხოლო სუვერენულობა — თავის კუთვნილ ტერიტორიაზე ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავ და ექსკლუზიურ კონტროლს. დღეისათვის შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სუვერენიტეტის ძირეული ნორმა აღარ მოქმედებს და მისი აღდგენა გლობალიზებულ მსოფლიოში შეუძლებელია. როდესაც არსებობს ზესახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოები, სახელმწიფოები კარგავენ უფლებას დამოუკიდებლად წარმართონ თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მაგალითად, ევროსაბჭო დაჟინებით მოითხოვს საქართველოსაგან თურქი მესხების ახლო მომავალში დაბრუნებას, რაც მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებულ.

თუმცა, გლობალისტები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია პროგრესის, მოდერნიზაციისა და განვითარების წინაპირობა და გარანტია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ეხება უკვე განვითარებული ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც კიდევ უფრო ძლიერდებიან სუსტი და განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე, მათი ბუნებრივი და შრომითი რესურსების ექსპლუატაციის შედეგად, რასაც ამ ქვეყნების ეკონომიკა საბოლოო კრიზისამდე მიჰყავს. თანდათან სულ უფრო აშკარა ხდება ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები რელურად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს და მხოლოდ განვითარებული სამყაროს ინტერესებს ემსახურებიან.

რაც შეეხება კულტურულ მოდერნიზაციას, უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ ხალხის კულტურა ხშირად მათი ისტორიული განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის უშუალო ასახვაა და მისი ნებისმიერი სახით გარდაქმნა ამ ღირებულებათა დაკარგვის ტოლფასია, თუნდაც ქართველი ხალხისათვის ყველაზე დიდ საგანძურსა და ეროვნულ სიამაყეს მისი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობაა, რისი მოშლაც არა მარტო ისტორიის, არამედ ეროვნული თვითშეგნების დაკარგვის მომასწავებელია.

ამრიგად, გლობალიზაცია ის მსოფლიოს მასშტაბების მოვლენაა, რომელიც უშუალოდ ახდენს გავლენას ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროზე, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა თუ სხვა. პროცესის იმ ტემპებით განვითარების შემთხვევაში, როგორითაც ეს დღეს ხდება, სხვადასხვა ხალხებს ერთიან საზოგადოებად გარდაქმნა ემუქრება, რადგან გლობალიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, აღწევს ცალკეულ კულტურებში, ლახავს სახელმწიფოთა სუვერენულობის პრინციპს, რაც უკვე იმის მანიშნებელია, რომ იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს; იწვევს მესამე სამყაროს ქვეყნების კიდევ უფრო დასუსტებასა და დეგრადაციას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყოველივე ხდება ერთი ზესახელმწიფოს ჰეგემონიის დამკვიდრების ფასად. შედეგად კი ვიღებთ ყოვლად უმართავ პროცესებს, რაც იწვევს ცალკეული ხალხების პროტესტს გლობალიზაციისა და გლობალური მიგრაციების მიმართ. შესაძლებელია თუ არა გლობალიზაციის შეჩერება და გვაქვს თუ არა არჩევანი? ეს კითხვა განსაკუთრებით მტკივნეულია ისეთი პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მათი მთავარი საზრუნავი და პრიორიტეტი საკუთარი ენის, თვითშეგნების, კულტურული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება უნდა იყოს, რათა მათზე მთელი სისრულით არ აისახოს გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა II. კრიტიკა

კრიტიკის ჟანრის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს სხვადასხვა უნარების რთულ კომბინაციას, რომელთაგან ძირითად უნარებს წარმოადგენს:

- რაციონალობა

ჩვენ ვაზროვნებთ კრიტიკულად, როცა ვეყრდნობით გონებას და არა ემოციას; როცა ვითვალისწინებთ ყველა შესაძლო ფაქტს; როცა, პრობლემის ანალიზისას, ჩვენი მიზანია არა გამოვჩნდეთ გამარჯვებულნი, არამედ მოვძებნოთ საკუთარი ახსნა თუ გადაწყვეტილება.

- თვითანალიზი

ჩვენ ვაზროვნებთ კრიტიკულად, როცა შეგვწევს უნარი შევაფასოთ, თუ რა მოტივები უდევს საფუძვლად ჩვენს გადაწყვეტილებას და რამდენად ობიექტურნი ვართ.

- მიუკერძოებლობა

ჩვენ ვაზროვნებთ კრიტიკულად, როცა ვაფასებთ ყველა შესაძლო შედეგს; როცა ვითვალისწინებთ ყველა მხარის შეხედულებასა და პოზიციას; როცა ღია ვრჩებით ალტერნატიული ინტერპრეტაციების მიმართ; როცა უარს არ ვამბობთ არაპოპულარულ შეხედულებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ნაკლებაღიარებულია; როცა ჩვენთვის მისაღებია ახალი მოდელი თუ პარადიგმა, რადგან ის უკეთ ხსნის ფაქტებს, უფრო მარტივია, ნაკლები ხარვეზი აქვს და ა.შ.

- დისციპლინა

ჩვენ ვაზროვნებთ კრიტიკულად, როცა ვართ ზუსტები და ყველა დეტალს ვითვალისწინებთ; უარს ვამბობთ მანიპულაციაზე; ვერიდებით ზერელე შეფასებებს.

- შეფასება

ჩვენ ვაზროვნებთ კრიტიკულად, როცა ვაღიარებთ ალტერნატიულ მოსაზრებათა და გადაწყვეტილებათა ღირსებასა და უპირატესობას; როცა ჩვენი არგუმენტები სათანადო ფაქტებითაა განმტკიცებული.

ერთი სიტყვით, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები ბუნებით სკეპტიკურნი არიან; აუცილებლად აქტიურობით გამოირჩევიან, რადგან მუდმივად ცდიან სხვადასხვა ტაქტიკასა და სტრატეგიას, რათა მნიშვნელობას სწვდნენ და გაგება გააღრმავონ; გარდა ამისა, ისინი ღია არიან ახალი იდეებისა თუ პოზიციების მისაღებად; თვითკრიტიკულობით გამოირჩევიან და მუდმივად აანალიზებენ საკუთარ არგუმენტს, ამასთანავე, მუდამ მზად არიან შეეჭიდონ ოპონენტთა არგუმენტებს. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებს შესწევთ უნარი გაარჩიონ ობიექტური მონაცემების სუბიექტური ანალიზი და მისი საფუძვლიანობა შეაფასონ, რადგან, თუმცა ფაქტები ფაქტებად რჩება, მათი ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავებული იყოს [Kurland, D. (2002). *What is Critical Thinking.* Retrieved October 6, 2004. from http:/www.criticalreading.com/].

მას შემდეგ, რაც კრიტიკის ჟანრის სწავლების მიზანი განვსაზღვრეთ, თავად ნაშრომის არსსა და სტრუქტურაზე გადავიდეთ.

„კრიტიკა" წარმოადგენს მცირე ზომის ნაშრომს ერთი სტატიის ან ერთი წიგნის შესახებ. მართლია, ქართულ სინამდვილეში „კრიტიკა" გაკრიტიკების გაგებით იხმარება, რეალურად ის ფრანგული სიტყვიდან მოდის და შეფასებას გულისხმობს. შეფასება კი შეიძლება იყოს პოზიტიური, ნეგატიურიზ ან ორივეს კომბინირება, რადგან სტატიის ან წიგნის კითხვისას, როგორც წესი, ავტორის გარკვეულ მოსაზრებებს ვიზიარებთ და ვეთანხმებით, ნაწილს კი — არ ვეთანხმებით და კრიტიკულად ვუდგებით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი კრიტიკის წერის ტექნიკას ფლობდეს, რადგან, ერთი მხრივ, მისი ცოდნა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ სტუდენტმა უფრო რთული ჟანრის ნაწარმოებებს (ვთქვათ, ანალიტიკურ რეფერატს ან კვლევით ნაშრომს) გაართვას თავი; მეორე მხრივ კი, ის საუკეთესო გზაა პედაგოგისათვის შეაფასოს, თუ რამდენად ყურადღებით ეცნობა სტუდენტი საკიღხავ მასალას და რამდენად შესწევს მისი ღრმა ანალიზის უნარი.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკის წერისას, სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენელნი განსხვავებულ საკითხებზე სვამენ აქცენტს, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კრიტიკის ძირითადი ყურადღება მიმართულია იმაზე, თუ რამდენად „საინტერესოა" არგუმენტები. სოციალურ მეცნიერებებში — რამდენად გამართულია მეთოდოლოგია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი — რა შედეგებია მიებული და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი [Swales, J. M., & Feak, C. B. (1994). *Academic Writing for Graduate*

Students. Michigan: The University of Michigan Press.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ნებისმიერ სფეროში, კრიტიკა შესაბამის ანალიზსა და შეფასებას გულისხმობს; კარგი შეფასება კი, სპეციალისტთა აზრით, რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს ემყარება, კერძოდ:

- ფაქტებზეა აგებული;
- ნათელ კრიტერიუმებს იყენებს;
- საპირისპირო კრიტერიუმებს აბალანსებს;
- რეფლექციას გულისხმობს;
- შემოქმედებას მოითხოვს.

რას გულისხმობს თითოეული პუნქტი? იმისათვის, რომ შეფასება დამაჯერებელი იყოს, ის სანდო ფაქტებს უნდა ემყარებოდეს, ანუ ისეთ ფაქტებს, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია სხვების მიერ.

ნათელი კრიტერიუმების გამოყენება გულისხმობს, რომ შეფასება გარკვეულ თეორიაზეა აგებული. ის ყოველთვის გულისხმობს სხვათა შეხედულებების დამოწმებას, რაც მთლიანად კონტექსტზეა დამოკიდებული. გამოყენებეული კრიტერიუმებიდან გამომდინარე კი, სხვადასხვა დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. მაგალითად, უდავოა, რომ სტალინიზმმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას და ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, ის წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მეორე მხრივ, ის დამღუპველი აღმოჩნდა ინტელიგენციისათვის, შესაბამისად, დამანგრეველი შედეგები მოუტანა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას.

არის შემთხვევები, როცა კრიტერიუმები წინასწარ გვეძლევა; მაგალითად, ბიზნეს-მენისათვის წამყვანი კრიტერიუმია მოგებაზე ზრუნვა, სოციალური მუშაკისათვის კი — საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, თავად უნდა გადავწყვიტოთ, თუ მოცემულ სიტუაციაში რა კრიტერიუმის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი.

რადგან რამდენიმე კრიტერიუმი ერთდროულად გვეძლევა, აუცილებელი ხდება საპირისპირო კრიტერიუმთა დაბალანსება. ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი კრიტე-რიუმის გამოყენება არ არის საკმარისი, რადგან სანდო შეფასება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებას მოითხოვს. სწორედ ამის ნიმუში სტალინიზმი, რადგან მისი საბოლოო შეფასებისათვის აუცილებელია ეკონომიკური, კულტურული და სხვა დანარჩენი ფაქტორის ერთდროულად გათვალისწინება.

რეფლექსია გულისხმობს, რომ ინდივიდს შესწევს უნარი, დამოუკიდებელი აზროვ-ნების გზით, მივიდეს გადაწყვეტილებამდე და ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ როგორ და რატომ მივიდა ამა თუ იმ დასკვნამდე. როგორც წესი, რეფლექსია ჩვენს ხელთ არსებულ ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

კარგი შეფასება ყოველთვის შემოქმედებითია, რადგან ის გულისხმობს სიახლის შეტანას უკვე არსებულ ცოდნაში. აზრი არა აქვს სხვათა შეფასებების უბრალო ციტირებას ჩვენი შეხედულების მხარდასაჭერად. მართალია, მათი გამოყენება შესაძლებელია ჩვენი შეფასებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენეული შეფასება მხოლოდ სხვათა მოსაზრებების მოტანით ვერ შემოიფარგლება, ამდენად, არსებული ცოდნის იქით გასვლას გულისხმობს. ეს სწორედ ის ეტაპია, როცა ჩვენივე შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს ვახდენთ [Gutbrod, H. (2004). *University Manual. Some Ideas About the Purpose and Method of Higher Education.*]

როგორც ვხედავთ, სათანადო შეფასების განხორციელება საკმაოდ რთული საქმეა, რადგან ინდივიდის მხრიდან სოლიდურ ცოდნას, გამოცდილებას და ფანტაზიის უნარს მოითხოვს. სწორედ ამ მიზეზის გამო უნდა მიიჩნევდეს მკვლევართა დიდი ნაწილი შეფასების უნარის განვითრებას საუნივერსიტეტო სწავლების უმთავრეს მისიად [Gutbrod, H. (2004). *University Manual. Some Ideas About the Purpose and Method of Higher Education.*]

როგორ გადავდგათ პირველი ნაბიჯები ამ რთული მისიის განხორციელების გზაზე? დავიწყოთ მცირე ზომის სტატიის ანალიზითა და შეფასებით.

გარკვეულ სტატიაზე კრიტიკის შესაქმნელად, პირველ რიგში, აუცილებელია ავტორის იდეების მოკლედ შეჯამება და შემდეგ მათი კრიტიკული ანალიზი. სტატიის შესაჯამებლად, ყურადღებით უნდა წავიკითხოთ მთლიანი სტატია და დავფიქრდეთ ავტორის ძირითად არგუმენტებზე — რა არგუმენტები მოჰყავს მას და რა ფაქტების საფუძველზე ახდენს მათ მხარდაჭერას? თქვენი სიტყვებით როგორ გადმოვცემდით ავტორის არგუმენტებსა და მხარდაჭერას? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, კიდევ ერთხელ უნდა გადაიკითხოთ სტატია და დარწმუნდეთ, რომ სწორად შეაჯამეთ ავტორის

იდეები.

შემდეგი საფეხურია ტექსტის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, რისთვისაც ვარკვევთ, თუ რამდენად ლოგიკურია ავტორის არგუმენტები; რამდენად დამაჯერებელია მათი მხარდაჭერა; რამდენად მივყავართ ფაქტებს იმ დასკვნებამდე, რასაც ავტორი გვთავაზობს; ხომ არ გვახსენდება ისეთი ფაქტები, რომელთაც საპირისპირო დასკვნებამდე მივყავართ და ა.შ.

გარდა ტესტის შეჯამებისა და ანალიზისა, აუცილებელია თავად ავტორის კომპეტენტურობის შეფასებაც — წარმოადგენს ის მოცემული სფეროს ექსპერტს თუ უბრალოდ გამოცდილი მწერალია, რომელიც სხვადასხვა სფეროში წერს? როგორ დაასაბუთებდით ამას? ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როცა ინფორმაციის სანდოობას ვაფასებთ. ამიტომ, გადამწყვეტია, თუ სად არის სტატია მოთავსებული. თუ ის სამეცნიერო ჟურნალსა ან კრებულშია მოთავსებული, შეგვიძლია უფრო მშვიდად იყოთ, რადგან იცით, რომ ასეთ ჟურნალსა თუ კრებულს აუცილებლად ჰყავს რედაქტორი, რომელიც დარგის სპეციალისტია, ამასთან, ამოწმებს მას ექსპერტთა ჯგუფიც. მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდოთ პოპულრული ჟურნალის, განსაკუთრებით კი, ინტერნეტის მასალას, რადგან გაგიჭირდებათ მათში წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის დადგენა.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ სანამ უშუალოდ კრიტიკის წერას შეუდგებოდეთ, აუცილებელია კრიტიკული თვალით გადახედოთ ტექსტს. კრიტიკული კითხვა სხვადასხვა ტექნიკას აერთიანებს, რაც, პირობითად, სამ საფეხურად შეიძლება დაიყოს: ტექსტის წინასწარი გაცნობა, უშუალოდ კითხვის პროცესი და წაკითხულის გაანალიზება.

სანამ კითხვას დაიწყებთ, უნდა გაიაზროთ, თუ რა მიზნით კითხულობთ ტექსტს: გარკვეული ინფორმაცია გჭირდებათ ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რომელსაც ნაკლებად იცნობთ? ფაქტები და დეტალები გჭირდებათ თქვენი არგუმენტების მხარდასაჭერად? თქვენს მიდგომას ადარებთ სხვების მიდგომებს? როცა მიზანი ნათლად გაქვთ გაცნობიერებული, ტექსტის სწორედ იმ ასპექტებზე მოახდენთ ფოკუსირებას, რომლებიც თქვენთვის მნიშვნელოვანია და ფუჭად არ გაფლანგავთ დროს.

თქვენი მიზნის გაცნობიერების შემდეგ, თვალი უნდა გადაავლოთ ტექსტს. რათა ავტორის მიზანი (რას ცდილობს ავტორი — ინფორმაციის მოწოდებას, ახნას, დასაბუთებას?) და ნაშრომის შექმნის კონტექსტი (სად და როდის შეიქმნა ნაწარმოები, ვინ არის მისი ნაგულისხმევი მკითხველი) დაადგინოთ, აგრეთვე, მის ზოგად შინაარსს გაეცნოთ. როგორც წესი, საკვანძო იდეები თემატურ წინადადებებშიცაა ჩადებული, ეს უკანასკნელნი კი პარაგრაფების დასაწყისშია მოთავსებული. ამდენად, ნაშრომის შესახებ წარმოდგენა რომ შეგექმნათ, პარაგრაფების პირველ წინადადებებს, აგრეთვე, ანოტაციასა და დასკვნას გადახედეთ. ამასთან, დააკვირდით, ხომ არ არის ტექსტში ქვესათაურები; ყოველი ქვესათაური შინაარსობრივ სექციას გამოყოფს, რაც დაგეხმარებათ ავტორის იდეების ლოგიკურ მსვლელობას მისდიოთ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ტექსტის წინასწარი გაცნობისას, სამ ძირითად ასპექტზე ამახვილებთ ყურადღებას:

1. საკუთარი მიზნის გაცნობიერება

- თქვენი მიზანია ინფორმაციის მოძიება თუ დეტალური ანალიზი?
- როგორ დაგეხმარებათ ტექსტი მიზნის მიღწევაში?

2. ავტორის მიზნის, ნაშრომის შექმნის კონტექსტისა და ნაშრომის ზოგადი შინაარსის გაცნობა.

- რას გეუბნებათ სათაური?
- რა იცით იმის შესახებ, თუ სად, როდის და ვისთვის დაწერ სტატიას?
- რას გეუბნებათ სტატიის შინაარსზე ავტორის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვა თუ შემაჯამებელი ინფორმაცია?

3. ტექსტის გადახედვა

- ნათელია თუ არა ტექსტის სტრუქტურა — შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა?
- რა არგუმენტებს გთავაზობთ ავტორი?
- რა ფაქტების საფუძველზე ახდენს ავტორი მისი არგუმენტების მხარდაჭერას (სტატისტიკა, ექსპერტთა შეფასებები, ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები...)?

მომდევნო საფეხურია უშუალოდ კითხვის პროცესი. რა მიზნითაც არ უნდა კითხულობდეთ ტექსტს, თქვენს წინაშე მუდამ იდგება სამი ძირითადი ამოცანა: ყველაზე

მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიკაცია, მათი ლოგიკური თავსებადობის დადგენა და თქვენი საპასუხო რეაქცია. ამ საფეხურებს ყოველდღიურ ცხოვრებაში გავდივართ, ვთქვათ, როცა გარკვეულ განცხადებას ან სარეკლამო აბრაზე წარწერას ვეცნობით. მაგრამ სამეცნიერიო ტექსტის თავისებურება ისაა, რომ ის გაცილებით მეტად კომპლექსურია. აქ არ გამოგვდგება ინფორმაციის უბრალო მოსმენა თუ წაკითხვა, რასაც ყოველდღიური ინტერაქციისას ვაკეთებთ, არმედ აუცილებლად დაგვჭირდება ტექსტის ანოტაცია, წინადადებების ხაზგასმა და მათზე კომენტარის დართვა, პარაგრაფებს შორის ლოგიკური კავშირების დადგენა და ა.შ.

კრიტიკული კითხვისას, ბოლო საფეხური ნაშრომის ორგანიზება, ანალიზი და შეფასებაა. მას შემდეგ, რაც ტექსტი წაიკითხეთ და მისი ანოტაცია მოახდინეთ, თქვენი მიზანია უფრო დეტალურად ჩაუღრმავდეთ მის სტრუქტურასა და შინაარსს, რათა შეაფასოთ რიგორ წარმატებით მიაღწია ავტორმა მიზანს. როგორც წესი, ტექსტის ანალიზი იმით იწყება, რომ მკითხველი აფასებს ავტორის არგუმენტების დამაჯერებლობას და მათი მხარდაჭერის სიძლიერეს, აგრეთვე, იმას, თუ რამდენად ეფექტურია ის თანმიმდევრობა, რომლითაც ავტორი მის არგუმენტებს წარმოგვიდგენს. ნაშრომის ანალიზის ძალიან მოსახერხებელი გზაა ტექსტის სტრუქტურისა და შინაარსის გეგმის სახით გადმოცემა, სადაც ავტორის ძირითადი მოსაზრებებია შეჯამებული. სტატიის სტრუქტურული გეგმა დაგეხმარებათ უკეთ მისდიოთ ავტორის ლოგიკას; ამასთან, მარტივად შეამჩნიოთ ლოგიკური არათანმიმდევრულობა ავტორის იდეებში. მას შემდეგ, რაც სტრუქტურული გეგმა მზადაა, საჭიროა მეტად ჩაუღრმავდეთ ნაშომის ძირითად სექციებს. დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა, თუ რას ასაბუთებს ავტორი და რატომ მოახდინა მან ტექსტის ამ და არა სხვა ფორმით ორგანიზება. რის მიღწევას ცდილობს ის შესავალში? რა ფუნქცია ენიჭება ცალკეულ პარაგრაფებს? და ა.შ. აქვე უნდა შეაფასოთ, თუ რამდენად აკადემიურია ავტორის ტონი და რამდენად სტილისტურად გამართულია ნაშრომი. და ბოლოს, შეაფასეთ, რამდენად უპასუხა ავტორმა ნაშრომის შესავალაში დასმულ შეკითხვებს და რა შეგემატათ ამ სტატიის წაკითხვის საფუძველზე [Longman, A.W. (2001). *Critical Reading Techniques*. A Division of Parson Education. Retrieved September 15,2004. from http:/www.awlonline.com]

როგორც ვხედავთ, კრიტიკული კითხვა გვეხმარება საკმაოდ დეტალურად ჩავუღრმავდეთ ნაწარმოებს და სრულყოფილად გავაანალიზოთ იგი. მხოლოდ ამ ღრმა ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი უშუალოდ წერის პროცესზე გადასვლა, რომელიც ძალიან მოკლედ შემდეგი სახით შეგვიძლია აღვწეროთ:

- ავტორის იდეების წარმოდგენა და ახსნა, ტექსტიდან შესაბამისი მონაკვეთების მოხმობის საფუძველზე
- საკუთარი შეხედულებების გადმოცემა — რას ფიქრობთ ავტორის არგუმენტის შესახებ და რატომ? აღწერეთ ის საკითხები, რომლებიც თქვენში ყველაზე ძლიერ რეაქციას იწვევს, იქნება ეს რეაქცია პოზიტიური თუ ნეგატიური; თითოეული საკითხის გადმოცემისას, მოუხმეთ შესაბამის მონაკვეთს ტექსტიდან (თქვენ შეგიძლიათ შეაჯამოთ, ციტირება ან პერიფრაზირება მოახდინოთ).
- თითოეულ სკითხს დაურთეთ საკუთარი კომენტარი თუ შეფასება.

აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი; გაცილებით მარტივია ავტორის იდეების გადმოცემა და რთულია საკუთარი შეფასების წარდგენა, რომელსაც შესაბამისი მხარდაჭერა ახლავს და სათანადოდ დასაბუთებულია. ამიტომ, როგორ წესი, სტუდენტები ავტორის არგუმენტებს წარმოადგენენ ხოლმე და ერთი-ორი წინადადებით თუ გამოხატავენ საკუთარ პოზიციას მათთან მიმართებაში, რომელიც უფრო „ვეთანხმები-არ ვეთანხმები"-ის წააგავს, ვიდრე დასაბუთებულ პოზიციას. კარგი შეფასება კი სათანადო მხრდაჭერას საჭიროებს, რათა სტუდენტმა დაუსაბუთოს მკითხველს, რომ ავტორის იდეების მისეული შეფასება სანდო და დამაჯერებელია, რადგან შესაბამის ფაქტებსა თუ თეორიებზეა აგებული. ამ პირობას თუ გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ სტუდენტის ნაშრომში ავტორის არგუმენტი პარაგრაფის მხოლოდ 1/3-ს იკავებს, დანარჩენი 2/3 კი სტუდენტის კომენტარებსა თუ შეფასებას უკავია.

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მოკლედ შევაჯამოთ კრიტიკის სტრუქტურა:

შესავალი. ავტორის პოზიციის მოკლე შეჯამება; საკუთარი
მტკიცებულება მისი პოზიციის მიღება / მიუღებლობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი ნაწილი. I. შეახსენეთ მკითხველს ავტორის მნიშვნელოვანი არგუმენტი; თქვენი კომენტარი თუ რჩევა მასთან დაკავშირებით

II. შეახსენეთ მკითხველს ავტორის შემდეგი არგუმენტი; თქვენი კომენტარი თუ რჩევა მასთან დაკავშირებით

III. ავტორის მომდევნო არგუმენტის განხილვა საკუთარი კომენტარით და ა.შ.

დასკვნა. მოკლედ შეაჯამეთ საკუთარი შეფასებები

კრიტიკის სტრუქტურის განხილვის შემდეგ, მის რამდენიმე ნიმუშსაც გავეცნოთ.

ნიმუში 1

კრიტიკა მედლინ ბანტინგის სტატიისა „ჩვენ აქ უკვე ვყოფილვართ"

მედლინ ბანტინგის სტატია „ჩვენ აქ უკვე ვყოფილვართ" ყურადღებას ამახვილებს ინტერნეტის მაცდუნებელ ძალასა და იმ საშიშ შედეგებზე, რასაც ის საზოგადოებებს მოუტანს. ავტორი მიიჩნევს, რომ ინტერნეტი მოგვევლინა იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც კომუნისტური რეჟიმის რღვევის შედეგად გაჩნდა და მსგავსად ძველი ეგალიტარული სისტემისა, წარმოადგენს უტოპიურ იდეოლოგიას, რომელიც ყველას თანაბარ ხელმისაწვდომობას ჰპირდება. ავტორი ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ინტერნეტი ქმნის სოციალურად დაპირისპირებულ ადამიანებს, და უფროსი ასაკის და ღარიბი ქვეყნების წარმომადგენლები ამ ნეტ-შეჯიბრში უკან რჩებიან. ხოლო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მფლობელნი დიდ სარგებელს ნახულობენ ინტერნეტიდან.

ბანტინგი პარალელს ავლებს XX საუკუნის 50-იან წლებში ნუკლეარული ენერგიით გამოწვეულ მღელვარებასა და თანამედროვე პირობებში ინტერნეტით გამოწვეულ მღელვარებას შორის. ის მიიჩნევს, რომ ორივე შემთხვევაში ადამიანები უგულებელყოფენ მათ საშიშ ზეგავლენას, რადგან ნუკლეარული ენერგია გვპირდება შეუზღუდავი რაოდენობით იაფ და სუფთა საწვავს, ინტერნეტი კი გვპირდება რევოლუციურ გარდაქმნებსა და ცხოვრების ტემპის დაჩქარებას. ბოლოს ავტორი გვაფრთხილებს, რომ შეიძლება ერთ დღეს გამოვფხიზლდეთ „ინტერნეტის ნაბახუსევზე" და აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი გაკოტრებული იმ სერვისის და შენაძენების წყალობით, რაც ინტერნეტის გზით განვახორციელეთ.

ბანტინგის სტატიის მიზანია დაარწმუნოს მკითხველი, რომ ინტერნეტი საშიშ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამ იდეის მხარდასაჭერად, ავტორი ფოკუსირებას ახდენს შემდეგ ძირითად არგუმენტებზე:

- ინტერნეტმა შეავსო ვაკუუმი, გაჩენილი კომუნიზმის შემდეგ;
- ინტერნეტი უტოპია და ტოტალიტარიზმია, რომელიც ეგალიტარიზმის მცდარ დაპირებას იძლევა;
- ინტერნეტი სოციალურ დაპირისპირებას ქმნის;
- ინტერნეტს სარგებელი მოაქვს მხოლოდ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მფლობელთათვის;
- ინტერნეტი მაცდუნებელი ძალაა, რომელიც გაკოტრებას იწვევს.

ამგვარად, რათა დავრწმუნდეთ მოცემული სტატიის მიზნისა თუ ძირითადი იდეის ვალიდურობაში, პირველ რიგში, მოცემული არგუმენტები უნდა გავაანალიზოთ. მედლინ ბანტინგის პირველი არგუმენტი, რომლის თანახმად, ინტერნეტი მოგვევლინა კომუნისტური რეჟიმის რღვევის შედეგად გაჩენილი ვაკუუმის შესავსებად, აღძრავს შეკითხვას: თუ ინტერნეტი პოსტკომუნისტური ვაკუუმის შედეგია, ნიშნავს ეს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ინტერნეტს იყენებს, პოსტკომუნისტურია? შესაბამისი მტკიცებულების უქონლობის გამო, რთულია მსგავსი განზოგადების გაკეთება ყველა საზოგადოებაზე.

მეორე არგუმენტი, რომლის თანახმად, ინტერნეტი უტოპიაა, ავტორის პირად დასკვნებს ემყარება და შემდეგი გადაჭარბებული და სინონიმური ფრაზებითაა გამოხატული: დოტკომპანიების მასიური რეკლამირება მიზნად ისახავს ჩვენს „სტიმულირებას, წახალისებას, დაშინებას, მანიპულირებას," რათა გავხდეთ ინტერნეტში გათვით-

ცნობიერებულნი. ავტორს არ მოჰყავს მაგალითად დოტ-კომპანიების მიერ რეალურად მოტყუებული და დაშინებული ადამიანები. მას ერთადერთი ფრაზა მოქვს ინტერნეტ-გვერდიდან: „არ ჩამორჩეთ დროს, თორემ..." — და ხსნის მას, როგორც ბუნდოვან მუქარას. მაგრამ ჩვენ შეიძლება აღვიქვათ ეს ფრაზა პოზიტიური გაფრთხილების სახით, რომ არ ჩამოვრჩეთ დროს, ვიყოთ ენერგიულნი და ვიცოდეთ დროის ფასი.

ავტორის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია ის, რომ ინტერნეტი ქმნის სოციალურ უთანასწორობას. ის ცდილობს ამ იდეის დასაბუთებას საბანკო სისტემის მაგალითის მოყვანით, რომლის თანახმად, თუ ონლაინს მივმართავთ საბანკო მომსახურებისათვის, დავივიწყებთ ადგილობრივ ბანკს; ონლაინის გარეშე კი მოგვიწევს კვლავ ლეიბის ქვეშ შევინახოთ ფული. ამ მოსაზრების ლოგიკაში დავეჭვდებით, თუ წინადადების პირველ ნაწილს მის მეორე ნაწილთან შევადარებთ, რადგან გაგვიჩნდება შემდეგი შეკითხვები: 1. რატომ უნდა დაიხუროს ადგილობრივი ბანკები, თუ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მათით სარგებლობენ. თავად ავტორიც ხომ ამტკიცებს, რომ ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, ვისთვისაც ონლაინის საბანკო სისტემა ხელ-მისაწვდომი არ არის, ალბათ, კვლავ ადგილობრივი ბანკებით ისარგებლებს, რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთ არ მოუწევთ დახურვა; 2. საიდან ვიცით, რომ ყველა, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ონლაინის საბანკო სისტემას იყენებს და არ სარგებლობს ადგილობრივი ბანკებით?

სოციალური უთანასწორობის კიდევ ერთ მაგალითად მოყვანილია განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც, ავტორის აზრით, ჯერ კიდევ დაფის ცარცის საშოვნელად იბრძვიან, ამდენად, ზედმეტია ლეპტოპებზე საუბარი. აქ სრულიად გაუგებარია, თუ რას გვთავაზობს ავტორი. განვითარებულმა ქვეყნებმა თავი უნდა შეიკავონ ინტერნეტით სარგებლობისაგან იმიტომ, რომ მილიონობით ადამიანს განვითარებადი ქვეყნებიდან არა აქვს ლეპტოპი? თუ მათ უნდა მოახდინონ ინტერნეტისათვის განკუთვნილი თანხის ინვესტირება განვითარებად ქვეყნებში?

ავტორი ამტკიცებს, რომ მხოლოდ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მფლობელნი ნახულობენ სარგებელს ინტერნეტიდან. ახდენს რა ფოკუსირებას ინტერნეტის მხოლოდ ფიზიკურ ასპექტებზე, ის ვერ აცნობიერებს ინტერნეტის მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის, ცოდნის (დისტანციური სწავლა), კომუნიკაციის განვითარებასა და ცხოვრების ბევრ სხვა სფეროში. ავტორის ცალმხრივი პოზიცია მაშინაც კი თვალსაჩინოა, როცა ის ცდილობს ისაუბროს ინტერნეტის პოზიტიურ ასპექტებზე: „უდავოა, რომ ის ცვლის სადისტრიბუციო სისტემებს და საცალო ვაჭრობის ძირეულ გარდაქმნას ახდენს, მაგრამ რა? ეს არის სხვაობა ხელმისაწვდომობასა და სიჩქარეში, და არა შინაარსში."

ავტორი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როცა წერს, რომ ინტერნეტი ბევრს არაფერს წარმოადგენს და იმავდროულად მას ნუკლეარული ენერგიის საშიშ შედეგებთან ადარებს.

ამგვარად, ჩვენს საზოგადოებაზე ინტერნეტის საშიში ზემოქმედების შესახებ იდეის ვალიდურობა სუსტდება, როცა მას კონტრარგუმენტებს წავუყენებთ. ყოველთვის უფრო შემოქმედებითი და დამაჯერებელია, როცა თავად ავტორი გვთავაზობს საწინააღმდეგო არგუმენტებს, რითაც ეხმარება მკითხველს, საკითხს მრავალი მხრიდან შეხედოს და ობიექტურად შეაფასოს იგი.

ნიმუში 2

კრიტიკა მედლინ ბანტინგის სტატიისა
„ჩვენ აქ უკვე ვყოფილვართ"

მედლინ ბანტინგის სტატია „ჩვენ აქ უკვე ვყოფილვართ," გამოქვეყნებული "Guardian"-ში 2000 წელს, განიხილავს თანამედროვე პირობებში ინტერნეტის გავლენას, უფრო ზუსტად, „ ინტერნეტის მიერ გამოწვეულ ისტერიას." ავტორის აზრით, ინტერნეტით გამოწვეული ენთუზიაზმი შეცვალა ნამდვილმა ტოტალიტარულმა მანიამ და მომავალში ამ ტექნოლოგიის განვითარება მავნე იქნება კაცობრიობისათვის.

ავტორი ადარებს ინტერნეტის განვითარების მხარდასაჭერ პროპაგანდას 30-იანი წლების ნაცისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიებს და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ტოტალიტარული იდეოლოგიის მსგავსად, ინტერნეტის განვითარებას შეუძლია სერიოზული ნეგატიური შედეგების გამოწვევა. პირველ რიგში, მას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული ადამიანების გარიყვა, განსაკუთრებით, ასაკოვანი ადამიანებისა, თუმცა მისი მხარდასაჭერი პროპაგანდა ამტკიცებს, რომ ის გვთავაზობს „ინფორმაციის თანაბარ

ხელმისაწვდომობას." ამის საილუსტრაციოდ ბანტინგს მოაქვს იმ ადამიანის მაგალითი, რომელიც ვერ სარგებლობს ონლაინის საბანკო სისტემით და ამიტომ იძულებულია ფული ლეიბის ქვეშ შეინახოს. ბანტინგი იმასაც ამტკიცებს, რომ ინტერნეტის მხარდასაჭერი სიტყვების მიღმა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები იმალება და ინტერნეტის დაპირებები სხვა არაფერია, თუ არა უტოპია.

ბანტინგის მომდევნო არგუმენტი ინტერნეტის წინააღმდეგ ისაა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კაცობრიობამ დიდი იმედი ჩადო ტექნოლოგიაში, მაგრამ მარცხი განიცადა. ამ კონტექსტში ავტორი ანალოგიას აკეთებს იმ რწმენასა და აღელვებასთან, რაც ნუკლეარულმა ენერგიამ გამოიწვია 50-იან წლებში. საბოლოო ჯამში, ამ უზარმაზარმა ტექნიკურმა განვითარებამ მძიმე დაღი დაასვა გარემოს. ამდენად, თუ შევადარებთ უკანასკნელი 150 წლის ისეთ ტექნოლოგიურ განვითარებას, როგორიცაა რკინიგზა, ელექტრობა ან ტელეფონი, ინტერნეტი ბევრს არაფერს წარმოადგენს. ინტერნეტი უდავოდ იწვევს გარკვეულ ცვლილებებს, მაგრამ ბანტინგის აზრით, ისინი არ არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, რადგან საკითხი ეხება „სხვაობას ხელმისაწვდომობასა და სიჩქარეში, და არა შინაარსში." მაგალითად, ინტერნეტიდან ნოველის გადმოქაჩვა ნაკლებ ღირებულია, რადგან უფრო მნიშვნელოვანია მისი რეალურად წაკითხვის გამოცდილება. იგივე შეიძლება ითქვას ინტერნეტით ვაჭრობაზე. დროის დაზოგვის მიზნით, შუა ღამით ინტერნეტით ვაჭრობის უპირატესობა ილუზიაა, რადგან გაცილებით უფრო შემაწუხებელია ინტერნეტ-მაღაზიაში მისვლა და ამანათის წამოღება. ბანტინგი ირონიულად აღნიშნავს, რომ შუაღამეს უკეთესი საქმეების კეთებაც შეიძლება.

ბანტინგის შეხედულებები რომ შევაჯამოთ, აღმოჩნდება, რომ, უპირველეს ყოვლისა, ის ნამდვილად აჭარბებს, როცა ვებ-მანიას ტოტალიტარულს უწოდებს და კომუნისტურ და ნაცისტურ იდეოლოგიებთან ადარებს. ასევე, როგორც სათაური „ჩვენ აქ უკვე ვყოფილვართ" გვეუბნება, სხვა შემთხვევების არსებობა, როცა ადამიანი მიხვდა, რომ ამაო იმედი დაამყარა ტექნოლოგიის განვითარებაზე (ვთქვათ, ნუკლეარული ენერგია 50-იან წლებში), არ წარმოადგენს ინტერნეტის განვითარების წინააღმდეგ მყარ არგუმენტს. სინამდვილეში, ამ ორი პრობლემის დაკავშირება აზრს მოკლებულია. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ისტორია წრეზე მიდის და ადამიანს შეუძლია გადაწყვიტოს, რომელი ფენომენი წარმოადგენს საშინელი საქმის განმეორებას და რომელი — კარგი საქმისა.

ბანტინგის არგუმენტაციაში მთლიანად უარყოფილია ინტერნეტის მიერ შემოთავაზებული უპირატესობები. ის მხოლოდ ინტერნეტის უარყოფითი მხარეების დემონსტრირებას ახდენს და ამ შემთხვევაშიც კი მისი არგუმენტაცია არადამაჯერებელია. რა თქმა უნდა, უმჯობესია წაიკითხო ნოველა, ვიდრე გადმოქაჩო ინტერნეტიდან და შეინახო კომპიუტერში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ნოველის ხელმისაწვდომობა. იგივე უნდა ითქვას ინტერნეტით ვაჭრობაზეც. ავტორი ბევრს საუბრობს მასთან დაკავშირებულ უხერხულობაზე და არც კი აღიარებს, რომ ის არის ვაჭრობის ალტერნატიული გზა. მაგალითად, გაცილებით მარტივია შეიძინო ინტერნეტით ისეთი რამ, რაც ვერ მოიძიე შენს ქალაქში.

და ბოლოს, იმ გზას, რომლითაც ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ ინტერნეტის განვითარების მხარდასაჭერი პროპაგანდა ტოტალიტარული ხასიათისაა, ინტერნეტის შესაძლებლობების წინააღმდეგ პროტესტამდე მივყავართ.

სავარჯიშო #1. რამდენად გამართულია სტრუქტურულად კრიტიკის განხილული ნიმუშები? დაასახელეთ თითოეული მათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეადარეთ ისინი ერთმანეთს.

როგორც კრიტიკის სტრუქტურიდან ნათელია, შესავალი ავტორის პოზიციის მოკლე შეჯამებით იწყება. იმისათვის, რომ ავტორის პოზიცია სათანადოდ შევაჯამოთ, აუცილებლია, კარგად ვფლობდეთ პერიფრაზირების ტექნიკას. გარდა იმისა, რომ პერიფრაზირება გვეხმარება უკეთ გავაანალიზოთ ავტორის იდეები და ჩვენი თვალთახედვიდან წარმოვადგინოთ ისინი, ამასთანავე, ის უმთავრესი იარაღია პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაში მდგომარეობს პერიფრაზირებისა და შეჯამების არსი?

პერიფრაზირება ნიშნავს ტექსტის გარკვეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას. შეჯამება კი წარმოადგენს ტექსტის ძირითადი იდეების მოკლე შინაარსს, საკუთარი სიტყვებით გადმოცემულს.

პერიფრაზირებისათვის, წაიკითხეთ ტექსტი, რათა ძირითადი იდეა გაიგოთ. შემდეგ

მეორედ გადაიკითხეთ ტექსტი, რომ დეტალებიც დაიმახსოვროთ. შემდეგ გადადეთ წიგნი და დაწერეთ ყველაფერი, რაც გახსოვთ. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ შეგიძლიათ გამოიყენოთ ზუსტი ფრაზები და ენა ტექსტიდან. მომდევნო ეტაპზე თქვენი სიტყვებითა და საკუთარი სტილით გადმოეცით წარმოდგენილი ინფორმაცია. ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ დაურთოთ საკუთარი იდეები, თუ კომენტარი. ისინი პერიფრაზირებული თუ შეჯამებული მონაკვეთის შემდეგ უნდა წარმოადგინოთ, რათა მკითხველმა გაარჩიოს, რომელია ავტორის მოსაზრებები და რომელი — თქვენი. და ყოველთვის მიუთითეთ ავტორი პერიფრაზირებულ თუ შეჯამებულ მონაკვეთში, რადგან ეს თქვენი საკუთარი იდეები არ არის.

პერიფრაზირებისას, თანმიმდევრულად მივყვებით ავტორის იდეებსა და მათ ჩვენი სიტყვებით გადმოვცემთ, ამიტომ პერიფრაზირებული მონაკვეთი თითქმის ორიგინალის ზომისაა. როგორ ვიქცევით შეჯამებისას? ვინაიდან ამ შემთხვევაში მხოლოდ ავტორის ძირითადი პოზიცია უნდა გავაცნოთ მკითხველს, ყურადღებით უნდა ამოვარჩიოთ ავტორის მთავარი არგუმენტები და მათი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ისე, რომ დეტალებს არ ჩავუღრმავდეთ. ამ დროს საკუთარ სიტყვებსა და წინადადებების სტრუქტურას ვიყენებთ ისე, რომ არსად არ ვურთავთ საკუთარ კომენტარს და პერიოდულად ვახსენებთ მკითხველს, რომ სხვისი იდეების შეჯამებას ვახდენთ.

ამდენად, კარგი შეჯამება შემდეგი თავისებურებებით გამოირჩევა:

- მასში აუცილებლად მითითებულია ძირითადი წყარო;
- ის ზუსტად და აკურატულად ახდენს ორიგინალის ინტერპრეტირებას;
- ის არ შეიცავს დამატებით კომენტარებს;
- ის მხოლოდ ძირითად საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას და არა კონკრეტულ დეტალებზე;
- მასში ავტორის იდეები მხოლოდ სტუდენტის სიტყვებითაა გადმოცემული.

მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი წინადადება: სტუდენტის ცნობარში განსაზღვრულია პირობები, რომლის დროსაც სტუდენტები, შესაძლოა, გარიცხულ იქნენ უნივერსიტეტიდან, ისეთი არაეთიკური აკადემიური ქცევისათვის, როგორიცაა პლაგიატი, დოკუმენტების ფალსიფიკაცია, სხვა სტუდენტთა ნაშრომების გამოყენება და მსგავსი არაკეთილსინდისიერი საქციელი.

ავიღოთ სამი ნიმუში, რომელიც მიზნად ისახავს განხილული წინადადების საკუთარი სიტყვებით გადმოცემას.

1. სტუდენტის ცნობარის თანახმად, ისინი, ვინც თავისად გაასაღებენ სხვის ნაშრომს, უნივერსიტეტიდან გაირიცხებიან.

2. სტუდენტის ცნობარი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტუდენტებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერ საქციელს ჩაიდენენ, იქნება ეს სხვათა სიტყვებისა თუ იდეების გამოყენება ისე, რომ ავტორი არ იქნება მითითებული, დოკუმენტების გაყალბება და ა.შ., შესაძლოა უნივერსიტეტის დატოვებაც კი მოუწიოთ.

3. სტუდენტთა ცნობარი გვაცნობს იმ პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, უნივერსიტეტიდან სტუდენტების გარიცხვის მიზეზი გახდეს. ეს პირობებია: პლაგიატი, დოკუმენტების ფალასიფიკაცია, სხვა სტუდენტთა ნაშრომების გამოყენება და სხვა არაკეთილსინდისიერი ქცევა.

პირველი ნიმუში შეჯამებაა, რადგან განხილული წინადადების ძირითად იდეას გვაცნობს. მეორე ნიმუში პერიფრაზია წარმოადგენს, რადგან სტუდენტი საკუთარი სიტყვებითა და წინადადების მისეული სტრუქტურით გადმოგვცემს განხილული წინადადების არსს. მესამე წინადადება კი არაადეკვატურ პერიფრაზირებას ახდენს, რადგან მასში ენა და წინადადების სტრუქტურა ორიგინალის მსგავსია; ამდენად, ეს უკანასკნელი პლაგიატის ნიმუშია.

სავარჯიშო #2. პედაგოგი აძლევს სტუდენტებს სტატიას, რომელზეც მომავალში კრიტიკა უნდა დაწერონ, სთხოვს გაეცნონ სტატიას და მოხდინონ მისი პერიფრაზირება, შემდეგ კი ერთ პარაგრაფად შეაჯამონ პერიფრაზირებული ტექსტი (ეს შეჯამებული პარაგრაფი მომავალში კრიტიკის შესავალში მოთავსდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა კულტურებიდან დანახვა:
უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს „ქალების საქმისა?"

მერი სტიუარტ ვან ლიუვენი

ანთროპოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მთელ მსოფლიოში ის, რაც „მამაკაცების საქმედ" ითვლება, თითქმის ყოველთვის უფრო მაღალი სტატუსის მქონეა, ვიდრე „ქალების საქმე." თუ ერთ კულტურაში მამაკაცები სახლებს აშენებენ და ქალები კალათებს წნავენ, ამ კულტურაში სახლების მშენებლობა უფრო მნიშვნელოვან საქმედ იქნება მიჩნეული. მეორე კულტურაში, რომელიც კარის მეზობლად მდებარეობს, შესაძლოა საპირისპირო მდგომარეობა იყოს და ამიტომ კალათების დამზადებას უფრო მაღალი სოციალური სტატუსი ენიჭებოდეს.

ანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ ბიოლოგია სრულყოფილად ვერ ხსნის მამაკაცის დომინანტურობას. ჩვენ განვიხილავთ სამ განსხვავებულ თეორიას, რომელთაც ანთროპოლოგები გვთავაზობენ მამაკაცთა დომინანტური და ქალთა სუბორდინირებული მდგომარეობის ასახსნელად.

<u>ბუნება კულტურის საპირისპიროდ.</u> ყველა კულტურაში ქალებს მიიჩნევენ ბუნებასთან უფრო ახლოს მდგომად, ვიდრე მამაკაცებს, რომლებიც უფრო მეტად განიხილებიან კულტურაში ჩართულებად. რადგან კულტურულს ყველგან უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებენ, ვიდრე უბრალოდ ბუნებრივს, ქალებს, ბუნებასთან სიახლოვის გამო, ნაკლები ღირებულება ენიჭებათ.

ქალებს ბუნებასთან მეტი სიახლოვის მქონედ განიხილავენ, რადგან რომ მათ სხეულს იგივე რეპროდუქციული ფუნქციები აქვს, რაც სხვა მდედრობით ძუძუმწოვართა სხეულებს. ეს გულისხმობს მეტ დროს, ენერგიას და სხეულებრივ რისკს, ვიდრე მამაკაცების რეპროდუქციული როლი. ამიტომ მამაკაცებს მეტი თავისუფლება და ენერგია რჩებათ ტექნოლოგიის, ვაჭრობის, ხელოვნების, პოლიტიკის და რელიგიისათვის.

და ბოლოს, ვინაიდან ქალები მეტ დროს ატარებენ ბავშვებთან, რომლებიც თავშეუკავებელ და არასოციალიზებულ არსებებად იბადებიან, რითაც უფრო ახლოს დგანან ცხოველებთან, ქალებსაც, ბავშვებზე ზრუნვის გამო, ბუნებასთან უფრო მჭიდრო კავშირში განიხილავენ. სწორედ ამ მიზეზით, თავად ქალებიც საკმაოდ „ბავშვურ" არსებებად არიან მიჩნეულნი.

<u>შინაური საზოგადოებრივის საპირისპიროდ.</u> თუმცა ქალების რეპროდუქციული აქტივობები არ აიძულებს მათ აუცილებლად სახლთან ახლოს ყოფნას, ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი საშინაო საქმეებზე, რაც მარტივად უთავსდება ბავშვის მოვლას. იმავე მიზეზით, მამაკაცები უფრო მეტად არიან ჩართულნი „საზოგადოებრივ" აქტივობებში, რაც მათ სახლსა და ბავშვებს აშორებს. საზოგადოებრივი სფერო, სადაც მამაკაცები დომინირებენ, თითქმის ყოველთვის იმსახურებს მეტ კულტურულ პატივისცემას, ვიდრე ქალების შინაური, ნაკლებ თვალსაჩინო აქტივობები.

<u>ობიექტური ურთიერთობები და ოჯახური ცხოვრება.</u> ფსიქოლოგები აკვირდებიან, თუ რა გზით აცნობიერებენ ბავშვები თავიანთ სქესობრივ კუთვნილებას. სამ წლამდე ბავშვი ვერ აცნობიერებს, ვაჟია ის თუ გოგონა. სამი წლიდან კი მისი განვითარების ერთ-ერთი ამოცანაა ემოციურად დაცულად და ბედნიერად იგრძნოს თავი იმის გამო, რომ ის ვაჟია ან გოგონა.

სწორედ აქ ხდება განმსაზღვრელი დედის, როგორც ბავშვის ძირითადი აღმზრდელის როლი. პატარა გოგონებიც და ვაჟებიც მიჯაჭვულნი არიან დედაზე და სურთ ჰგავდნენ მას. მაგრამ პატარა ვაჟი მალე აღმოაჩენს, რომ ის ვერ გახდება დედის მსგავსი; ის უნდა იყოს მამის მსგავსი — იმ დიდი მამრობითი სქესის პიროვნებისა, რომელსაც მცირე ხნით თუ ხვდება დილას და საღამოს. ვაჟი ხელფეხშებოჭილია, რადგან ის ვერ დარჩება დედაზე მიჯაჭვული, მაგრამ ამავე დროს მისი მისაბაძი ნიმუში ხშირად არ არის სახლში. ამიტომ ის შეიძლება შეიპყროს ღრმა და არაცნობიერმა ეჭვებმა — მოახერხებს თუ არა თავი გაართვას მამაკაცის როლს.

მაგრამ ზრდის კვალდაკვალ, ვაჟი აცნობიერებს, რომ მამაკაცად ყოფნა პრივილეგიების მატარებელია. თუ კაცი „ნამდვილი მამაკაცია," სოციალურად ის ქალზე უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. აქ კვლავ საფრთხე ემუქრება მის მასკულინობას: ახლა მთელი მონდომებით უნდა დაუმტკიცოს საკუთარ თავს და მთელ სამყაროს, რომ ის ნამდვილი მამაკაცია. როგორ უნდა გააკეთოს ეს? ყველაზე მარტივი და უსაფრთხო გზაა, რაც შეიძლება მეტად ჩამოშორდეს ქალებს და მათ აქტივობებს, ჩაიკლას და უარი თქვას ყველა „ქალურ" თვისებასა და იმპულსზე საკუთარ თავში. უკიდურეს შემთხვევაში, ამის გაკეთება შეიძლება ქალისადმი ღია ზიზღითა და ცუდი მოპყრობით. ან მამაკაცი უბრალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს არიდებს ქალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშინაო და სქესობრივი მოთხოვ-ნილებები უნდა დაიკმაყოფილოს, ატარებს რა დანარჩენ დროს მამაკაცებისაგან შემდგარ ჯგუფებში; ან, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მან შეიძლება გააიდეალოს და გააღმერთოს ქალები. ესეც უზრუნველყოფს ქალებთან უსაფრთხო დისტანციას, თუმცა თან ახლავს „ქალური სრულყოფილების" წარმოუდგენელი მოთხოვნები.

რა სტრატეგიაც არ უნდა იყოს გამოყენებული, ის საშუალებას აძლევს დაუცველ მამაკაცს შენიღბოს არაცნობიერი „შიში ქალებისადმი." მისი ყველაზე ადრეული ასოციაციები ხომ დედას უკავშირდება, რომელიც ძლევამოსილად ეჩვენებოდა. ეს გრძნობა, კომბინირებული მის ადრეულ დეპრივაციასთან აითვისოს მამაკაცის როლი, თრგუნავს მას და არწმუნებს, რომ ქალებს შეუძლიათ რაღაცნაირად შემოაცალონ მისი მასკულინური იდენტურობა.

ამგვარად, ჩვენთვის თვალსაჩინოა, თუ როგორ გადადის თაობიდან თაობაზე მასკულინური დაუცველობა. უმამო ვაჟს უვითარდება სუსტი და ამბივალენტური მასკულინური იდენტურობა. ამ დაუცველობის კომპენსაციის მიზნით, სიყმაწვილესა და მოზრდილ ასაკში ის ახდენს დისტანცირებას ქალებისაგან და „ქალების საქმისაგან." რა წარმოადგენს ქალის ძირითად საქმეს? ბავშვების მოვლა. ამდენად, ის თავს არიდებს საკუთარ ვაჟებთან კონტაქტს და გაუცნობიერებლად უწყობს ხელს მათში დაუცველი მასკულინობის, ქალებისადმი შიშის და ქალის უარმყოფელი ქცევის განვითარებას.

არის რაიმე გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან? რადგანაც კულტურები განსხვავდებიან იმით, თუ რა მოცულობით უსვამენ ხაზს კერძო/საზოგადოებრივს, ალბათ, კარგი იქნებოდა მიგვებაძა კულტურისათვის, რომელსაც მინიმუმზე დაჰყავს სქესობრივი როლები მამაკაცებსა და ქალებს შორის. მინდა ნიმუშად მოვიყვანო საკუთარი გამოკვლევა ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრებ პიგმის ერთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ ნადირობა-შეგროვებით ირჩენს თავს.

თუმცა პიგმის ერში სქესობრივი როლები გარკვეულწილად დიფერენცირებულია, ერის სიმცირე და მობილობა მოითხოვს ყველა წევრის მჭიდრო თანამშრომლობას. ქალები და ბავშვები ეხმარებიან მამაკაცებს ნადირობაში; ქალს შეუძლია დაავალოს ქმარს ბავშვის მოვლა, სანამ თვითონ სადილს ამზადებს. ბებია-ბაბუები უვლიან შვილიშვილებს, როცა მათი მშობლები ნადირობა-შეგროვებით არინ დაკავებულნი. აქ კერძო/საზოგადოებრივად დაყოფა ნაკლებ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საინტერესო კი ის ფაქტია, რომ მცირე სხვაობა მონადირე-შემგროვებელთა სქესობრივ როლებს შორის და მათი მჭიდრო თანამშრომლობა იწვევს მამაკაცებსა და ქალებს შორის ძლიერ ინტელექტუალურ მსგავსებას.

რა შეიძლება აქედან ვისწავლოთ საკუთარი სიტუაციის შესახებ? ზოგიერთი კულტურანთროპოლოგი ამტკიცებს, რომ სავალდებულოა ვიმოძრაოთ ორი მიმარ-თულებით: მამაკაცები უნდა დაუახლოვდნენ საოჯახო სფეროს, მიიღებენ რა მონაწილეობას ბავშვების სოციალიზაციასა და საოჯახო საქმეების კეთებაში; ქალებმა კი თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობასა და კულტურაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაიზრდება მათი სტატუსი.

ასეთი ცვლილებები არ აქცევს მამაკაცებს ქალებად და ქალებს მამაკაცებად. რაც არსებითია ქალის საქმიანობის სტატუსის ასამაღლებლად, არის არა სქესობრივი როლების არსებობის იგნორირება, არამედ დაახლოება, თანამშრომლობა და მოქნილობა იმ როლებისა, რომელთაც მამაკაცები და ქალები ინაწილებენ. სინამდვილეში, მაშინაც კი, როცა მამაკაცები და ქალები საერთო ამოცანას ასრულებენ, მაგალითად, ბავშვის მოვლა, მათი მიდგომა საკმაოდ განსხვავებულია და ბევრი ამ სტილისტურ სხვაობათაგან ნამდვილად აღმოჩნდება ხოლმე დამკვიდრების ღირსი.

სტატიის შეჯამების ნიმუში 1

მერი სტიუარტ ვან ლიუვენი თავის სტატიაში „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს ‚ქალების საქმისა'?" განიხილავს ქალთა და მამაკაცთა სოციალურ სტატუსებს, მათ საქმიანობასა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქალთა ძირითადი საქმიანობა — ბავშვების აღზრდა, საოჯახო საქმე — ვერ იმსახურებს სათანადო შეფასებას და ერთგვარ მარტივ ბუნებრივ პროცესად აღიქმება; მაშინ, როდესაც მამაკაცთა ნებისმიერი საქმიანობა, იქნება ეს ნადირობა პირველყოფილ ტომებში თუ თანამედროვე დიდ პოლიტიკაში მონაწილეობა, ყველა კულტურაში ყოველთვის მეტი პატივისცემისა და დაფასების ღირსი ხდება. ამის მიზეზებს კი ავტორი ქალური ბუნების თავისებურებებში ეძებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი სტიუარტ ვან ლიუვენის სტატია „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს ,ქალების საქმისა'?" ეხება თითქმის ყველა საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს, რაც ქალებს დაბალ სტატუსს ანიჭებს, მამაკაცებს კი - მაღალს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ავტორი განიხილავს რამდენიმე თეორიას. პირველი თეორიის თანახმად, მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მაღალი სტატუსი აიხსნება იმით, რომ ისინი უფრო ახლოს დგანან კულტურასთან; რაც შეეხება მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს, სხვა ძუძუმწოვარ ცხოველებთან საერთო რეპროდუქციული ფუნქციების გამო, მათ ბუნებასთან უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევენ. როგორც აღნიშნული თეორია ამბობს, რეპროდუქცია და თავიანთი თვისებებით ცხოველებთან ახლოს მდგომი ბავშვების აღზრდა, ქალებისგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს, რის გამოც მათ აღარ რჩებათ დრო კულტურული საქმიანობისთვის — რელიგიისთვის, ხელოვნებისთვის და სხვა. მეორე თეორიის თანახმად, მამაკაცთა მაღალი სტატუსი იმით აიხსნება, რომ ისინი ეწევიან საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ქალები კი უმეტესად საშინაო საქმეებით არიან დაკავებულნი. მესამე თეორიის თანახმად, ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ბავშვი 3 წლიდან იწყებს სქესთან მიკუთვნებულობის გაცნობიერებას. ამ დროიდან ბიჭმა უარი უნდა თქვას დედისადმი მიჯაჭვულობაზე და სურვილზე ჰგავდეს მას. იგი ცდილობს მიბაძოს მამას, მაგრამ ვინაიდან მას იშვიათად ხედავს, უჩნდება შიში, თუ რამდენად კარგად დაეუფლება მამაკაცის როლს. ამავე დროს, ბიჭი თანდათან აღმოაჩენს, რომ „მამაკაცობასთან" ბევრი უპირატესობაა დაკავშირებული და მეტი მონდომებით ცდილობს იქცეს ნამდვილ მამაკაცად, რის გამოც უარს ამბობს ყოველგვარ „ქალურ" თვისებასა და ქცევაზე, ანუ გაურბის „ქალურობას". ხდება რა მამა, ის გაურბის შვილებთან ურთიერთობას, როგორც ქალების საქმეს და თავისი საქციელით, მის ვაჟებშიც ნერგავს ქალებისადმი შიშს. სტატიის ავტორი სქესობრივი როლების დაახლოების და თანამშრომლობის მომხრეა, რაც უდავოდ მოწონებას იმსახურებს. ბოლო უნდა მოეღოს არასწორ გენდერულ ცრურწმენებს და ქალისა და მამაკაცის როლების მკვეთრ გამიჯვნას, ვინაიდან ამას არავითარი საფუძველი არა აქვს.

სავარჯიშო #3. შეადარეთ ერთმანეთს შეჯამების წარმოდგენილი ნიმუშები. მიუთითეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

როგორც აღინიშნა, ყოველთვის რეკომენდებულია ავტორის იდეების საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ავტორი იმდენად ეფექტურად გადმოსცემს სათქმელს, რომ ძალიან გაგვიჭირდება პერიფრაზირების გზით მკითხველს მისი იდეების „მთელი ეშხი" დავანახოთ; ანდა მოცემულ ფრაზაში ავტორის საკვანძო იდეებია ჩადებული, რაც ჩვენში ყველაზე ძლიერ რეაქციას (პოზიტიურს თუ ნეგატიურს) იწვევს და გვსურს, მკითხველს მთელი სისრულით წარმოვუდგინოთ ეს მონაკვეთი; არის შემთხვევები, როცა მკითხველს სწორედ ავტორის თხრობის სტილსა თუ ენის სპეციფიკას ვაცნობთ. უდავოა, რომ ასეთ დროს აუცილებლად მოგვიწევს ავტორის სიტყვების ციტირება.

ციტირებას თავისი მკაცრი წესები აქვს, რომლებიც ყოველთვის უნდა დავიცვათ:

- თუ ციტატის სიგრძე 3-4 ხაზს (დაახლოებით 50 სიტყვას) არ აღემატება, მაშინ ის პირდაპირ ჩვენს ტექსტში უნდა ჩავრთოთ და ორმაგ ბრჭყალში ჩავსვათ;
- თუ ციტატის სიგრძე 5 ხაზი და მეტია (დაახლოებით 50 სიტყვაზე მეტი), მაშინ ის ჩვენი ტექსტისაგან უნდა გამოვაცალკევოთ, გვერდის შუში გავათანაბროთ, ველი დავუვიწროვოთ (არის შემთხვევები, როცა ინტერვალსაც ამცირებენ ხოლმე) და, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში ბრჭყალებში არ მოვათავსოთ;
- თუ ვახდენთ ისეთი მონაკვეთის ციტირებას, სადაც ავტორს თავად აქვს გამოყენებული ციტატა, მაშინ ავტორის სიტყვები, ჩვეულებრივად, ორ ბრჭალში ჩაისმება, მასთან ციტირებული მონაკვეთი კი — თითო ბრჭყალში;
- თუკი ავტორის გრძელ ციტატას მოვუხმობთ, რომელშიც, აგრეთვე ციტატაა მოთავსებული, როგორც ვიცით, გრძელი ციტატა ბრჭყალში არ ჩაისმება, მასში არსებული ციტატა კი, ჩვეულებრივ, ორ ბრჭყალში;
- თუ ციტატაში გარკვეული სიტყვის ან თუნდაც ფრაზის გამოტოვება გვსურს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამ წერტილს ვსვამთ გამოტოვებული სიტყვის/ფრაზის ადგილას;

- თუკი ციტატის კორექტირების და მასში საკუთარი იდეის ჩართვის სურვილი გაგვიჩნდა, საკუთარი სიტყვები ფრჩხილებში უნდა მოვათავსოთ.

რაც შეეხება, ციტატაში სასვენი ნიშნების გამოყენებას, წერტილი და მძიმე ყოველთვის ბრჭყალის შიგნითაა, დანარჩენი სასვენი ნიშნები კი — ბრჭყალს გარეთ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი თავად ავტორის ციტატას არ ახლავს. [Leki, I. (2nd ed.). (1998). *Academic Writing. Exploring Processes and Strategies.* Cambridge: Cambridge University Press.]

ციტირებაზე საუბრისას, აუცილებელია გავეცნოთ, თუ როგორ ხდება ციტირებული, ან თუნდაც პერიფრაზირებული და შეჯამებული მონაკვეთის ბოლოს ავტორის მითითება.

როგორც წესი, ბიბლიოგრაფიის მითითების სხვადასხვა სისტემას ამ მხრივ თავისი სპეციფიკა აქვს. ჩვენ ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) მიერ შემოთავაზებული ბიბლიოგრაფიის მითითების სისტემით ვიხელმძღვანელებთ, რადგან, ერთი მხრივ, ის თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია, მეორე მხრივ კი, სამაოდ პოპულარულია სოციალურ მეცნიერებებში.

APA სისტემის თანახმად, ისეთ მცირე ზომის ნაწარმოებში, როგორიცაა კრიტიკა, ანალიტიკური რეფერატი, ან თუნდაც ჟურნალის სტატია, წყარო სქოლიოში კი არ უნდა მივუთითოთ, არამედ პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე. ასეთ მითითებას „ჩართული" ჰქვია და მისი გამოყენებისას მკაცრად უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

- მთლიანი ნაშრომის შეჯამებისას, შეჯამებული პარაგრაფის ბოლოს, ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის გვარი და პუბლიკაციის თარიღი, რომლებიც მძიმით გამოიყოფა;
- თუ ავტორი მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, ფრჩხილებში მხოლოდ პუბლიკაციის თარიღი იქნება მითითებული;
- თუ ავტორიცა და პუბლიკაციის თარიღიც მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, „ჩართულის" გამოყენება საჭირო აღარაა;
- თუ გარკვეული ქვეთავის ან პარაგრაფის პერიფრაზირებას ვახდენთ, ანდა უშუალოდ ციტატა მოგვყავს, ავტორის გვართან და პუბლიკაციის თარიღთან ერთად, აუცილებლად იდგება გვერდის ნომერიც;
- როცა ნაშრომს ორი ავტორი ჰყავს, ყოველი მითითებისას, ჩართულში ორივე ავტორის გვარი იქნება;
- როცა ნაშრომს სამი და მეტი ავტორი ჰყავს, პირველი მითითებისას, ჩართულში ყველა ავტორის გვარი იქნება წარმოდგენილი, შემდგომი მითითებებისას კი — მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და აღნიშვნა „et al.," რაც ნიშნავს „და სხვები.";
- თუმცა პირადი წერილები, სატელეფონო საუბრები და მსგავსი მასალა, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, არ არის მითითებული ბიბლიოგრაფიაში ტექსტის შემდეგ, ისინი აუცილებლად მითითებულია „ჩართულში";
- თუ გარკვეული იდეა რამდენიმე წყაროშია მოხსენიებული, მისი მითითება შემდეგი სახით ხდება:

— ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის მითითება, მათი გამოცემის თარიღის მიხედვით ხდება: (ბლუმი, 1956, 1962).

— თუ ავტორს ორი ნაშრომი ერთ წელსაა გამოცემული, ისინი შემდეგი სახით უნდა განვასხვავოთ: (ბლუმი, 1956ა, 1956ბ).

— სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები მათი გვარების ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით უნდა მიუთითოთ და ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით უნდა დავაშოროთ (გოულდი, 1989; სმიტი, 1983; ტერნერი, 1989). [*APA Catations.* Retrieved 22 May, 2005, from http:/www.webster.comment.edu/apa.htm.]

და ბოლოს, პერიფრაზირება-შეჯამება-ციტირებაზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ პლაგიატის თემას.

პლაგიატ ნებით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებელია. ეს „იდეები" შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან სიტყვიერი მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. „სხვების" ქვეშ მოიაზრება როგორც ნაშრომთა ავტორები, ჟურნალების კრიტიკოსები, ენციკლოპედიათა შემდგენელნი და სხვ., ისე ელექტრონული წყაროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაგიატი იმით ისჯება, რომ სტუდენტის ნაშრომი პირდაპირ ღებულობს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, თუნდაც მასში გენიალური იდეები იყოს წარმოდგენილი; ზოგიერთ შემთხვევაში კი, სტუდენტს კურსის გავლაც ხელახლა უწევს. კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, განვიხილოთ პლაგიატის თავიდან აცილების ტექნიკა. წარმოგიდგენთ მონაკვეთს ე. ტ. მეის ნაშრომიდან „ამერიკული ოჯახის მითები და რეალობა“:

„რადგან ქალების ხელფასი კვლავაც იმ მცდარი წარმოდგენის ამსახველია, რომ სწორედ მამაკაცები არიან ოჯახის მარჩენალნი, მარტოხელა დედებს იშვიათად თუ შესწევთ უნარი ადეკვატურად უზრუნველყონ საკუთარი თავი და მათი შვილები. და რადგან სამუშაო კვლავ იმ მოსაზრების საფუძველზეა ორგანიზებული, რომ ქალები სახლში უნდა დარჩნენ შვილებთან ერთად, თუმცა კი დედების საკმაოდ მცირე რაოდენობას აქვს ამის საშუალება, ბავშვების მოვლის შესაძლებლობები, სამწუხაროდ, კვლავ არაადეკვატური რჩება შეერთებულ შტატებში“.

I ვერსია: რადგან ქალების ხელფასი კვლავ იმ მცდარი შეხედულების გამომხატველია, რომ სწორედ მამაკაცები არიან შემომტანნი ოჯახში, მარტოხელა დედებს ძალიან უჭირთ საკუთარი თავისა და მათი შვილების რჩენა. გარდა ამისა, რადგან სამუშაო კვლავ იმ პრინციპზეა აგებული, რომ ქალები ძირითად დროს ოჯახში უნდა ატარებდნენ შვილებთან ერთად, ბავშვზე ზრუნვის ხელშემწყობი გარემო შეერთებულ შტატებში კვლავ არაადეკვატური რჩება.

ეს ვერსია პლაგიატის ნიმუშია, რადგან მასში ზედმიწევნითაა წარმოდგენილი ორიგინალში მოცემული წინადადებების წყობა და სიტყვების თანმიმდევრობა. სტუდენტი სინონიმებით ანაცვლებს სიტყვებს და გამოტოვებს ერთ ფრაზას, მაგრამ მთლიანი ტექსტი ძალიან წააგავს ორიგინალს.

II ვერსია: როგორც ე.ტ. მეი აღნიშნავს, „ქალების ხელფასი კვლავ იმ მცდარი წარმოდგენის ამსახველია, რომ სწორედ მამაკაცები არიან ოჯახის მარჩენალნი“ (2001, გვ. 88), ამიტომ მრავალ მარტოხელა დედას უჭირს საკუთარი თავისა და შვილების ადეკვატური რჩენა. გარდა ამისა, რადგან სამუშაო იმ პრინციპზეა აგებული, რომ ქალები ოჯახში უნდა რჩებოდნენ შვილებთან ერთად, დღის ცენტრების მიერ შემოთავაზებული მომსახურება ამ ქვეყანაში „სამწუხაროდ, კვლავ არაადეკვატური რჩება“ (მეი, 2001, გვ, 89).

ეს ვერსიაც პლაგიატის ნიმუშია, რადგან, თუმცა სტუდენტი უკვე მეის ციტირებას ახდენს, მისი ტექსტი მაინც საკმაოდ ახლოსაა ორიგინალთან.

III ვერსია: ჩვენი ეკონომიკა კვლავ იმ მცდარი პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ მამაკაცები ოჯახის მთავარი მარჩენალნი არიან. ამიტომ ქალებს კვლავ მამაკაცებზე დაბალი ხელფასი აქვთ. შედეგად, მრავალი მარტოხელ დედა ვერ ახერხებს ოჯახის სათანადოდ რჩენას. გარდა ამისა, ადექვატური დღის ცენტრები ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს შეერთებულ შტატებში, იმ გავრცელებული არასწორი შეხედულების გამო, რომ დედები უმეტეს დროს სახლში ატარებენ შვილებთან ერთად.

ეს ვერსიაც პლაგიატის ნიმუშია, რადგან, თუმცა ავტორი უკეთ ახდენს ტექსტის პერიფრაზირებას და წინადადებების სტრუქტურასაც ცვლის, ის არსად არ აღნიშნავს, რომ ეს მეის იდეებია და არა მისი საკუთარი. მართალია, მეის მოსაზრებათა ნაწილი ცნობილ ფაქტებს წარმოადგენს (ქალებს მამაკაცებზე ნაკლები ხელფსი აქვთ, მარტოხელა დედების დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს), მაგრამ მეი იყენებს მათ სპეციფიკური და ორიგინალური კონცეფციის ასაგებად, რასაც სტუდენტი უგულებელყოფს.

IV ვერსია: დღეს ქალებს ნაკლები შემოსავალი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს – იმდენად ნაკლები, რომ მრავალ მარტოხელა დედას და მათ შვილებს სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმაც კი უწევთ ცხოვრება. ე.ტ. მეი ასაბუთებს, რომ ეს სიტუაცია ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ კვლავაც არსებობს მცდარი შეხედულება, რომ „სწორედ მამაკაცები არიან ოჯახის მარჩენალნი“ (2001, გვ. 89). მეი იმასაც ამბობს, რომ ამერიკაში კვლავ დომინანტურია აზრი, რომ ბავშვიანი დედები უმეტესად სახლში რჩებიან, რათა შვილებს მოუარონ (2001, გვ. 89).

ჩემი აზრით, მსგავსი სიტუაცია ნაკლებ ტიპურია დღეს, როცა ქვეყანაში სულ უფრო მეტი დღის ცენტრი იხსნება და არც ძიძების რაოდენობას უნდა ვუჩიოდეთ...

ამ ვერსიაში ადგილი არის პლაგიატი. სტუდენტი იყენებს ცნობილ ფქტებს მეის ნაშრომიდან, მაგრამ ხაზს უსვამს ავტორის დაკვნებს და არ ცდილობს მათ მითვისებას.

მეის იდეები სათანადოდ პერიფრაზირებულია და საჭიროების ადგილას ბრჭყალებიც გამოყენებულია [*The Guide to Grammar and Writing* (2001). Capital Community College Foundation. Retrieved April, 26, 2004, from http:/www.webster.comment.edu.grammar/index.htm]

ამდენად, პლაგიატის თავიდან ასაცილებლად:

- ბრჭყალებში ჩასვით ყველაფერი, რასაც უშუალოდ ტექსტიდან იღებთ;
- პერიფრაზირება მოახდინეთ, მაგრამ დარწმუნდით, რომ სიტყვებს უბრალოდ კი არ უცვლით ადგილს ან სინონიმებით ანაცვლებთ, არამედ ავტორის მხოლოდ იდეებს ტოვებთ და მათ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემთ. ამისათვის, ტექსტს რომ წაიკითხავთ, წიგნი დახურეთ და ისე გადმოეცით შინაარსი;
- შეადარეთ თქვენს მიერ პერიფრაზირებული მონაკვთი ორიგინალს, რათა დარწმუნდეთ, რომ შემთხვევით მსგავსი ფრაზები ან წინადადებები არ გამოგიყენებიათ და რომ ინფორმაცია აკურატულად გაქვთ გადმოცემული.

სავარჯიშო #4. პედაგოგი აძლევს სტუდენტებს ტექსტს და სხვადასხვა წინადადებებს ამ ტექსტიდან, რომლებიც პლაგიატის ნიმუშებს წარმოადგენს. პედაგოგი სთხოვს სტუდენტებს მოახდინონ ამ წინადადებების პერიფრაზირება იმ ფორმით, რომ ისინი აღარ წარმოადგენდნენ პლაგიატის ნიმუშებს.

მას შემდეგ რაც სტუდენტები პრაქტიკულად გაეცნენ პერიფრაზირებისა და ციტირების, აგრეთვე, პლაგიატობის თავიდან აცილების ტექნიკას, და კრიტიკის შესავლისათვის, მითითებული სტატიის შეჯამებაც მოახდინეს, ისინი კრიტიკის ძირითად ნაწილზე გადადიან და ავტორის არგუმენტების შეფასებასა და მათზე რეფლექსიას ახდენენ.

სავარჯიშო #5: ზემოთ განხილული კრიტიკული კითხვის ტექნიკის გამოყენებით, სტუდენტები ახდენენ სავარჯიშო 2-ში წარდგენილი სტატიის ანალიზსა და შეფასებას, კერძოდ, ისინი ავტორის ძირითად არგუმენტებს აანალიზებენ და თავიანთ პოზიციას გამოხატავენ მათთან მიმართებაში, რასაც, თავის მხრივ, შესაბამისი მხარდაჭერით განამტკიცებენ.

ავტორის პოზიციის შეფასების ნიმუში 1

ავტორი აღნიშნავს, რომ ქალებს ყველა კულტურაში ბუნებასთან უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევენ, ვიდრე მამაკაცებს, რის გამოც მათ ნაკლები ღირებულება ენიჭებათ და, მათი ბუნებრივი რეპროდუქციული ფუნქციებიდან გამომდინარე, ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, ტექნოლოგიურ პროცესებში; ასევე ხელოვნებასა და რელიგიაში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ შეუძლია რეალურად განსაზღვროს და გადაჭრით ამტკიცოს რაიმე საკითხისადმი დამოკიდებულება ყველა კულტურაში. ვინაიდან ყოველთვის არსებობს გამონაკლისი, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა ეთქვა, ჩვენთვის ცნობილ უმეტეს კულტურებში, რადგან არსებობდა მატრიარქატის ხანა, როცა ქალს წამყვანი როლი ეკისრებოდა და არსებობს თანამედროვე სახელმწიფოები, სადაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის 50%-ს ქალები შეადგენენ, მაგ.: შვედეთი, ფინეთი და ა.შ.

ავტორის პოზიციის შეფასების ნიმუში 2

ავტორის მიერ განხილული მოსაზრება, რომ ქალები უფრო ახლოს დგანან ბუნებასთან, ხოლო მამაკაცები კულტურასთან, სწორად არ მიმაჩნია. მართალია, ქალის რეპროდუქციული ფუნქციები მოითხოვს მეტ დროს და ენერგიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალები კულტურას მოწყვეტილები არიან. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ქალები უფრო რელიგიურნი არიან და ხელოვნების სიყვარულშიც არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. გარდა ამისა, სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ მათთან უფრო მეტად ვლინდება ისეთი წმინდა ადამიანური თვისებები, როგორიცაა ემპათია, თანაგრძნობა, ფილანტროპია, ალტრუიზმი, მაშინ როდესაც მამაკაცებთან გაცილებით ჭარბადაა აგრესია. აგრეთვე, დადგენილია, რომ მამრობითი სქესისთვის მთავარია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მდედრობითი სქესისთვის — გრძნობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ქალები სრულებითაც არ ჩამოუ-

ვარდებიან კაცებს „ადამიანურობისა“ და კულტურული ასპექტით. ის ფაქტი, რომ ქალებს ხანგრძლივად უწევთ ყოფნა არასოციალიზებულ არსებებთან — ბავშვებთან, არ შეიძლება ჩავთვალოთ მათ მინუსად. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მათი წვლილი განმსაზღვრელია ასეთი არსებების კულტურულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

სავარჯიშო #6: შეადარეთ ერთმანეთს ავტორის პოზიციის შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები. მიუთითეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

სავარჯიშო #7: კრიტიკის პირველი ვერსიის შექმნა და ჯგუფში პრეზენტაცია. სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს, რასაც კრიტიკის საბოლოო ვერსიის შექმნა მოჰყვება.

კრიტიკის ნიმუში 1

კრიტიკა მერი სტიუარტ ვან ლიუვენის სტატიისა „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს ‚ქალების საქმისა‘?“

მერი სტიუარტ ვან ლიუვენი თავის სტატიაში „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს „ქალების საქმისა“ განიხილავს ქალთა და მამაკაცთა სოციალურ სტატუსებს, მათ საქმიანობასა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქალთა ძირითადი საქმიანობა — ბავშვების აღზრდა, საოჯახო საქმე — ვერ იმსახურებს სათანადო შეფასებას და ერთგვარ მარტივ ბუნებრივ პროცესად აღიქმება; მაშინ, როდესაც მამაკაცთა ნებისმიერი საქმიანობა, იქნება ეს ნადირობა პირველყოფილ ტომებში თუ თანამედროვე დიდ პოლიტიკაში მონაწილეობა, ყველა კულტურაში ყოველთვის მეტი პატივისცემისა და დაფასების ღირსი ხდება. ამის მიზეზებს კი ავტორი ქალური ბუნების თავისებურებებში ეძებს. თუმცა, უმჯობესია უფრო დაწვრილებით შევეხოთ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ავტორის მიერ განხილული მოსაზრება, რომ ქალები უფრო ახლოს დგანან ბუნებასთან, ხოლო მამაკაცები კულტურასთან, სწორად არ მიმაჩნია. მართალია, ქალის რეპროდუქციული ფუნქციები მოითხოვს მეტ დროს და ენერგიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალები კულტურას მოწყვეტილები არიან. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ქალები უფრო რელიგიურნი არიან და ხელოვნების სიყვარულშიც არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. გარდა ამისა, სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ მათთან უფრო მეტად ვლინდება ისეთი წმინდა ადამიანური თვისებები, როგორიცაა ემპათია, თანაგრძნობა, ფილანტროპია, ალტრუიზმი, მაშინ როდესაც მამაკაცებთან გაცილებით ჭარბადაა აგრესია. აგრეთვე, დადგენილია, რომ მამრობითი სქესისთვის მთავარია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მდედრობითი სქესისთვის — გრძნობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ქალები სრულებითაც არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს „ადამიანურობისა“ და კულტურული ასპექტით. ის ფაქტი, რომ ქალებს ხანგრძლივად უწევთ ყოფნა არასოციალიზებულ არსებებთან — ბავშვებთან, არ შეიძლება ჩავთვალოთ მათ მინუსად. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მათი წვლილი განმსაზღვრელია ასეთი არსებების კულტურულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

როგორც მეორე თეორია ამბობს, ქალების დაბალი სტატუსი განისაზღვრება მათი საშინაო საქმიანობაში ჩართულობით. თუმცა უნდა ითქვას, რომ მრავალი ქალი ახერხებს საზოგადოებრივ აქტივობასაც სახლის საქმეების გვერდით. იმის თქმაც შეიძლება, რომ ისინი ხელს უწყობენ მამაკაცების საზოგადოებრივ საქმიანობას, უვლიან რა მათ და მათ შვილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი რამ მამაკაცების გასაკეთებელი იქნებოდა და ნაკლები დრო დარჩებოდათ საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

განვითარების ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ოჯახური ურთიერთობები მართლაც გადამწყვეტ როლს თამაშობს საკუთარ სქესთან იდენტიფიკაციაში. პატარა ბიჭებს თავიდანვე ასწავლიან, რომ გოგონებზე „კარგები“ უნდა იყვნენ. „რა გოგოსავით იქცევი?“; „რა გატირებს, გოგო ხომ არა ხარ?“; „ბიჭებს არაფრის არ უნდა ეშინოდეთ!“ — ასეთი შენიშვნები ყოველდღიურად ესმით მათ. გარშემომყოფების მითითებების შესაბამისად, ისინი იძულებულნი ხდებიან უარი თქვან „ქალურ“ გამოვლინებებზე, რათა დაიმსახუროს მოწონება. მართალია ისიც, რომ მამა თავისი საქციელით ხელს უწყობს ბიჭში ქალების საქმისადმი შიშის განვითარებას, რამდენადაც ბავშვი ბაძავს მას, როგორც ავტორიტეტს. აქედან შეიძლება ითქვას, რომ „ქალურობისადმი“ შიში დასწავლის შედეგია.

ვეთანხმები ავტორის შეხედულებას, რომ სქესობრივი როლების დაახლოება და თანამშრომლობა სასარგებლო იქნება. ამ შემთხვევაში ორივე სქესს მეტი შესაძლებლობა ექნება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და არ შემოიზღუდოს მხოლოდ არსებული სტერეოტიპებით მინიჭებული როლებითა და აქტივობის სახეებით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი, რაც გაამართლებდა ქალების დაბალ სტატუსს მამაკაცებთან შედარებით. ქალებთან უფრო მეტადაა გამოხატული მთელი რიგი ისეთი თვისებები, რომლებიც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს. გარდა ამისა, ქალები არანაკლებ სასარგებლო საქმეებს აკეთებენ საზოგადოებისთვის. ვინაიდან ქალების საქმისადმი შიშის გამოწვევა ძირითადად დასწავლით ხდება, ის შეიძლება არც განვითარდეს აღზრდის სათანადო ზომების მიღების შემთხვევაში, ეს კი გამოიწვევს როლების დაახლოებას, რასაც უდავოდ დადებითი შედეგები მოჰყვება.

კრიტიკის ნიმუში 2

კრიტიკა მერი სტიუარტ ვან ლიუვენის სტატიისა „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს ‚ქალების საქმისა'?"

მერი სტიუარტ ვან ლიუვენი სტატიაში „სხვა კულტურებიდან დანახვა: უნდა ეშინოდეთ მამაკაცებს ‚ქალების საქმისა'?"-ცდილობს ახსნას საზოგადოებაში მამაკაცის მაღალი სოციალური სტატუსისა და ქალის დაბალი სოციალური სტატუსის გამომწვევი მიზეზები, რისთვისაც სამ ანთროპოლოგიურ თეორიას იმოწმებს. მათ თანახმად, ქალის რეპროდუქციული ქცევის თავისებურებანი, ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის სოციალიზაციის პროცესზე, საშინაო საქმეებში მეტად ჩართულობა, ის მიზეზებია, რის გამოც ქალები ნაკლებ მოიაზრებიან საზოგადოებრივ ასპარეზზე, შესაბამისად, ნაკლებ სოციალურ სტატუსსაც ფლობენ. არ აკისრიათ რა მსგავსი პასუხისმგებლობა, მამაკაცებს მეტი დრო რჩებათ საზოგადოებრივი აქტივობებისათვის და უფრო „კულტურულ" არსებებადაც არიან მიჩნეულნი. ავტორი გვირჩევს, რომ მივბაძოთ კულტურებს, სადაც მამაკაცისა და ქალის სქესობრივ როლებს შორის სხვაობა მინიმალურია, რადგან ამით მათი სტატუსების გათანაბრებას ვუწყობთ ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის არგუმენტები უდავოდ საინტერესოა, თუმცა, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად დამაჯერებელია ისინი, აუცილებელია მათი დეტალური განხილვა.

ის ფაქტიც კი, რომ ქალები მეტ დროს ატარებენ ბავშვებთან – საკმაოდ „თავშეუკავებელ და არასოციალიზებულ არსებებთან," ვერ გამოიწვევს ქალის „ბავშვურ" არსებად ფორმირებას. არა ბავშვთან ხანგრძლივი ურთიერთობა აქცევს ქალს ინფანტილურ არსებად, არამედ ხშირად, პირიქით, ქალის ხანგრძლივი მზრუნველობა იწვევს მისი ვაჟის ინფანტილურ მამაკაცად ჩამოყალიბებას. ხშირია შემთხვევები, როცა მეუღლეების ხანგრძლივი არყოფნის გამო, ასეთი ქალები ვაჟკაცურ თვისებებსაც ითავსებენ, საკმაოდ აქტიურები და მებრძოლები ხდებიან, და ოჯახის მართვის სადავეებსაც ეუფლებიან. ამდენად, ხშირად სწორედ მამაკაცები უფრო ინფანტილურ არსებებად გვევლინებიან, განსაკუთრებით, ისეთ ტრადიციულ კოლექტივისტურ კულტურებში, როგორიც საქართველოა, რაზეც ქართველთა ყოველდღიურ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ხატოვანი გამოთქმებიც მეტყველებს, კერძოდ, „დედიკოს ბიჭი," „დედის ნებიერი," „დედის კალთას ამოფარებული" და სხვ. სწორედ ის ეპითეტებია, რომელთაც დედის მოჭარბებული მზრუნველობით გარშემორტყმულ, ინფანტილურ ქართველ მამაკაცებს ამკობენ ხოლმე.

ვერ დავეთანხმები ავტორს იმაშიც, რომ უმამოდ გაზრდილი ვაჟის ხვედრი აუცილებლად „სუსტი და ამბივალენტური მასკულინური იდენტურობაა," რისი კომპენსირების მექანიზმსაც ქალებისა და მათი საქმისგან – ბავშვების მოვლისგან დისტანცირება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, მომდევნო თაობებში მამასა და ვაჟს შორის გაუცხოების მიზეზი ხდება. ხშირად სწორედ უმამოდ გაზრდილი ვაჟები ხდებიან საუკეთესო მეუღლეები და მამები, რადგან მათ თავად იწვნიეს უმამობის მძიმე ხვედრი, მთელი ბავშვობა ხედავდნენ, თუ როგორ იტანჯებოდა დედა, ითავსებდა რა ერთდროულად ქალისა და მამაკაცის ფუნქციებს, განიცადეს მამის თანადგომის არქონა ცხოვრების ყველაზე კრიზისულ პერიოდებში, ამდენად, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, ისინი, პირიქით, ცდილობენ საუკეთესო მეუღლეები და მამები გახდნენ და მუდამ მხარში დაუდგნენ საკუთარ ვაჟებს, რათა ეს უკანასკნელნი მსგავს მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ. ისტორიაში არაერთი გამოჩენილი ადამიანია, რომლის

ცხოვრებაც ამ ფაქტს გვიდასტურებს; ავიღოთ, თუნდაც საქართველოს მეფეები, რომელთა უმრავლესობა ამის ნიმუშს წარმოადგენს.

ამავე საკითხის განხილვისას, ავტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სტრატეგიის გამოყენებისას, ,,დაუცველი მამაკაცი" ცდილობს ,,შენიღბოს არაცნობიერი ,შიში ქალისადმი','' რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს ჩვენს არგუმენტს იმის შესახებ, რომ სწორედ მამაკაცი და არა ქალია ,,ბავშვური" არსება, რადგან, როგორც თავად ავტორი ამბობს, სწორედ ქალს (,,ძლევამოსილ" და ,,საშიშ'' არსებას) შეუძლია ,,დაუცველ" და უმწეო მამაკაცს ,,მასკულინური იდენტურობა შემოაცალოს." რომელია ამ შემთხვევაში უფრო ,,ბავშვური'' და უსუსური?

რაც შეეხება ავტორის არგუმენტს, რომ ,,საზოგადოებრივი სფერო, სადაც მამაკაცები დომინირებენ, თითქმის ყოველთვის იმსახურებს მეტ კულტურულ პატივისცემას, ვიდრე ქალების შინაური, ნაკლებ თვალსაჩინო აქტივობები," არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

ცნობილი ფსიქოლოგი დევიდ მაიერსი აღნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში სოციალიზაცია მიზნად ისახავს ვაჟების გარეოჯახური, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, გოგონების კი – შიდაოჯახური საქმიანობისათვის მომზადებას. მისი სიტყვებით, გენდერული სოციალიზაცია უზრუნველყოფს ვაჟებს ,,ფრთებით,'' გოგონებს კი - ,,ფესვებით." თუნდაც ეს შედარება ცხადყოფს, რომ ვაჟებს ადრეული ასაკიდანვე მეტი თავისუფლება, მეტი გასაქანი და სამომავლოდ მეტი პერსპექტივა გააჩნიათ. მიღწევები საზოგადოებრივ სფეროში იწვევს სოციალურ დაწინაურებას, შინაური საქმეების თუნდაც ბრწყინვალე შესრულება კი ვერავის მოუტანს საზოგადოებრივ აღიარებას. უფრო მეტიც, არსებობს კულტურები, სადაც საზოგადოებრივი სტატუსი განსაზღვრავს ადამიანის სტატუსს ოჯახში, მაგალითად, ტრადიციულ კულტურებში, სადაც მეტად დიფუზური ურთიერთობებია, მენეჯერი მენეჯერად რჩება ცხოვრების ყველა სფეროში, ოჯახშიც კი, და თავად ცოლ-შვილიც აღიქვამს მას, როგორც მენეჯერს და უსიტყვოდ ემორჩილება.

უნდა დავეთანხმო ავტორის ძირითად არგუმენტსა თუ რეკომენდაციას მამაკაცებისა და ქალების სქესობრივი როლებისა და საქმიანობის დაახლოვების შესახებ, რასაც, უდავოდ, ორმხრივი პოზიტიური შედეგი მოჰყვება. ერთის მხრივ, აღარც მამაკაცებს მოეჩვენებათ სათაკილოდ და მოსარიდებლად ,,ქალების საქმე," და აღარც მათ ვაჟებს შეექმნებათ საფრთხე, მამასთან არასაკმარისი კონტაქტის გამო, ,,დაუცველი მასკულინობა" და ,,ქალისადმი შიში" განუვითარდეთ. თუ ეს არაცნობიერად დამკვიდრდა პიგმის ერში, თანამედროვე განვითარებულმა ქვეყნებმა კარგად გააცნობიერეს ეს ტენდენცია, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ევროპასა და ამერიკაში სულ უფრო ხშირად შეხვდებით სიტუაციას, როცა მამა მონდომებით ამზადებს სადილს პატარა შვილების გარემოცვაში, ახალგაზრდა მამა გაღიმებული მოაბიჯებს ქუჩაში ,,კენგურუთი" ჩამოკიდებული თოთო ბავშვით, ანდა მამა და პატარა ვაჟები ენთუზიაზმით ეხმარებიან დედას სარეცხის გაფენაში. ასეთი სიუჟეტებით უხვად არის დახუნძლული სარეკლამო აბრები, ჟურნალები და საბავშვო ენციკლოპედიებიც კი. მეორეს მხრივ, ქალებიც აიმაღლებენ სოციალურ სტატუსს და მეტ პატივისცემას მოიპოვებენ საზოგადოების თვალში, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე დაწინაურდებიან და მეტ წვლილს შეიტანენ სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც, აგრეთვე ნათლად გააცნობიერეს მთელს მსოფლიოში, რაზეც მეტყველებს თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი საზოგადოებრივი მოღვაწე ქალის გამოჩენა. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მსოფლიოში არასოდეს ყოფილა იმდენი პოლიტიკოსი და მინისტრი ქალი, როგორც დღეს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ სფეროში მოღვაწეობა მხოლოდ მამაკაცების პრეროგატივაა, ქალები კი ოჯახში უნდა რჩებოდნენ და მხოლოდ ბავშვების მოვლით იყონ დაკავებულნი, თანდათან იცვლება და ადგილს უთმობს შეხედულებას, რომლის თანახმად, ორივე სქესის წარმომადგენლები თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში, რაც თავისთავად სცემს პასუხს ავტორის მიერ დასმულ შეკითხვას, რომ მამაკაცებს არ უნდა ეშინოდეთ ,ქალების საქმისა'.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა III. ანალიტიკური რეფერატი

ანალიტიკური რეფერატი წარმოადგენს აკადემიური წერის ჟანრს, რომლის მიზანია დებატის არსის წვდომა და წერილობითი ფორმით გადმოცემა, სტუდენტისათვის შერჩეული ორი ან სამი სტატიის საფუძველზე. თავის სტრუქტურით ანალიტიკური რეფერატი ძლიერ წააგავს კრიტიკას, იმ განსხვავებით, რომ თუ კრიტიკის წერისას სტუდენტი ერთ სტატიას განიხილავს, აქ უკვე ორ, ზოგჯერ კი სამ სტატიასთანაც აქვს საქმე. როგორც წესი, ეს არის ორი ან სამი სხვადასხვა ავტორის სტატია გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით და მათ ამ საკითხის მიმართ განსხვავებული პოზიცია უკავიათ. სტუდენტი ახდენს მოცემული სტატიების შედარებით ანალიზს და გამოხატავს საკუთარ პოზიციას ავტორების მიერ განხილული საკითხის მიმართ. მაგრამ უმთავრესი განსხვავება ანალიტიკურ რეფერატსა და კრიტიკას შორის მაინც ისაა, რომ თუ ეს უკანასკნელი იზოლირებულად იწერება ანუ სტუდენტი მხოლოდ ერთი სტატიის ანალიზითა და შეფასებით შემოიფარგლება (თუმცა კი მისი პოზიციის განმტკიცებისათვის სხვა ავტორთა შეხედულების დამოწმებას ახდენს), ანალიტიკური რეფერატის შემთხვევაში ის მოცემულ სტატიებს არა იზოლირებულად, არამედ შესაბამისი დისციპლინის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ჭრილში განიხილავს, ანუ უნივერსალიზაციას თუ კონტექსტუალიზაციას ახდენს. შესაბამისად, ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურა შემდეგ სახეს იძენს:

შესავალი: ავტორთა პოზიციების მოკლე შეჯამება;
კონტექსტუალიზაცია.

ძირითადი ნაწილი: I. წარმოდგენილ სტატიებში განხილული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი; ძალიან მოკლედ თითოეული ავტორის არგუმენტი მასთან დაკავშირებით; თქვენს მიერ ავტორთა მოსაზრებების შეფასება და საკუთარი პოზიციის წარმოდგენა.

II. წარმოდგენილ სტატიებში განხილული მეორე მნიშვნელოვანი საკითხი; ისევ მოკლედ თითოეული ავტორის არგუმენტი მასთან დაკავშირებით, რასაც თქვენივე შეფასება მოსდევს.

III. შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა — ავტორთა პოზიციების ანალიზი თქვენი კომენტარებით და ა.შ.

დასკვნა: საკუთარი შეფასებების შეჯამება და საბოლოო რეფლექსია.

ამდენად, ძალიან მოკლედ რომ შევაჯამოთ ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურა, შემდეგი ელემენტების გამოყოფას შევძლებთ: შეჯამება, კონტექსტუალიზაცია, ანალიზი, შეფასება და რეფლექსია.

აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გავითვალისწინოთ: სტუდენტები ხშირად სვამენ შეკითხვას, თუ როგორ გააანალიზონ სტატიები – ჯერ ერთი ავტორის შეხედულებები განიხილონ და მერე – მეორისა, თუ ის საკითხები გამოყონ, რასაც ორივე/სამივე ავტორი განიხილავს და ამის საფუძველზე თემატურად გააანალიზონ სტატიები. აკადემიური წერის სპეციალისტები გვირჩევენ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ აკადემიურ წერაში მრავლად მოიპოვება ორივე შემთხვევის ნიმუშები, უმჯობესია თემატურად გავაანალიზოთ სტატიები და არა ავტორების მიხედვით, რადგან ანალიტიკური რეფერატის უმთავრესი მიზანია ფოკუსირება მოახდინოს პრობლემებზე და დებატებზე მოცემულ დისციპლინაში და სწორედ ეს ფოკუსი განაპირობებს იმას, რომ მისი უმთავრესი კომპონენტია კონტექსტუალიზაცია.

უფრო დეტალურად გავეცნოთ ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურის შემადგენელ თითოეულ ნაწილს.

ჯერ კიდევ კრიტიკის ჟანრზე საუბრისას, განვიხილეთ სტატიის შეჯამების ტექნიკა, რაც პერიფრაზით იწყება (რათა თავიდან ავიცილოთ პლაგიატი) და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს ავტორის იდეების მოკლედ შეჯამებას, კრიტიკული კითხვის ტექნიკის გამოყენების კვალდაკვალ; კრიტიკული კითხვის ტექნიკის გამოყენება კი აუცილე-

ბელია იმიტომ, რომ მხოლოდ ის იძლევა საშუალებას, ღრმად გავაანალიზოთ ავტორის იდეები, რის გარეშეც უბრალოდ წარმოუდგენელია მათი ადეკვატური შეჯამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარჯიშო #1: პედაგოგი აძლევს სტუდენტებს ორ სტატიას, რომელზეც მომავალში ანალიტიკური რეფერატი უნდა დაწერონ და სთხოვს მათ პერიფრაზირებასა და შეჯამებას.

ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში უნდა სწავლობდნენ

ქენეთ მოტი (ცნობილი პედაგოგი)

ნიჭიერს ვუწოდებ ისეთ ბავშვებს, რომლებიც ფლობენ რაიმე განსაკუთრებულ თვისებასა თუ შინაგან უნარს, რაც არაერთმა ტესტმა თუ დაკვირვებამ დაადგინა და ვინც ავლენს ინტერესს და აღწევს წარმატებას ფიზიკურ, ინტელექტუალურ თუ არტისტულ სფეროებში.

ეს შეიძლება იყონ ბავშვები, რომლებიც ნიჭიერი ათლეტები არიან, მაგრამ უჭირთ აკადემიური საგნების ათვისება, ანდა სტუდენტები, რომლებიც არ გამოდგებიან ათლეტებად, მაგრამ ძალიან კარგი ინტელექტუალური მონაცემები აქვთ. „ნიჭიერი" შეიძლება ეწოდოს საშუალო გონებრივი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს, რომელმაც იშვიათი უნარი გამოავლინა მუსიკასა თუ ხელოვნებაში, ანდა ბავშვს, რომლის IQ 135 აღწევს და ყველაფერში წარმატებულია.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ნიჭიერ ბავშვებთან? მტკიცედ მწამს, რომ აუცილებელია მათი დაჯგუფება შესაბამისი ინტერესებისა და უნარების მიხედვით და ისეთ პროგრამებში ჩართვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი უნარების მთელი სისრულით გაღვივებას.

ამ დაჯგუფებას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საგნების მიხედვით დაჯგუფების ფორმა დაწყებით კლასებში; ასეთ შემთხვევაში კლასი ჰეტეროგენულად არის დაჯგუფებული დღის უმეტეს ნაწილში, მაგრამ დროდადრო, სპეციალური ინსტრუქტაჟის მიღების მიზნით, საგანგებო ინტერესებისა თუ უნარების ჯგუფებად იქნება დაყოფილი. მაღალ კლასებში მოსწავლეები შესაძლოა დაჯგუფებულ იყვნენ ჩვეულებრივ კლასებად, ოღონდ სხვადასხვა საგნობრივი პროფილის მიხედვით, გარკვეული ინტერესისა და ცოდნის ფლობის (არფლობის) შესაბამისად.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ნიჭიერთა დაჯგუფების წინააღმდეგ, ინტელექტუალური სნობების კასტის შექმნის საშიშროებაა. შესაბამისად, ზოგ პედაგოგს ეშინია, რომ საშუალო და სუსტი სტუდენტები საკუთარ თავს არასრულფასოვნად ჩათვლიან. თუ ნიჭიერთა შესახებ ჩემი დეფინიციით ვიხელმძღვანელებთ, ეს შიში უსაფუძვლო იქნება. სკოლები ხომ წლების განმავლობაში აჯგუფებენ ნიჭიერ ათლეტებს. მიუხედავად ამისა, რამდენი ათლეტი მიიჩნევს საკუთარ თავს ელიტის ნაწილად? განა ეს ათლეტები ზემოდან უყურებენ სხვა მოსწავლეებს? მათი აშკარა უმრავლესობა ასე არ იქცევა.

რამდენი „ნიჭიერ ბავშვთა წრეა" მეტყველებაში, მუსიკაში, ხელოვნებასა და ჟურნალისტიკაში. სკოლებმა სიამოვნებით დააჯგუფეს ნიჭიერი ბავშვები ამ სფეროებში, ყოველგვარი მავნე შედეგის გარეშე. ჩემი დაკვირვებით, ნიჭიერ ორატორთა, მუსიკოსთა, მხატვართა და მწერალთათვის მათი ნიჭის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, არ აღვივებს შურს ან არასრულფასოვნების გრძნობას ნაკლებ ნიჭიერ სტუდენტებში.

თუ პედაგოგებს გულწრფელად სურთ ხელი შეუწყონ ინდივიდუალურ განვითარებას, მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ ეშინოდეთ ნებისმიერი სახის დაჯგუფებისა. სწორედ მასწავლებელი და არა კლასის ორგანიზების ტიპი განსაზღვრავს სტუდენტების განწყობას ინდივიდუალურ განსხვავებათა მიმართ. სანამ შეეცდება შესაბამისი განწყობის დამკვიდრებას, პედაგოგმა ამ განსხვავებათა მიმართ საკუთარი განწყობის კრიტიკული ანალიზი უნდა მოახდინოს.

თუ ნიჭიერი და არანიჭიერი მოსწავლეების ჯგუფს მცდარი წარმოდგენა ჩამოუყალიბდება საკუთარ თავზე, ეს, ალბათ, მასწავლებლების, მშობლების ან ადმინისტრატორების ბრალია. ღრმად მწამს, რომ თუ მასწავლებლები პატივს სცემენ ინდივიდუალურ ღირსებას, თუ ისინი აღვივებენ ინტერესებს ახალგაზრდებში, თითოეული მოსწავლე წარმატებით განავითარებს საკუთარ უნარებს. უბრალოდ მომხრე ვარ, რომ მსგავსი „ნიჭით" დაჯილდოვებულნი ერთად იყონ და სიამოვნება მიიღონ ამ ერთიანობისაგან.

ბევრი პედაგოგი ეწინააღმდეგება ნიჭიერთა დაჯგუფების იდეას, რადგან მიაჩნია, რომ ეს ვერ ახდენს არსებით გავლენას შედეგებზე. პილოტაჟური გამოკვლევა აჩვენებს, რომ არსებით ცვლილებები არ არის თუ ბავშვები დაყოფილნი არიან ნელ და სწრაფ კლასებად. ისიც ფაქტია, რომ პილოტაჟურ გამოკვლევათა უმრავლესობაში ბავშვები დაჯგუფებულ იყვნენ მათი IQ ქულების მიხედვით, რომლებიც ნაკლებ სანდოა, დასკვნები კი დამყარებულია მიღწევის ქულებზე, რომლებიც ზომავს მხოლოდ ოსტატობას ან კონკრეტულ დეტალს. სამწუხაროდ, არ არსებობს რაიმე სანდო ინსტრუმენტი ისეთ სფეროებში განვითარების გასაზომად, როგორიცაა შემოქმედება, განწყობები, ლატენტური ინტერესი და ნიჭი, აგრეთვე, შინაგანი უნარი.

ჩემი შეხედულების თანახმად, რომელიც ემყარება 10 წელზე მეტ გამოცდილებას საკლასო ოთახში, სწავლის პროცესი გაცილებით წარმატებულია, როცა ინდივიდები დაჯგუფებულნი არიან მათი ინტერესების და უნარების შესაბამისად, მოტივირებულნი და შთაგონებულნი არიან სასკოლო სამუშაოთი.

ჰეტეროგენული საკლასო ოთახები ხშირად ფრუსტრაციას იწვევს იმ ბავშვებში, რომლებიც მუდმივად ჩამორჩებიან უმრავლესობას. ფრუსტრაცია მაშინაც ჩნდება, როცა ნიჭიერ ბავშვებს არ ეძლევათ შესაბამისი სასკოლო სამუშაო, რაც ხშირად ხდება ჰეტეროგენულ საკლასო ოთახებში.

ნაკლებად მაქვს იმის შიში, რომ ნიჭიერი მოსწავლეები უკან დაიხევენ, ვინაიდან მათ თავიანთ შესაძლებლობებზე მეტს მოსთხოვენ, რადგან მჯერა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას შესწევს უნარი იგრძნოს ზღვარი მოსწავლისადმი წაყენებული მოთხოვნებისა. მეორე მხრივ, მჯერა, რომ ნიჭი არ უნდა დაიკარგოს მარტო იმიტომ, რომ ნიჭიერ მოსწავლეს უწევს ლოკოკინის ტემპით მოძრაობა, ანდა პირველია მათ შორის, ვისაც ნაკლები უნარები აქვს.

რამდენიმე ჩემთვის ნაცნობმა სკოლამ დააჯგუფა ნიჭიერი ბავშვები საკი- თხავი პროგრამის მიხედვით (ჩვეულებრივ ერთი საკლასო ოთახი იყოფოდა მკითხველთა 3-4 ჯგუფად და მასწავლებელს უწევდა თითოეული ჯგუფისათვის შესაბამისი დროის გამოყოფა). ექსპერიმენტი გულისხმობდა სხვადასხვა საკლასო ოთახებიდან ნელი მკით- ხველების ერთ ოთახში მოთავსებას, საშუალო მკითხველებისა — მეორეში და სწრაფი მკითხველებისა — მესამეში. თითოეულ საკლასო ოთახს ჰყავდა ერთი მასწავლებელი, მაგრამ მას აღარ უწევდა ყურადღების გადანაწილება სხვადასხვა ჯგუფებზე. საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა კლასი, რომელსაც ძველი წესით ასწავლიდნენ.

ორი წლის შემდეგ, მკვლევერებმა აღმოაჩინეს საგრძნობი საერთო პროგრესი ექსპერიმენტული ჯგუფის ყველა დონეზე. ზოგი ნელი მკითხველი შეუერთდა საშუალო მკითხველთა ჯგუფს და ზოგი საშუალო მკითხველი გადავიდა სწრაფ მკითხველთა ჯგუფში.

დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი შედეგების მიღწევა შესაძლებელია საბუნების- მეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში, მათემატიკასა თუ ინგლისურში. ინტერესისა და/თუ უნარის დონეების რაოდენობის შემცირებით, მასწავლებელს შეუძლია მეტი გააკეთოს ინდივიდუალური ზრდის დასახმარებლად.

თუმცა არ ვთვლი, რომ ბავშვები უნდა განიხილებოდნენ იმ რესურსის სახით, რომელსაც ფორმა უნდა მიეცეს საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად, მჯერა, რომ როგორც ინდივიდები, ისინი დაჯილდოვებულნი არიან გარკვეული თვისებებითა და უნარებით — ბუნებისაგან ბოძებული „ნიჭით," რაც მათი პოტენციური წარმატების მაჩვენებელია. სადაც ბავშვებს ერთნაირი „ნიჭი" აქვთ, მათ ერთად მუშაობისა და სწავლის საშუალება უნდა მიეცეთ.

ნიჭიერი და ჩვეულებრივი ბავშვები ერთად უნდა სწავლობდნენ

ბრუნო ბეტელჰაიმი (ცნობილი ბავშვთა ფსიქოლოგი)

არგუმენტი, რომ ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში უნდა სწავლობდნენ, ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში მათი ინტელექტუალური ზრდა ფერხდება იმის სწავლებით, რაც ჩვეულებრივი ბავშვისთვისაა გათვალის- წინებული. უდავოა, რომ სპეციალურ კლასებს ნიჭიერი ბავშვებისათვის, შეუძლია დაეხმაროს მათ უფრო ადრე დაამთავრონ სწავლა და დაიკავონ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. მეორე მხრივ, ასეთი მოსწავლეების ჩვეულებრივი საკლასო ოთახებიდან გაყვანამ, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას როგორც მათ, ისე საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეუბნებიან, რომ ჩვეულებრივ საკლასო ოთახში ნიჭიერი ბავშვი კარგავს ინტერესს სწავლისადმი. ეს საჩივარი უფრო ხშირად უფროსებისაგან — მშობლებისა და პედაგოგებისაგან გვესმის, ვიდრე თავად მოსწავლეებისაგან. ამის საფუძველზე, ზოგიერთი მშობელი და პედაგოგი მიდის დასკვნამდე, რომ ნიჭიერი ბავშვებისათვის სპეციალური კლასები უნდა არსებობდეს.

თუმცა ზოგი მოწინავე მოსწავლე მართლაც წუწუნებს, რომ ინტერესს კარგავს სკოლაში, ამის მიზეზი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე სკოლის სამუშაო. თუ გრძნობების ფსიქოანალიტიკური შესწავლა ვალიდურია, მობეზრების გრძნობა ჩნდება, როგორც დაცვითი მექანიზმი აღელვების გრძნობის წინააღმდეგ. მოგბეზრდეს ნიშნავს აღელვებული იყო. მოსწავლე, რომელსაც მობეზრდა სწავლა, არის ადამიანი, რომელიც ვერ უმკლავდება საკუთარ აღელვებას. სინამდვილეში, მან უნდა სთხოვოს მასწავლებლებს, რომ მუდმივად დაკავებული ამყოფონ სწავლითა და ინტელექტუალური შეჯიბრით, და ის აღარ იგრძნობს აღელვებას. ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც მობეზრდა, არის აღელვებული ბავშვი. მისი ნევროზული დაცვითი მექანიზმების კვება შესაძლოა საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს, მაგრამ ნევროზის კვება არ ეხმარება მას, როგორც ადამიანს. ფსიქოლოგია, ბუნების მსგავსად, არ უშვებს ვაკუუმს. თუ მოსწავლეს არ აინტერესებს მასალა იმიტომ, რომ ადვილად ითვისებს მას, შედეგი არ იქნება აუცილებლად მობეზრება. სხვა ინტელექტუალურ ინტერესებს შეუძლია თავისუფალი დროის შევსება. ნუთუ აზრიანია ვიფიქროთ, რომ ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ მხოლოდ კურიკულუმის წნეხის ქვეშ?

რამდენიმე წლის წინ თავად დავაკვირდი, თუ რა დაემართათ ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც სპეციალური კერძო სკოლიდან, სადაც სწავლის ძალიან სწრაფი ტემპი და ძლიერი კონკურენცია იყო, გადაიყვანეს კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სახელმწიფო სკოლაში, სადაც სკოლის სამუშაო იმდენად მარტივი უნდა ყოფილიყო მათთვის, რომ „ინტერესი დაკარგვოდათ.".

დაკვირვებამ გამოავლინა საინტერესო განვითარება ახლადგადმოსულ ახალგაზრდებში. სპეციალურ სკოლაში ნიჭიერი ბავშვებისათვის, ისინი საკმარისად ვერ იყენებდნენ კრიტიკული შეფასების უნარს და უმეტესად მასწავლებლების მიერ არჩეულ მიმართულებას მისდევდნენ. უფრო ნელი ტემპის მქონე სკოლაში, სადაც აღარ ეშინოდათ ჩამორჩენისა, მათ სპონტანური რეაგირება დაიწყეს მრავალ პრობლემაზე, რომელთაგან ზოგიერთი არც კი იყო შეტანილი სასკოლო პროგრამაში. მათ ისწავლეს ცხოვრების, ხელოვნების, ლიტერატურის და სხვა ადამიანების უფრო მეტად დაფასება. აღარ იღლებოდნენ რა რთული დავალებების მზადებით, მათ რჩებოდათ ენერგია, რომ გაეფართოებინათ ინტერესები და უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ საკითხს.

გახანგრძლივებული და დაცული უსაფრთხოება, შესაძლოა, საუკეთესო სამზადისი იყოს რთულ ინტელექტუალურ პრობლემებთან გასამკლავებლად. რადგან ნიჭიერი ბავშვი ადვილად სწავლობს, მას ეუფლება უსაფრთხოების გრძნობა ჩვეულებრივ კლასში. მეორე მხრივ, თუ ასეთ ბავშვს მოათავსებენ სპეციალურ კლასში, სადაც სწავლა მისთვის მარტივი არ არის, სადაც ის საშუალო მოსწავლეა ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდებს შორის, მან შეიძლება ჩათვალოს, რომ საშუალო შესაძლებლობები აქვს და ვერ შეეჭიდება რთულ ამოცანებს; რაც ხშირად ხდება.

მეორე არგუმენტი, რომლის თანახმად, ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში უნდა სწავლობდნენ, ამტკიცებს, რომ განსაკუთრებული უნარების მქონე ბავშვების საკლასო ოთახიდან გაყვანა ამცირებს საშუალო მოსწავლეთა აღელვებას. შესაძლოა ეს ასეა; მაგრამ როგორ უნდა გადავლახოთ აღელვება, თუ არა მათთან მეგობრული თანამშრომლობის გზით, ვინც ჩვენზე მაღლა მდგომად გვეჩვენება, ამ შემთხვევაში, ვინც ჩვენზე უკეთ სწავლობს.

დღეს, ძალიან ბევრ დიდ ქალაქში, მოსწავლეებს, რომლებიც ჩამორჩებიან აკადემიურ პროგრამებში, უუნაროდ მიიჩნევენ. სინამდვილეში, მათი უმრავლესობა ღარიბი, დაბალი კლასის ოჯახებიდანაა. ცხოვრობენ რა იმ ახალგაზრდების გარემოცვაში, რომელთაც ნაკლებ აინტერესებთ განათლების მიღება, და აქვთ რა ნაკლები ურთიერთობა მათთან, ვინც სწავლას მოწყურებულია, ამასთანავე, ვერ ღებულობენ რა მხარდაჭერას ოჯახიდან, ასეთ ბავშვებს უჭირთ იდენტიფიკაცია, რაც ნაკლებად მოხდებოდა კლასში კარგი მოსწავლეებიც რომ ყოფილიყვნენ. წარმატების მისაღწევად, ბევრ ბავშვს ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახიდან, სჭირდება ნიმუში, რომელიც მოტივაციას გაუზრდის. დაჯგუფება კი ტოვებს მათ ყოველგვარი სტიმულის გარეშე. ისინი უბრალოდ ჩამორჩებიან, რაც იმედგაცრუებას უფრო გამოიწვევს, ვიდრე აღელვებას შეამცირებს. თუ რომელიმე მათგანს გამორჩეული უნარი აღმოაჩნდება, მას ნიჭიერთა ჯგუფში

გაგზავნიან, ტოვებენ რა კიდევ უფრო იმედგაცრუებულთ არანიჭიერთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

ინტელექტუალური უნარების მიხედვით, ბავშვების დაჯგუფებას ბევრი საერთო აქვს მთამსვლელობასთან. მთაზე ასვლისას, ჩვეულებრივ, წინ გიდი მიდის, უკან კი დამწყებნი ან ნაკლებ გამოცდილი მთამსვლელები მიჰყვებიან. თუ დამწყებს გამოცდილ მთამსვლელთა შორის მოათავსებენ, ის უკეთ და უფრო სწრაფად ისწავლის. თუკი ყველა კარგ მთამსვლელს ერთ მხარეს დააყენებენ, ყველა დამწყებსა და სუსტს კი — მეორე მხარეს, მეორე ჯგუფი საშინელ მარცხს განიცდის, ან შეიძლება ერთიანად დაიღუპოს კიდეც.

როცა დებატი ბავშვისათვის ,,საუკეთესო" განათლების შესახებ მწვერვალს აღწევს, ძირითადად იმაზე კამათობენ, თუ რა არის საუკეთესო საზოგადოებისათვის. დღეს გვეუბნებიან, რომ გვჭირდება მეტი მეცნიერი და ინჟინერი, რათა ,,გადავრჩეთ." ამიტომ უნდა დავაჩქაროთ შესაბამისი ნიჭის მქონე ახალგაზრდების აღზრდა. იცის ვინმემ, თუ რა იქნება ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილება 30 წლის შემდეგ? შეუძლია მეცნიერებას გადარჩენის გარანტია მოგვცეს? ნუთუ საზოგადოებას უფრო მეტად არ სჭირდება ახალი, შემოქმედებითი იდეები იმის შესახებ, თუ როგორ მოვახდინოთ მსოფლიო საზოგადოების ორგანიზება? ნუთუ, მეცნიერებზე მეტად, ფართო სოციალური ხედვის მქონე ადამიანები არ გვესაჭიროება? და რადგანაც იდეები ნელა მწიფდება, იქნებ ტემპის აჩქარება კი არ ღირს, არამედ, პირიქით, ჩვენი ზედმეტად სწრაფი ცხოვრების შენელება.

არ ვამბობ, რომ ჩვენ არ გვესაჭიროება ნიჭიერი ადამიანები და რომ მათ გარეშე უკეთ ვიცხოვრებდით. პირიქით, ჩვენი სკოლები აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს. უბრალოდ ვამბობ, რომ არგუმენტი ნიჭიერი ბავშვებისათვის სპეციალური განათლების შესახებ, მოკლებულია სერიოზულ მეცნიერულ საფუძველს. ის, რაც ამჟამად გვჭირდება, არის არა სწრაფი კომპენსაცია, არამედ ღრმა გააზრებასა და დაგეგმვაზე აგებული ფრთხილი ექსპერიმენტები.

სტატიების შეჯამების ნიმუში 1

ცნობილი ბავშვთა ფსიქოლოგი ბრუნო ბეტელჰაიმი და ცნობილი პედაგოგი ქენეთ მოტი, გამოთქვამენ თავიანთ არგუმენტებს ნიჭიერი და ჩვეულებრივი ბავშვების ერთად თუ ცალცალკე სწავლასთან დაკავშირებით. ბრუნო ბეტელჰაიმი ამტკიცებს, რომ ნიჭიერი და ჩვეულებრივი ბავშვები აუცილებლად ერთად უნდა სწავლობდნენ; ხოლო ქენეთ მოტი მიიჩნევს, რომ ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში უნდა სწავლობდნენ. მე ბრუნო ბეტელჰაიმის პოზიციას ვიზიარებ და ვთვლი, რომ საშუალო განათლება ერთნაირად უნდა მიიღონ ნიჭიერმა და ჩვეულებრივმა ბავშვებმა.

სტატიების შეჯამების ნიმუში 2

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, უნდა სწავლობდნენ თუ არა ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში. ამასთან დაკავშირებით გავეცანით პედაგოგ ქენეთ მოტისა და ბავშვთა ფსიქოლოგ ბრუნო ბეტელჰაიმის ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს. პირველი ამტკიცებს, რომ ნიჭიერთა სპეციალურ კლასებში დაჯგუფება არ წარმოადგენს საშიშროებას არც ერთი დონის მოსწავლისათვის. მეორე კი ეწინააღმდეგება ამ აზრს, რადგანაც ფიქრობს, რომ ამგვარი მიდგომა ვერ ახდენს გავლენას შედეგებზე. ამდენად, საბოლოო შეფასებისათვის აუცილებელია, საფუძვლიანად განვიხილოთ ნიჭიერ მოსწავლეთა სპეციალურ კლასებში დაჯგუფება-არდაჯგუფების საკითხი და გავაანალიზოთ ის არგუმენტები თუ კონტრარგუმენტები, რომლებიც მოტსა და ბეტელჰაიმს მოჰყავთ.

სავარჯიშო #2. შეადარეთ ერთმანეთს შეჯამების წარმოდგენილი ნიმუშები. მიუთითეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

შემდეგი საფეხურია კონტექსტუალიზაცია, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს მოცემული სტატიების და მათში წარმოდგენილი ძირითადი იდეების დისციპლინის კონტექსტში (ან კიდევ უფრო ფართოდ – საზოგადოებრივი ცხოვრების ჭრილში) განხილვას. იმისათვის, რომ კონტექსტუალიზაცია სათანადო დონეზე იყოს შესრულებული, სტუდენტი საკმაო ცოდნას უნდა ფლობდეს მოცემულ სფეროში და იცნობდეს დისციპლინაში მოღვაწე ავტორიტეტთა დამოკიდებულებას განსახილველი საკითხის მიმართ, რათა საკუთარი შეფასებების დასასაბუთებლად, სოლიდური

მხარდაჭერა ჰქონდეს. გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს საკითხის ისტორიულ პერსპექტივაში წარმოდგენა, რათა მკითხველმა იგრძნოს, რომ სტუდენტი მოცემული საკითხის ისტორიულ განვითარებასაც იცნობს, ამდენად, საკმაოდ კომპეტენტურია. საუკეთესო შემთხვევაში, საკითხის სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში განხილვასთან ერთად, სტუდენტი მას კროსკულტურულ პერსპექტივაშიც აანალიზებს.

წარმოგიდგენთ, მოცემული სტატიების საფუძველზე, სტუდენტების მიერ კონტექსტუალიზაციის განხორციელების რამდენიმე მცდელობას:

1. განათლების ორგანიზების პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს. სწავლების ეფექტური მეთოდები, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან (პლატონი, არისტოტელე...) მოყოლებული მწვავე დებატებს იწვევდა, რამაც კლასიკური სახე XIX საუკუნეში მიიღო, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე იან კომენსკი და მისი კოლეგები გამოჩდნენ. სწორედ მათი დიდი მონდომებით გახდა შესაძლებელი იმ მეთოდების განვითარება, რამაც თანამედროვე პედაგოგიკას ჩაუყარა საფუძველი. მართალია, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ საკითხმა არა თუ აქტუალობა დაკარგა, არამედ კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე...

2. განათლების სისტემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სოციალურ ინსტიტუტთა შორის, რომლის გარეშეც შეუძლებელია სოციალიზაციის პროცესის განხორციელება ანუ საზოგადოების ღირებულებათა თაობიდან თაობაზე გადაცემა. განათლების სისტემის ძირითადი ელემენტია სასწავლო დაწესებულებანი, დაწყებული სკოლებით და დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლებით. სკოლა, ოჯახთან ერთად, უპირველესი და განმსაზღვრელი რგოლია სოციალიზაციის პროცესში და სწორედ სკოლით იწყება აუცილებელი ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვება. ამდენად, საკითხი, თუ რა ფორმით გადასცემს სკოლა ამ ცოდნას მომავალ თაობას და როგორაა ორგანიზებული სწავლების პროცესი, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა...

3 ,,სწავლა სიკვდილამდეო" – ნათქვამია და თუნდაც ეს მცირე ფრაზა საკმარისია იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახდეს ადამიანისათვის განათლების მიღების უდიდესი მნიშვნელობა. იყო დრო, როცა განათლების მიღება ფუფუნებად ითვლებოდა და მხოლოდ წარჩინებულთა ხვედრი იყო, სხვებისათვის კი აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. სამრეწველო და დემოკრატიულმა რევოლუციებმა განათლების სისტემის მნიშვნელოვნად გაფართოებას შეუწყო ხელი და დღეს საშუალო განათლების მიღება უკვე სავალდებულოდაა მიჩნეული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. სასკოლო სწავლებისას მიღნეული წარმატებები და განვითარებული ინტერესები კი დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების მიღებაზე, შესაბამისად, სამომავლო კარიერაზეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე პირობებში ყველაზე მწვავე პრობლემას დასაქმება წარმოადგენს, სამსახურში მიღების მთავარ კრიტერიუმად კი შეძენილი ცოდნა გვევლინება, სწორედ სათანადო განათლება ყოფილა პიროვნებისათვის შემდგომი წარმატების საწინდარი. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდთა სწორი და ეფექტური სწავლების ფორმებს...

სავარჯიშო #3. პედაგოგი სთხოვს სტუდენტებს შეაფასონ კონტექსტუალიზაციის წარმოდგენილი ნიმუშები და მიუთითონ თითოეულის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამის შემდეგ სტუდენტები ქმნიან კონტექსტუალიზაციის საკუთარ ნიმუშებს.

შემდეგ ეტაპზე სტუდენტები უშუალოდ სტატიების შედარებით ანალიზს ახდენენ და ავტორთა პოზიციებს აფასებენ. კრიტიკის ჟანრის განხილვისას, უკვე გავეცანით ტექსტის ანალიზისა და შეფასების ტექნიკას, ამიტომ აქ ძალიან მოკლედ შევაჯამებთ და მხოლოდ ძირითადი პუნქტების სახით წარმოვადგენთ მას. ტექსტის ანალიზის ძირითადი საფეხურია:

ტექსტის ანალიზი

- როგორია ავტორის ძირითადი პოზიცია?
- რა არის ავტორის მიზანი?
- ვინ არის ავტორის მიერ ნაგულისხმევი მკითხველი?
- რა არგუმენტებს წარმოგვიდგენს ავტორი მისი პოზიციის მხარდასაჭერად?
- რა მონაცემების/ფაქტების საფუძველზე ახდენს ავტორი მისი არგუმენტების მხარდაჭერას?
- რა მოსაზრებები უდევს საფუძვლად ავტორის დასკვნებს?

ტექსტის შეფასება

- არის ავტორის არგუმენტი ლოგიკური?
- არის ტექსტი კარგად ორგანიზებული, ნათელი და ადვილად წაკითხვადი?
- არის ავტორის ფაქტები აკურატული?
- არის მნიშვნელოვანი ტერმინები ნათლად განსაზღვრული?
- არის არგუმენტები საკმარისად განმტკიცებული შესაბამისი მხარდაჭერით?
- განამტკიცებს თუ არა არგუმენტები ძირითად პოზიციას?
- შეესაბამება თუ არა ტექსტი ნაგულისხმევ მკითხველს?
- განიხილავს და უკუაგდებს თუ არა ტექსტი ოპონენტთა მოსაზრებებს?
- გეხმარებათ თუ არა ტექსტი მოცემული საკითხის გაგებაში?
- არის ტექსტში ისეთი სიტყვები და წინადადებები, რაც თქვენში ძლიერ რეაქციას იწვევს? როგორია ეს რეაქცია?
- რა უდევს საფუძვლად მოცემული საკითხისადმი თქვენს ამგვარ რეაქციას? სად და როდის შეიტყვეთ პირველად მის შესახებ? რა კავშირშია ეს ყველაფერი მოცემულ ტექსტთან?

რა შეკითხვებს წამოჭრის მოცემული ტექსტი? [Katz, S. and Scerl, J. (2003). *Critiques.* Retrieved May, 23, 2004, from http://www.criticalreading.com/]

განხილული საფეხურების საფუძველზე მოვახდენთ თითოეული სტატიის ანალიზსა და შეფასებას, და შემდეგ მათ შედარებით ანალიზს შევუდგებით. ამისათვის ძალიან ეფექტური საშუალებაა ვენის დიაგრამა, რომელიც ვიზუალურად გვიხატავს და უფრო თვალსაჩინოს ხდის ავტორთა პოზიციებს შორის მსგავსება-განსხვავებას. ვენის დიაგრამა შემდეგი სახისაა:



A ზონა ერთი ავტორის სპეციფიკურ არგუმენტებს მოიცავს, B ზონა – მეორისას, C – კი იმას, რაც მათ შორის საერთოა. ამდენად, A და B ზონები ავტორთა პოზიციებს შორის განსხვავება-კონტრასტს გვიხატავს, C – კი მსგავსებას. იდეების ამ ფორმით გადმოცემა გვეხმარება ლოგიკურად გავმართოთ და ეფექტურად დავგეგმოთ ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურა.

სავარჯიშო 4. ზემოთ განხილული საფეხურების საფუძველზე, სტუდენტები ახდენენ სავარჯიშო 1-ში წარმოდგენილი სტატიების შედარებით ანალიზსა და შეფასებას. სტუდენტები კლასში აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს.

ავტორთა პოზიციების შედარების ნიმუში 1

ბეტელჰაიმს მოჰყავს ერთი საინტერესო შედარება, იგი ინტელექტუალური უნარებით დაჯგუფებულ ბავშვებს მთამსვლელებს ადარებს: „თუკი ყველა კარგ მთამსვლელს ერთ მხარეს დააყენებენ, ყველა დამწყებსა და სუსტს კი — მეორე მხარეს, მეორე ჯგუფი საშინელ მარცხს განიცდის, ან შეიძლება ერთიანად დაიღუპოს კიდეც“. ცხადია, ამგვარმა დაჯგუფებამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქოლოიგური განწყობაზე. როდესაც რომელიმე ბავშვს აღმოუჩენენ განსაკუთრებულ უნარს და გააგზავნიან ნიჭიერთა ჯგუფში, დანარჩენი მოსწავლეები რჩებიან იმედგაცრუებულნი და ეკარგებათ სწავლის სტიმული, რადგან თავს უუნაროდ და დაჩაგრულად თვლიან.

ამის შესახებ ქენეთ მოტის პოზიცია ასეთია: „მჯერა, რომ ნიჭი არ უნდა დაიკარგოს მარტო იმიტომ, რომ ნიჭიერ მოსწავლეს უწევს ლოკოკინის ტემპით მოძრაობა, ანდა პირველია მათ შორის, ვისაც ნაკლები უნარები აქვთ“. ჩემი აზრით, თითოეული მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღიქმებოდეს ცალკე პიროვნებად, რომელიც ბუნებისაგან დაჯილდოებულია ინდივიდუალური თვისებებითა და უნარებით, ხოლო თუ როდის გამოამჟღავნებს ის განსაკუთრებულ ნიჭს, ესეც დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ თანატოლმა დაასწრო მეორეს რაიმე განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე უნიჭოა, რადგან ისინი მოზარდები არიან და ყოველ დღე ახალ-ახალი ინტერესებითა და ცოდნით ავსებენ საკუთარ სამყაროს, და რადგან ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან, არ შეიძლება ნაადრევად გადავწყვიტოთ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ბავშვების შესაძლებლობები.

ავტორთა პოზიციების შედარების ნიმუში 2

აღსანიშნავია ასევე მოსაზრება, რომლის გამოც ბევრი ეწინააღმდეგება გამორჩეულ მოსწავლეთა ცალკე კლასში დაჯგუფებას. მათ მიაჩნიათ, რომ ამგვარი მიდგომა ვერ ახდენს გავლენას შედეგებზე. იმის მიუედავად, რომ პილოტაჟურმა გამოკვლელებმა ეს შეხედულება დაადასტურა, ცნობილი პედაგოგი არ მიიჩნევს მას სანდო საბუთად, რადგან ფიქრობს, რომ არ არსებობს ინსტრუმენტი ნიჭის, ინტერესებისა და შემოქმედების გასაზომად. რაც შეეხება ცნობილ ფსიქოლოს, ის ამბობს, რომ ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ ჯგუფებში შეზღუდულები არიან. როდესაც ნიჭიერი მოსწავლე გადმოიყვანეს ჩვეულებრივ სკოლაში, მან გამოავლინა უფრო ღრმა კრიტიკული აზროვნება, რისი საშუალებაც არ ჰქონდა სპეციალურ ჯგუფში. ამის დამადასტურებელი მაგალითი შემიძლია ჩემივე ცხოვრებისეული პრაქტიკიდან მოვიყვანო. მეშვიდე კლასში მათემატიკის საუკეთესო ცოდნისთვის მასწავლებელმა და მშობლებმა აიძულეს ერთ-ერთი კლასელი კომაროვის სახელობის სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. მერვე კლასში კი ის ბიჭი ჩემი კლასელი გახდა იმ მიზეზით, რომ ვერ დაძლია სირთულეები ისე თავისუფლად, როგორც ამას ჩვენს სკოლაში ახერხებდა და ვერ დაიმსახურა მასწავლებლის მხრიდან ის საქებარი სიტყვები, რომლითაც აქაური პედაგოგი ანებივრებდა. ამ ყოველივემ კი მასში ერთგვარი პროტესტის შეგრძნება გამოიწვია, ანუ დადგა სწორედ ის ფრუსტრაციის პრობლემა, რომელზეც შემდგომში ქენეთ მოტიც საუბრობს და რომლის საშიშროებასაც ისევ და ისევ გრძნობს.

სავარჯიშო #5. შეადარეთ ერთმანეთს ავტორთა პოზიციების შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები. მიუთითეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

სავარჯიშო #6. ანალიტიკური რეფერატის I ვერსიის შექმნა და ჯგუფში პრეზენტაცია. სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს, რასაც ანალიტიკური რეფერატის საბოლოო ვერსიის შექმნა მოჰყვება.

ანალიტიკური რეფერატის ნიმუში 1

სწავლების პროცესის ორგანიზების შესახებ
(ანალიტიკური რეფერატი)

ცნობილი ბავშვთა ფსიქოლოგი ბრუნო ბეტელჰაიმი და ცნობილი პედაგოგი ქენეთ მოტი, გამოთქვამენ თავიანთ არგუმენტებს ნიჭიერი და ჩვეულებრივი ბავშვების ერთად თუ ცალ-ცალკე სწავლასთან დაკავშირებით. ბრუნო ბეტელჰაიმი ამტკიცებს, რომ ნიჭიერი და ჩვეულებრივი ბავშვები აუცილებლად ერთად უნდა სწავლობდნენ; ხოლო ქენეთ მოტი მიიჩნევს, რომ ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში უნდა სწავლობდნენ. მე ბრუნო ბეტელჰაიმის პოზიციას ვიზიარებ და ვთვლი, რომ საშუალო განათლება ერთნაირად უნდა მიიღონ ნიჭიერმა და ჩვეულებრივმა ბავშვებმა.

განათლების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისთვის. დღესდღეობით ყველაზე მწვავე პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. შესაბამისად, სამსახურის დაწყების მთავარი კრიტერიუმია, თუ როგორი განათლება აქვს მიღებული ადამიანს. სწორედ განათლებაა პიროვნებისთვის შემდგომი წარმატების საწინდარი, რის გამოც ხშირია კონკურენცია განათლებულ ადამიანებს შორის. ამიტომაც აუცილებელია ყურადღება მიექცეს მოზარდთა სწორი და ეფექტური სწავლა-განათლების ფორმებს.

როდესაც ლაპარაკია ნიჭიერი ბავშვების ცალკე ჯგუფის შექმნაზე, ქენეთ მოტის მოსაზრებით, სხვადასხვა უნარისა და ინტერესის მქონე ბავშვები უნდა დაჯგუფდნენ

შესაბამის ჯგუფებში, რათა შეძლონ უკეთ გააღვივონ საკუთარი ინტერესები. ბეტელჰაიმის აზრით კი, ნიჭიერი ბავშვისათვის ჩვეულებრივ საკლასო ოთახში სწავლის გახანგრძლივება სულაც არაა საზიანო, პირიქით, ამ დროს მას ეუფლება უსაფრთხოების გრძნობა, ხოლო ნიჭიერ ბავშვებში მან შეიძლება თავი სუსტად იგრძნოს, რის შედეგადაც სრულიად დაეკარგოს სწავლის სურვილი.

აუცილებელია თანატოლმა მოზარდებმა განათლება მიიღონ ერთი და იმავე პროგრამით, რათა მსგავსი სასტარტო პირობები ჰქონდეთ. გარდა ამისა, ცალკე დაჯგუფების შემთხვევაში, ხშირია ციინიკური დამოკიდებულება ნიჭიერი მოსწავლეების მხრიდან, თანაბარი პირობების შემთხვევაში კი ადგილი აღარ ექნება ჩაგვრასა და ციინიზმს.

ბეტელჰაიმი იმასაც ამტკიცებს, რომ ნელი ტემპის სკოლაში, სადაც მოსწავლეებს არ ექნებათ ჩამორჩენის შიში, ისინი დაიწყებენ რეაგირებას კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაზე, რითაც გაიფართოვებენ ცოდნის არეალს და გაიღრმავებენ ინტერესებს. როგორც ქენეთ მოტი ამტკიცებს, ნელი ტემპის სკოლებში ნიჭიერი ბავშვები ფრუსტრაციას განიცდიან, რადგან არ ეძლევათ შესაბამისი სასკოლო სამუშაო, მაგრამ არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ნიჭიერი ბავშვები გადაჰყავთ ნიჭიერთა სკოლებში. სწორედ მაშინ უჩნდებათ ფრუსტრაციის შეგრძნება, როცა აღმოჩნდება, რომ დანარჩენ ნიჭიერ მოსწავლეებთან შედარებით, ისინი ნაკლებად ნიჭიერნი არიან. ჩემი აზრით, ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემა წამოიჭრება. შეფასების განსხვავებული სისტემა. ცხადია, ნიჭიერთა ჯგუფებში უფრო მკაცრად ხდება შეფასება, ვიდრე ჩვეულებრივ ჯგუფებში, შესაბამისად, რთულია წინასწარ განსაზღვრა, ჩვეულებრივი კლასის ხუთოსანი მოსწავლე რა ნიშნებზე ისწავლიდა ნიჭიერთა კლასში. ეს შეიძლება გახდეს ფრუსტრაციის ერთ-ერთი მიზეზი.

შემიძლია მოვიყვანო პირადი მაგალითი: როდესაც მე-7 კლასში ვიყავი, ჩვენთან გადმოვიდა ახალი მოსწავლე კომაროვის სკოლიდან, რომელიც ტექნიკურ საგნებში ჩვენი კლასის ერთ-ერთი ხუთოსანი მოსწავლე გახდა, როდესაც ვკითხეთ, თუ რატომ გადმოვიდა ჩვენს სკოლაში, მან გვიპასუხა, რომ იქ ტექნიკურ საგნებში მასწავლებლები სამებს უწერდნენ, მაშინ როცა ჩვენს კლასში იგივე საგნებს წარჩინებით სწავლობდა.

ბეტელჰაიმს მოჰყავს ერთი საინტერესო შედარება, იგი ინტელექტუალური უნარებით დაჯგუფებულ ბავშვებს მთამსვლელებს ადარებს: „თუკი ყველა კარგ მთამსვლელს ერთ მხარეს დააყენებენ, ყველა დამწყებსა და სუსტს კი — მეორე მხარეს, მეორე ჯგუფი საშინელ მარცხს განიცდის, ან შეიძლება ერთიანად დაიღუპოს კიდეც“. ცხადია, ამგვარმა დაჯგუფებამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქოლოგიური განწყობაზე. როდესაც რომელიმე ბავშვს აღმოუჩენენ განსაკუთრებულ უნარს და გააგზავნიან ნიჭიერთა ჯგუფში, დანარჩენი მოსწავლეები რჩებიან იმედგაცრუებულნი და ეკარგებათ სწავლის სტიმული, რადგან თავს უუნაროდ და დაჩაგრულად თვლიან.

ამის შესახებ ქენეთ მოტის პოზიცია ასეთია: „მჯერა, რომ ნიჭი არ უნდა დაიკარგოს მარტო იმიტომ, რომ ნიჭიერ მოსწავლეს უწევს ლოკოკინის ტემპით მოძრაობა, ანდა პირველია მათ შორის, ვისაც ნაკლები უნარები აქვთ“. ჩემი აზრით, თითოეული მოსწავლე უნდა აღიქმებოდეს ცალკე პიროვნებად, რომელიც ბუნებისაგან დაჯილდოებულია ინდივიდუალური თვისებებითა და უნარებით, ხოლო თუ როდის გამოამჟღავნებს ის განსაკუთრებულ ნიჭს, ესეც დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ თანატოლმა დაასწრო მეორეს რაიმე განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე უნიჭოა, რადგან ისინი მოზარდები არიან და ყოველ დღე ახალ-ახალი ინტერესებითა და ცოდნით ავსებენ საკუთარ სამყაროს, და რადგან ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან, არ შეიძლება ნაადრევად გადავწყვიტოთ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ბავშვების შესაძლებლობები.

ამრიგად, ქენეთ მოტის და ბრუნო ბეტელჰაიმის სტატიებში განხილული საკითხებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: აუცილებელია ნიჭიერმა და ჩვეულებრივმა ბავშვებმა თანაბარ პირობებში მიიღონ საშუალო-სასკოლო განათლება, რადგან მათ ექნებათ საშუალება განსაკუთრებული უნარები და ინტერესები გამოავლინონ, როდესაც დაამთავრებენ სკოლას და აირჩევენ მომავალ სპეციალობას. ასე რომ, მიუხედავად განსხვავებული ნიჭისა და უნარებისა, თანატოლი მოზარდები, თანაბარ პირობებში უნდა სწავლობდნენ და სხვადასხვა უნარების მქონე ბავშვებთან ურთიერთობით, იძენდნენ მრავალმხრივ გამოცდილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების პროცესის ორგანიზების შესახებ (ანალიტიკური რეფერატი)

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, უნდა სწავლობდნენ თუ არა ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ კლასებში. ამასთან დაკავშირებით გავეცანით პედაგოგ ქენეთ მოტისა და ბავშვთა ფსიქოლოგ ბრუნო ბეტელჰაიმის ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს. პირველი ამტკიცებს, რომ ნიჭიერთა სპეციალურ კლასებში დაჯგუფება არ წარმოადგენს საშიშროებას არც ერთი დონის მოსწავლისათვის. მეორე კი ეწინააღმდეგება ამ აზრს, რადგანაც ფიქრობს, რომ ამგვარი მიდგომა ვერ ახდენს გავლენას შედეგებზე. ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, განათლების სისტემა არის სფერო, რომელიც ყველაზე მეტ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, სანამ რაიმე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რადგან მოსწავლეები, მოზარდები, სტუდენტები არიან ადამიანები, რომელთა განათლების საფუძველზეც ქვეყნისა თუ მსოფლიოს მომავალი იგება. ამ შემთხვევაში კი შეცდომის დაშვება დაუშვებელია. ამდენად, აუცილებელია საფუძვლიანად განვიხილოთ ეს კონკრეტული საკითხიც — ნიჭიერ მოსწავლეთა სპეციალურ კლასებში დაჯგუფება და გავაანალიზოთ ის არგუმენტები თუ კონტრარგუმენტები, რომლებიც მოჰყავთ მოტსა და ბეტელჰაიმს.

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ორივე ავტორი ამახვილებს ყურადღებას, არის არასრულფასოვნების შეგრძნება, რომელიც უჩნდება საშუალო და სუსტ მოსწავლეებს. ბრუნო ბეტელჰაიმის აზრით, როდესაც ნიჭიერი მოსწავლე სპეციალურ ჯგუფში გადაჰყავთ, მას ეჭვი შეაქვს საკუთარ ძალებში და იპყრობს შეგრძნება, რომ რთულ ამოცანებს ვერ შეეჭიდება. თუმცა ამ აზრს არ ეთანხმება ქენეთ მოტი და ამბობს, რომ ამის საშიშროება არ არსებობს; ამასთანავე, მას მაგალითად მოჰყავს ის ნიჭიერი ათლეტები, რომლებიც სპეციალურ კლასებში დააჯგუფეს და ამბობს, რომ არც ერთი მათგანი ზემოდან არ დასცქერის თავის შედარებით სუსტ ტანატოლს. პირველ რიგში, აუცილებელი გავარკვიოთ, საერთოდ რას ნიშნავს იყო ნიჭიერი. აქ, ალბათ, საუბარი ინდა იყოს ზოგად აზროვნებასა და ცოდნაზე და არა ათლეტებზე, რისი მაგალითიც მოჰყავს ქენეთ მოტს და რაც სავსებით არ წარმოადგენს აუცილებლობას სხვა მოსწავლეთათვის. ასევე ვფიქრობ, რომ მის სიტყვებს „ნიჭიერი მოსწავლეები ზემოდან არ დასცქერიან სუსტებს", სჭირდება სათანადო დასაბუთება, რადგანაც, შესაძლოა, მკითხველმა ეჭვი შეიტანოს მის სანდოობაში. სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს 2000 წელს საფრანგეთის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი მკვლელობა, რომელიც იმიტომ მოხდა, რომ ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოსწავლემ აბუჩად აიგდო თავისი თანატოლი, რომელიც გონებრივად და ფიზიკურად არ იყო სრულფასოვანი; მისმა მეგობარმა კი დაიცვა იგი და სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ სიცოცხლეს გამოასალმა მეგობრის დამჩაგვრელი კლასელი.

ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლის როლი სრულფასოვანი მოსწავლეების, როგორც „ღირსებების მქონე ინდივიდების," ჩამოყალიბებაში. ამ საკითხზე საუბრობს ქენეთ მოტი. მისი აზრით, არავითარი საფუძველი არ არსებობს გვეშინოდეს ნიჭიერთა სპეციალურ კლასებში დაჯგუფებისა, რადგან სწორედ პედაგოგი და არა კლასის ორგანიზების ტიპი განსაზღვრავს მოსწავლეების განწყობას ინდივიდუალურ განსხვავებათა მიმართ. ვფიქრობ, მასწავლებლის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ ამგვარი დაჯგუფება სამართლიანად მივიჩნიოთ. პედაგოგს დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო ბავშვების აღზრდისა და განათლების საქმეში, ასევე კლასში საერთო ატმოსფეროს შექმნაში, მაგრამ მაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც უფრო მეტად ახდენს გავლენას მოსწავლეების ფსიქიკაზე, სწორედ მათივე ურთიერთდამოკიდებულებაა. პედაგოგი ყოველთვის ვერ აკონტროლებს მოსწავლეთა ქცევას, მას ძირითადი აქცენტი თავის საგანზე და მის შესწავლაზე აქვს გადატანილი, ამიტომ შესაძლოა მხედველობიდან გამორჩეს ის არასწორი ქმედება, რომელსაც, ვთქვათ, ერთი მოსწავლე მეორის მიმართ ახორციელებს. ზემოთ ნახსენები მაგალითის მსგავსი ფაქტები ბევრი არსებობს, თუმცა ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევებში არაპროფესიონალ პედაგოგებთან გვაქვს საქმე. ეს თავისთავად მათგან დამოუკიდებლად ხდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ქენეთ მოტის შეხედულება პედაგოგის როლზე შეიძლება გაზიარებულ იქნას, თუმცა, ვთვლი, რომ არგუმენტად არ გამოდგება იმისთვის, რომ დავეთანხმოთ ნიჭიერთა დაჯგუფებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურ კლასებში.

აღსანიშნავია ასევე მოსაზრება, რომლის გამოც ბევრი ეწინააღმდეგება გამორჩეულ მოსწავლეთა ცალკე კლასში დაჯგუფებას. მათ მიაჩნიათ, რომ ამგვარი მიდგომა ვერ ახდენს გავლენას შედეგებზე. იმის მიუედავად, რომ პილოტაჟურმა გამოკვლელებმა ეს შეხედულება დაადასტურა, ცნობილი პედაგოგი არ მიიჩნევს მას სანდო საბუთად, რადგან ფიქრობს, რომ არ არსებობს ინსტრუმენტი ნიჭის, ინტერესებისა და შემოქმედების გასაზომად. რაც შეეხება ცნობილ ფსიქოლოს, ის ამბობს, რომ ნიჭიერი ბავშვები სპეციალურ ჯგუფებში შეზღუდულები არიან. როდესაც ნიჭიერი მოსწავლე გადმოიყვანეს ჩვეულებრივ სკოლაში, მან გამოავლინა უფრო ღრმა კრიტიკული აზროვნება, რისი საშუალებაც არ ჰქონდა სპეციალურ ჯგუფში. ამის დამადასტურებელი მაგალითი შემიძლია ჩემივე ცხოვრებისეული პრაქტიკიდან მოვიყვანო. მეშვიდე კლასში მათემატიკის საუკეთესო ცოდნისთვის მასწავლებელმა და მშობლებმა აიძულეს ერთ-ერთი კლასელი კომაროვის სახელობის სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. მერვე კლასში კი ის ბიჭი ჩემი კლასელი გახდა იმ მიზეზით, რომ ვერ დაძლია სირთულეები ისე თავისუფლად, როგორც ამას ჩვენს სკოლაში ახერხებდა და ვერ დაიმსახურა მასწავ-ლებლის მხრიდან ის საქებარი სიტყვები, რომლითაც აქაური პედაგოგი ანებივრებდა. ამ ყოველივემ კი მასში ერთგვარი პროტესტის შეგრძნება გამოიწვია, ანუ დადგა სწორედ ის ფრუსტრაციის პრობლემა, რომელზეც შემდგომში ქენეთ მოტიც საუბრობს და რომლის საშიშროებასაც ისევდაისევ გრძნობს.

მნიშვნელოვანი საკითხია ეკონომიკური პირობები და ამით გამოწვეული პრობ-ლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეებზე. სამწუხაროდ, ამ საკითხზე არ საუბრობს პედაგოგი, თუმცა დამაჯერებლად მსჯელობს ბავშვთა ფსიქოლოგი, ბევრ დიდ ქალაქში მოსწავლეებს, რომლებიც ჩამორჩებიან სხვადასხვა პროგრამებში, უუნაროდ მიიჩნევენ, სინამდვილეში, მათი უმრავლესობა დაბალი ფენის ოჯახებიდანაა. ეს ხელისშემშლელი პირობები უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეებზე და იწვევს სტიმულის დაკარგვასა და იმედგაცრუებას. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ამის დამადასტურებელ მაგალითებს უამრავს მოვიძიებთ. როგორც ცნობილია, წარსულში მხოლოდ დიდგვაროვან ოჯახებში აღზრდილ ბავშვებს ჰქონდათ უფლება მიეღოთ განათლება. ღარიბი ბავშვები კი, დიდი სურვილის მიუხედავად, უსწავლელნი რჩებოდნენ. თუნდაც გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი", რომელიც მაშინდელ რელობას ასახავს. ცოდნას მოწყურებული ღარიბი გაბრო ვერასოდეს შეძლებდა განათლების მიღებას, რომ არა ის ბედნიერი შემთხვევა, რომელმაც გლეხის ბიჭი უანგაროდ მომუშავე მასწავლებელს შეახვედრა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სპეციალურ კლასებში ნიჭიერ მოსწავლეთა დაჯგუფება არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც შევამჩნევდით, რომ უფრო ზუსტად მის უარყოფით თვისებებზე მოგვიწია საუბარი, ვიდრე დადებითზე. აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია ნებისმიერი წამოწყება თუ რეფორმა, რომელიც ბავშვებში ემოციური მდგომარეობის გამძაფრებას იწვევს და დიფუზურს ხდის მათ შინაგან სამყაროს. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვჭირდება ნიჭიერი ადამიანები. პირიქით, მათი არსებობის გარეშე ვერ განვითარდებოდა მსოფლიო ისე, როგორც დღეს არის; უბრალოდ საჭიროა სხვადასხვა კარგად დაგეგმილი, ფრთხილი ექსპერიმენტებისა და კვლევების ჩატარება, რათა დავადგინოთ თუ როგორ მივიღოთ სასურველი შედეგი ისე, რომ არც სუსტ მოსწავლეს გავუჩინოთ არასრულფასოვნების განცდა და არც ნიჭიერი მოსწავლე დავჩაგროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა IV. კვლევითი ნაშრომი

კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს აკადემიური პრობლემის წერილობითი ფორმით გადაჭრას საბიბლიოთეკო გამოკვლევის ან თავად სტუდენტის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის საფუძველზე. შესაბამისად, ის ორი სახისაა: საბიბლიოთეკო და ექსპერიმენტული. ეს ორი სახის კვლევითი ნაშრომი სხვადასხვა მიზანს ემსახურება: პირველი აჯამებს და აფასებს არსებულ წყაროებს, რათა საკუთარი თეზისი განავითაროს; მეორე კი მოიპოვებს პირველად ინფორმაციას სოციალური კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, იქნება ეს ექსპერიმენტი, ინტერვიუ, კონტენტ-ანალიზი, თუ სხვ. მიზნიდან გამომდინარე, მათი სტრუქტურაც განსხვავებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამართული კვლევითი ნაშრომი, იქნება ეს საბიბლიოთეკო თუ ექსპერიმენტული, მსგავსი ნიშნებით გამოირჩევა:

- ნაშრომში განსაზღვრულია პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები;
- ნაშრომში ნათლადაა გააზრებული პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროები;
- ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია;
- ნაშრომი ლოგიკური თანმიმდევრულობით გამოირჩევა;
- ნაშრომი აკადემიური სტილით არის შესრულებული;
- ნაშრომი სწორად და აკურატულად ახდენს ციტირებას, პერიფრაზირებასა და შეჯამებას;
- ნაშრომში სწორად და აკურატულადაა მითითებული „ჩართულები";
- ნაშრომში მკაცრად არის დაცული წყაროების მითითების ერთი განსაზღვრული ფორმატი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კვლევითი ნაშრომი – საბიბილიოთეკოა ის თუ ექსპერიმენტული, გარკვეულწილად მსგავსადაა ორგანიზებული, რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ APA ფორმატის ფარგლებში. როგორც ითქვა, ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის — APA-ს მიერ შემოთავაზებული ფორმატი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია სოციალურ მეცნიერებებში და, კრიტიკაზე საუბრისას, უკვე განვიხილეთ, თუ როგორ უნდა მივუთითოთ „ჩართულები" მისი გამოყენებით. გავეცნოთ APA სტილის გამოყენებას ნაშრომის მთლიან სტრუქტურაში:

სათაურის გვერდი მოიცავს სამ ძირითად სათაურს:

- ნაშრომის სათაური (მაქსიმუმ 10-12 სიტყვა.);
- სტუდენტის სახელი და გვარი;
- სასწავლო დაწესებულება.

თითოეულს შორის დაშორება ორი 2-2 ინტერვალია და გათანაბრებულია გვერდის ცენტრში მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ. თუ ნაშრომის სათაურს ერთ სტრიქონზე მეტი უკავია, ისიც 2-ინტერვალიანია.

სათაურის გვერდს მოსდევს *ანოტაცია ანუ აბსტრაქტი*, რაც ნაშრომის შეჯამებაა. ის მოთავსებულია გვერდის ცენტრში, 2 ინტერვალითაა დაშორებული სათაურიდან და წარმოადგენს ერთ პარაგრაფს, რომელიც აბზაცის გარეშეა დაწერილი. ანოტაცია შედგება 75-100 სიტყვისაგან თეორიული ნაშრომებისათვის და 100-150 სიტყვისაგან ემპირიული ნაშრომებისათვის.

ნაშრომის *ძირითადი ნაწილი* ითვალისწინებს შემდეგ დეტალებს:

- გვერდი ყოველი მხრიდან 1.5 ინტერვალითაა დაშორებული;
- მთელი ნაშრომი 2-ინტერვალიანია, გარდა მცირერიცხოვანი გამონაკლისებისა: ცხრილებსა და გრაფიკებში ნებადართულია 1-ინტერვალის გამოყენება; ქვესათაურებისა და სქოლიოს წინ, აგრეთვე ტექსტში ცხრილების წინ და შემდეგ, 3-4 ინტერვალის გამოყენებაა ნებადართული;

• ნაშრომის პირველი გვერდი იმეორებს სათაურს, რომელიც მოთავსებულია გვერდის ცენტრში და 2-ინტერვალითაა დაშორებული ტექსტიდან;

• ყველა პარაგრაფი 5-ინტერვალიანი აბზაცით იწყება;

• შესავალი უსათაუროა, ყველა დანარჩენი ნაწილი კი (მეთოდები, შედეგები, დისკუსია/დასკვნა, ბიბლიოგრაფია) – სათაურიანი; ისინი დამოუკიდებელ თავებს წარმოადგენენ, ამიტომ თითოეული მათგანი ახალი გვერდიდან იწყება;

• ყველა სათაური დიდი შრიფტით არის დაბეჭდილი და ცენტრში გათანაბრებული;

ნებისმიერი *ცხრილი და გრაფიკი* მოთავსებულია შესაბამის ადგილას ტექსტში:

• მოკლე ცხრილები და გრაფიკები ჩართულია ტექსტებს შორის იმავე გვერდზე;

• გრძელი ცხრილები და გრაფიკები ცალკე გვერდზეა მოთავსებული, უშუალოდ იმ გვერდის შემდეგ, რომელზეც ისინი პირველადაა ნახსენები;

• სათაურები დგას ცხრილების დასაწყისში და გრაფიკების ბოლოს;

ნებისმიერი *დანართი,* რომელიც სტატისტიკურ მონაცემებს გვაცნობს, მოთავსებულია სულ ბოლოს, ბიბლიოგრაფიის შემდეგ;

• თითოეული დანართი იწყება ახალი გვერდიდან;

• გვერდის ნომერი დანართშიც უნდა იყოს მითითებული;

• დანართის სათაურები ,,დანართი 1", ,,დანართი 2" და ა.შ. გათანაბრებულია გვერდის ცენტრში. [Sorenson, S. (3rd ed.). (2002). *How to Write Research Papers.* New York: Macmillan Reference USA.]

ამ საერთო მახასიათებლების განხილვის შემდეგ, უშუალოდ კვლევითი ნაშრომის სტრუქტურასა და შინაარსზე გადავიდეთ. დავიწყოთ საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომით.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის შექმნისას, სტუდენტმა შემდეგი საფეხურები უნდა გაიაროს მითითებული თანმიმდევრობით:

• საკვლევი პრობლემის დასმა;

• საკვლევი თეზისის ჩამოყალიბება;

• წყაროების მოძიება;

• წყაროების შეფასება;

• წყაროებიდან ინფორმაციის მონიშვნა, ამოღება;

• ციტატებზე მუშაობა;

• პერიფრაზირება და შეჯამება;

• ნაშრომის პირველი ვერსის შექმნა;

• ბიბლიოგრაფიის მითითება;

• ნაშრომის საბოლოო ვერსიის შექმნა.

საკვლევი პრობლემის დასმისას, სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

• საკითხი აუცილებლად აქტუალური და საინტერესო უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მკითხველის დაინტერესება და მისი დარწმუნება იმაში, რომ ღირს დროის დახარჯვა ამ ნაშრომის წაკითხვისას;

• საკითხი აუცილებლად შემოწმებადი უნდა იყოს, ანუ სხვა მკვლევარს, სურვილის შემთხვევაში, უნდა შეეძლოს თქვენი მონაცემების გადამოწმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არასანდოდ ჩაითვლება;

• საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებთ სათანადო თეზისის ჩამოყალიბებასა და წარმატებით მხარდაჭერას;

• საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად ვიწრო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოიძიებთ საკმარის მასალას მის დასასაბუთებლად;

• საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად ტექნიკური ანუ მოითხოვდეს სპეციალურ ცოდნას, რომელიც არ გაგაჩნიათ;

• საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად ორდინალური, რომლის შესახებაც ყველამ იცის და ამიტომ მკითხველისთვის მოსაწყენად ჟღერს;

• საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად წინააღმდეგობრივი, რადგან ამ შემთხვევაში, გაგიჭირდებათ მისი დასაბუთება.

[*Steps in Writing a Research Paper.* Retrieved 22 May, 2005 from http://www.esc.edu/htmlpages/writerold/ menue.htm].

სავარჯიშო #1: პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს საკვლევი პრობლემების ნიმუშებს და სთხოვს განსაზღვრონ, რომელი გამოდგება საკვლევ პრობლემად და რატომ. მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

1. ახალგაზრდების მიერ 2004 წელს საქართველოში ჩადენილი დანაშაულებანი;
2. რითი შევამციროთ ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი საქართველოში?
3. ახდენს განათლება გავლენას ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაულებებზე საქართველოში?

პირველი წინადადება არ გამოდგება საკვლევ პრობლემად, რადგან ის ძალიან ვიწროა და სტატისტიკური მონაცემების მოყვანაც კი საკმარისია, რათა მას ვუპასუხოთ; მეორე წინადადებაც არ გამოდგება საკვლევ პრობლემად, რადგან ის ძალიან ფართოა და მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას მითხოვს, კერძოდ, ფსიქოლოგიურის, სოციალურის, იურიდიულის და ეკონომიკურის, რაც ერთი დისციპლინის ფარგლებს სცდება; მესამე პრობლემა გამოდგება საკვლევ პრობლემად, რადგან ის ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომლის კვლევა და შემოწმება შესაძლებელია.

მას შემდეგ, რაც საკვლევი პრობლემა დასმულია, აუცილებელია საკვლევი თეზისის ჩამოყალიბება, საკვლევი თეზისი წარმოადგენს სავარაუდო პასუხს ჩვენს მიერ დასმულ საკვლევ პრობლემაზე, ამიტომ შესავალში მას ჰიპოთეზის ფორმა აქვს, დასკვნაში კი – დასაბუთებული და ჩამოყალიბებული თეზისისა. ის იმავე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც საკვლევი პრობლემა, ანუ შემოწმებადი უნდა იყოს, არც ზედმეტად ფართო უნდა იყოს და არც ზედმეტად ვიწრო, წინააღმდეგობრივი არ უნდა იყოს და ა.შ. ვინაიდან თეზისი საკვლევი პრობლემის პასუხია მას აუცილებლად არგუმენტის ფორმა უნდა ჰქონდეს და არა შეკითხვისა.

სავარჯიშო #2: პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს საკვლევი თეზისის ნიმუშებს და სთხოვს განსაზღვრონ რომელი წარმოადგენს სათანადო თეზისს და რატომ. მაგალითის სახით განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

1. მოზარდთა უწიგნურობა საფრთხეს უქმნის თანამედროვე საქართველოს
2. როგორ გადავჭრათ მოზარდთა უწიგნურობის პრობლემა თანამედროვე საქართველოში?
3. საქართველოში, მოზარდთა უწიგნურობაზე განმსაზღვრელ გავლენას სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები ახდენს.

პირველი წინადადება არ გამოდგება საკვლევ თეზისად, რადგან ის ზედმეტად ფართოა. არც მეორე წინადადება გამოდგება საკვლევ თეზისად, რადგან ის პრობლემას წამოჭრის და არა მასზე შესაძლო პასუხს გვთავაზობს (თანაც შეკითხვის ფორმა აქვს); მესამე წინადადება კი ნამდვილად წარმოადგენს საკვლევ თეზისს, რადგან ის გვთავაზობს არსებული ვითარების ახსნისა და პრობლემების შესაძლო გადაჭრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტულ გზას.

როცა საკვლევი პრობლემა დასმულია და თეზისი ჩამოყალიბებული, შემდეგი ნაბიჯია უშუალოდ წყაროების მოძიება, რათა დასმულ პრობლემას ვუპასუხოთ და ჩვენი თეზისი შესაბამისი თეორიის საფუძველზე განვამტკიცოთ. არსებობს ინფორმაციის სამი ძირითადი წყარო, რომლის გამოყენებაც სტუდენტს შეუძლია: ბიბლიოთეკა (წიგნები, ჟურნალები, ლექსიკონები და სხვა ნაბეჭდი მასალა), ინტერნეტი და სხვა წყაროები (CD, კასეტები, კინოფირები და ა.შ.).

მაგრამ სანამ ამ წყაროებს უშუალოდ გამოვიყენებთ, აუცილებელია მათში წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასება, რისთვისაც სტუდენტმა შემდეგ შეკითხვებზე უნდა გასცეს პასუხი:

- რამდენად პასუხობს მოცემული წყარო ჩემს საკვლევ პრობლემას?
- რამდენად სანდოა ინფორმაცია, ანუ არის თუ არა ის ექსპერტის მიერ მოწოდებული?
- რამდენად სანდოა თავად წყარო?
- არსებობს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხვა წყაროებიც?

პირველ შეკითხვას ვპასუხობთ იმით, რომ ზოგადად ვეცნობით ამა თუ იმ წყაროს შინაარსს, ვთქვათ, გადავხედავთ წიგნის ან ჟურნალის სარჩევს ან ინდექსს, გავეცნობით მის ანოტაციას, თვალს გადავავლებთ ქვესათაურებს და ა.შ., რის საფუძველზეც ზოგადი წარმოდგენა გვექმნება მისი სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ.

მეორე შეკითხვას ვპასუხობთ იმით, რომ ვადგენთ, თუ რამდენად ხშირად მოიხსენიებენ ავტორს სპეციალურ ლიტერატურაში, რამდენად ავტორიტეტულია ის აღნიშნულ სფეროში, რამდენი ნაშრომის ავტორია და ა.შ.

მესამე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: 1. რამდენად მიუკერძოებელია ავტორი (არ ხელმძღვანელობს პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა მოსაზრებებით); 2. მითითებული აქვს თუ არა თავად ავტორს საკუთარი ინფორმაციის წყაროები; 3. აღწერს თუ არა თავად ავტორი არა მარტო მიღებულ შედეგებს, არამედ კვლევის მეთოდოლოგიასაც, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს ამ შედეგების გადამოწმება; 4. რამდენად ახალია წყარო. შესაძლოა, ისტორიაში ამას ნაკლები ყურადღება ეთმობა, მაგრამ სოციალურ მეცნიერებებში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია, რაც შეიძლება ახალ კვლევებზე იყოს აგებული, ვინაიდან სოციალური სამყარო მუდმივად იცვლება და შესაძლოა გარკვეული მონაცემები კარგად აღწერს 10 წლის წინ არსებულ ვითარებას, მაგრამ სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე რეალობას.

და ბოლოს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამდენი წყაროს მოძიებაა შესაძლებელი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან, რაც უფრო მეტ წყაროს მოიპოვებს სტუდენტი და მათ შედარებით ანალიზს მოახდენს მით უფრო სანდოდ და დასაბუთებულად ჩაითვლება მისი ინფორმაცია [*Steps in Writing a Research Paper.* Retrieved 22 May, 2005 from http://www.esc.edu/htmlpages/writerold/ menue.htm].

რაც შეეხება მოძიებული წყაროებიდან ინფორმაციის მონიშვნა/ამოღებას, აკადემიური წერის სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ინფორმაციის მონიშვნისათვის ძალიან ეფექტურია შენიშვნების ბარათების კეთება. ეს არის მომცრო ზომის ბარათები და თითოეულზე ერთი კონკრეტული სახის ინფორმაციაა წარმოდგენილი (წყაროს სრული მითითებით, გვერდების ჩათვლით). ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს ციტატა, პერიფრაზირების ნიმუში, ავტორის იდეალების შეჯამება ან პირადი კომენტარი ნაშრომის გარკვეულ ნაწილთან, ან ავტორის გარკვეულ არგუმენტთან დაკავშირებით. რა სახის ინფორმაციასთანაც არ უნდა ჰქონდეს საქმე, სტუდენტმა უნდა დაიმახსოვროს, რომ ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი სახის ინფორმაცია უნდა მიუთითოს. მოგვიანებით, მას შეუძლია თემატურად დაალაგოს ბარათები და, ამ გზით, ნაშრომის გარკვეული თავები თუ ქვეთავები მიიღოს. ბარათების სისტემა სტუდენტს იმ მხრივაც უმარტივებს ამოცანას, რომ, რადგან თითოეულ ბარათზე სრულად არის მითითებული წყარო (გვერდების ჩათვლით), სტუდენტს აღარ სჭირდება წყაროსთან მიბრუნება და ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება; და თუნდაც მეტად დეტალური ინფორმაცია დასჭირდეს, გაცილებით მარტივად მოიძიებს მას, რადგან ბარათზე მისი ზუსტი ადგილმდებარეობა აქვს მითითებული.

შემდეგ ეტაპზე სტუდენტს უშუალოდ ციტატებთან, პერიფრაზირებასა და შეჯამებასთან აქვს საქმე, რაც დეტალურად განვიხილეთ კრიტიკის ჟანრზე საუბრისას.

ამ ყველაფერს კი ჯერ ნაშრომის სტრუქტურული გეგმის, შემდეგ კი – მისი პირველი ვერსიის შექმნა მოსდევს.

როგორ უნდა შეიქმნას კვლევითი ნაშრომის სტრუქტურული გეგმა და რა მიზანს ემსახურება ის?

ნაშრომის გეგმა ავტორისთვის გზისმკვლევს წარმოადგენს, რადგან ის ნაშრომის მთლიანი სტრუქტურის სქემატური გამოსახულებაა. მასში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ავტორის ძირითადი არგუმენტები და ქვეარგუმენტები; ამდენად, ნაშრომის გეგმის უმთავრესი ფუნქციაა დაეხმაროს ავტორს, რაც შეიძლება ეფექტური გზით გადმოსცეს სათქმელი. კვლევითი ნაშრომის საბოლოო გეგმა ხშირად მისი სარჩევის ფუნქციასაც ასრულებს.

ნიმუშის სახით განვიხილოთ კვლევითი ნაშრომის გეგმა, რომელშიც სამი პოლიტიკური თეორიაა განხილული: ნეომარქსიზმი, პლურალიზმი და ელიტიზმი. ვთქვათ, სტუდენტი ადგენს ნაშრომის საწყის გეგმას და ამ ეტაპზე სათანადოდ მხოლოდ პირველ ორ თეორიას იცნობს, მესამის შესახებ კი მეტ ინფორმაციას საჭიროებს. მისი საწყისი გეგმა შემდეგი სახის იქნება:

- ნეომარქსიზმი

ძალაუფლება უმცირესობის ხელშია
აქცენტს სვამს ეკონომიკაზე

- პლურალიზმი

ძალაუფლება ინტერესების მქონე ჯგუფების ხელშია
აქცენტს სვამს ჯგუფებს შორის კოალიციაზე

- ელიტიზმი

დეფინიცია
აღწერა

- ანალიზი: შეერთებული შტატები

ნეომარქსიზმი
პლურალიზმი
ელიტიზმი

ზემოთ განხილული ნიმუში სამუშაო გეგმაა, რომელიც ავტორს ნაშრომის საწყისი ვერსიის შექნაში ეხმარება და საშუალებას აძლევს უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: როგორ ვაპირებ ინფორმაციის წარმოდგენას, ვითვალისწინებ რა ჩემს მიზანს, მკითხველსა და ძირითად პოზიციას?

შემდგომ ეტაპზე სტუნდენტი გაეცნო მესამე თეორიასაც. ახლა მისი მიზანია, აღწერის სამივე თეორია და შეადაროს ისინი ერთმანეთს კონკრეტული ქვეყნის მთავრობის მაგალითზე; იმავდროულად ასაბუთებს რა, რომ ნეომარქსიზმი მოცემულ პირობებში ყველაზე ხელსაყრელი თეორიაა. მართალია, მისი ნაშრომის სამუშაო გეგმა არ არის ძალიან ფორმალური, მაგრამ ის კარგი სტრუქტურული გეგმის პირობებს აკმაყოფილებს, რადგან განამტკიცებს სტუდენტის პოზიციას, თანმიმდევრულად წარმოაჩენს ძირითად საკითხებს და ნათელყოფს კავშირს პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან საკითხებს შორის. წარმოგიდგენთ ნაშრომის გეგმის მეორე ვერსიას:

- შესავალი

— თეორიები უფრო მარტივია, ვიდრე რეალური ცხოვრება
— თეორიები იარაღად გამოგვადგება

- სამი პოლიტიკური თეორია

— ნეომარქსიზმი
ძალაუფლება უმცირესობის ხელშია
აქცენტირებულია ეკონომიკური კონტროლის მნიშვნელობა
— პლურალიზმი
ძალაუფლება ინტერესების მქონე ჯგუფების ხელშია
ინტერესების მქონე ჯგუფები ქმნიან კოალიციას
— ელიტიზმი
ძალაუფლება ელიტის ხელშია
ელიტის დეფინიცია

- შედარებითი ანალიზი შეერთებულ შტატებში

— ნეომარქსიზმი
— პლურალიზმი

— ელიტიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომის პირველი ვერსიის შექმნისას, სტუდენტს შეუძლია სამუშაო გეგმიდან აღწერით გეგმაზე გადავიდეს. აღწერითი გეგმა ნაშრომის თითოეულ პარაგრაფს აღწერს, ამდენად, სტუდენტს შეუძლია კრიტიკული თვალით შეაფასოს მისი ნაშრომის მთლიანი სტრუქტურა. ის ეხმარება ავტორს უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს: ლოგიკურად მისდევს ერთი პარაგრაფი მეორეს? მსგავსი იდეები ერთ სექციაში განვიხილე თუ გაბნეული მაქვს მთელ ნაშრომში? წარმოგიდგენთ აღწერით გეგმას, რომელიც სტუდენტმა ნაშრომის პირველი ვერსიის შექმნის შემდეგ შემოგვთავაზა. მან პარაგრაფების მიხედვით შეაჯამა ნაშრომი და შემდეგი სურათი მიიღო:

პარაგრაფი I — ზოგადი შესავალი პოლიტიკურ თეორიებში. თეზისი: ნეომარქსიზმი ყველაზე ხელსაყრელი თეორიაა

პარაგრაფი II — ნეომარქსიზმის აღწერა

პარაგრაფი III — პლურალიზმის აღწერა

პარაგრაფი IV — ინტერესების მქონე ჯგუფთა კოალიცია

პარაგრაფი V — ელიტიზმის აღწერა

პარაგრაფი VI — პლურალიზმის ანალიზი შეერთებულ შტატებში

პარაგრაფი VII — ნეომარქსიზმის ანალიზი შეერთებულ შტატებში

პარაგრაფი VIII — ნეომარქსიზმის ძლიერი მხარეები, ნეომარქსიზმისა და პლურალიზმის სუსტი მხარეები

პარაგრაფი IX — ელიტიზმის სუსტი მხარეები

პარაგრაფი X — დასკვნა

სტუდენტმა შეამჩნია, რომ ნეომარქსიზმისა და ელიტიზმის აღწერას თითო პარაგრაფი უკავია, პლურალიზმის აღწერას კი — ორი პარაგრაფი. მან გადაწყვიტა, რომ მე-3 და მე-4 პარაგრაფები შეეერთებინა. სტუდენტმა ისიც შეამჩნია, რომ ნაშრომის მეორე ნაწილი ერთი თეორიიდან მეორეზე ხტოდა, წარმოგვიდგენდა რა თითოეული თეორიის ანალიზს და შემდეგ თითოეული თეორიის სისუსტეს. მან გადაწყვიტა ერთ პარაგრაფში გაეერთიანებინა პლურალიზმის ანალიზი შეერთებულ შტატებში და ამ თეორიის სისუსტეები (მე-6 პარაგრაფი); აგრეთვე ერთად მოეთავსებინა ელიტიზმის ანალიზი და მისი სისუსტეები; შემდეგ კი ორი პარაგრაფი დაეთმო ნეომარქსიზმის ანალიზისა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვისათვის.

სტუდენტს შეიძლება დაევალოს ნაშრომის ფორმალური გეგმის შექმნაც, რომელიც მისი ნაშრომის საბოლოო ვერსიას დაერთვება და მკითხველისათვის გზისმკვლევი იქნება. ფორმალური გეგმის შექმნის ორი გზაა: 1. თემატურ გეგმებში, იდეები პარალელური ფრაზების სახითაა წარმოდგენილი ანუ მსგავსი გრამატიკული სტრუქტურა აქვთ. როგორც წესი, ასეთი გეგმა შედარებით მოკლე და ლაკონურია; 2. წინადადებებისგან შემდგარ გეგმებში, იდეები სრული წინადადებების სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ისინი შეიძლება არც იყოს პარალელური. წინადადებებისაგან შემდგარი გეგმა უფრო დეტალურად აცნობს მკითხველს ავტორის არგუმენტებს.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ფორმალურ გეგმას აირჩევს სტუდენტი, მან აუცილებლად თეზისით უნდა დაიწყოს და მკაცრად განსაზღვრულ თანმიმდევრობას მისდიოს, ვთქვათ, I., A., 1., a., (1), (a). წარმოგიდგენთ ფორმალურ-თემატური გეგმის ნიმუშს:

I. პოლიტიკური თეორიების ფუნქციები

A. იარაღი მკვლევარის ხელში მთავრობის გასაანალიზებლად

1. კატეგორიზაცია

2. შედარება

B. შეზღუდვა: ზედმეტად მარტივი

II. სამი პოლიტიკური თეორია

A. ნეომარქსიზმი

1. დეფინიცია

2. აღწერა

B. პლურალიზმი

1. დეფინიცია

2. აღწერა

C. ელიტიზმი

1. დეფინიცია
2. აღწერა

III. შედარებითი ანალიზი შეერთებული შტატების მთავრობის მაგალითზე

A. პლურალიზმი
1. ანალიზი
2. სუსტი მხარეები

B. ელიტიზმი
1. ანალიზი
2. სუსტი მხარეები

C. ნეომარქსიზმი
1. ანალიზი
2. კრიტიკა
a. სუსტი მხარეები
b. სუსტი მხარეები

IV. დასკვნა

[*Using Outlines* (2004). Writing Tutorial Services. Indiana University. Retrieved March 18, 2005, from http:/www.indiana.edu/~wts/pamphlets/]

როგორც ვხედავთ, დეტალური სტრუქტურული გეგმა, ფაქტიურად, ნაშრომის მოკლე შინაარსსა თუ შეჯამებას წარმოადგენს და მხოლოდ მისი გაშლაღა გვრჩება, რის საფუძველზეც ნაშრომის პირველ ვერსიას ვღებულობთ.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი, სხვა განხილულ ნაშრომთა მსგავსად, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. მოკლედ განვიხილოთ, თუ რა ფუნქციას ასრულებს თითოეული.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის შესავალი მკითხველის ყურადღების მოპოვებას, მის დაინტერესებას ემსახურება. მასში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობა, ნაშრომის მიზანი და ამოცანები; აგრეთვე მკითხველს საჭირო საფუძველმდებარე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, სანამ ავტორი საკუთარ თეზისს გააცნობდეს მას, რადგან სწორედ ეს ინფორმაცია ამზადებს მკითხველს ავტორის თეზისის მისაღებად.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის ძირითადი ნაწილი მოძიებული წყაროების სინთეზსა და შედარებით ანალიზს ახდენს. ის ძლიერ წააგავს ანალიტიკური რეფერატის ძირითად ნაწილს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, თუ ანალიტიკურ რეფერატში 2-3 წყაროა განხილული, აქ უკვე 5 წყაროზე მეტის ანალიზი და შეფასება ხდება განსახილველი პრობლემის ჭრილში.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის დასკვნა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: ავტორის ძირითად არგუმენტებს უნდა აჯამებდეს; პრობლემის მომავალ განვითარებას უნდა გვიხატავდეს; მოქმედებისაკენ უნდა მოუწოდებდეს მკითხველს, ანუ გარკვეულ სამომავლო გეგმას სთავაზობდეს განხილულ საკითხთან მიმართებაში; უნივერსალიზაციასა თუ კონტექსტუალიზაციას უნდა ახდენდეს; პროვოკაციული შეკითხვის დასმითა თუ გაფრთხილებით უნდა დასრულდეს, რათა მკითხველს საფიქრალი დაუტოვოს და ძლიერი საბოლოო შთაბეჭდილება მოახდინოს.

როცა კვლევითი ნაშრომის პირველი ვერსია მზადაა, ავტორმა გულდასმით უნდა წაიკითხოს და შეამოწმოს იგი. არსებობს 2 სახის შემოწმება: ღრმა — სტრუქტურულ-შინაარსობრივ დონეზე და ზედაპირული — გრამატიკულ-სტილისტურ დონეზე. სტუდენტი სტრუქტურულ-შინაარსობრივი შემოწმებით იწყებს და მხოლოდ ამის შემდეგ აქცევს ყურადღებას ნაშრომის სტილისტურ გამართულობას.

ამ შემთხვევაში სტუდენტმა შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინოს:

- ნაშრომის დაწერიდან შესწორებამდე რამდენიმე დღემ უნდა განვლოს. სტუდენტს სჭირდება გარკვეული დრო, რომ წერიდან რედაქტირებაზე გადაერთოს;
- სტუდენტმა ორჯერ მაინც უნდა გადახედოს ნაშრომს საბოლოო ვერსიის შექმნამდე;
- ნაშრომის შესწორებისას, სტუდენტმა ნელა და ხმამაღლა უნდა იკითხოს, რათა დააკვირდეს, თუ ყურს როგორ ხვდება ხმამაღლა გამოთქმული საკუთარი აზრები;

- სტუდენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს, ხომ არ არის საჭირო სადმე მაგალითების დამატება, ან პარაგრაფებს შორის ლოგიკური კავშირი ხომ არ არის დარღვეული;
- სტუდენტმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს შეკითხვა — კიდევ რის გაგებას ისურვებდა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, უკმარისობის გრძნობა ხომ არ რჩება. ამის შემდეგ, სასურველია, მან მეგობარსაც წააკითხოს ნაშრომი, რაც კარგი საშუალებაა საკუთარ თავში რწმენის განმტკიცებისა და ღირებული შენიშვნების მისაღებად.

ამ ყველაფრის საფუძველზე, წარმოგიდგენთ საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის სტრუქტურულ გეგმას, რაც ნაშრომის შექმნასა და გამართვაში დაგეხმარებათ.

საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა

საკვლევი საკითხის მოძებნა და დაკონკრეტება

- მოძებნეთ საკითხი, რომელიც რეალურად გაინტერესებთ
- აღწერეთ ის გზა, რომელიც გაიარეთ ამ საკითხის ძიებისას
- ესაუბრეთ ხელმძღვანელსა და ჯგუფელებს თქვენს მიერ არჩეული საკითხის შესახებ
- ჩამოაყალიბეთ თქვენი საკითხი შეკითხვის სახით, რომელსაც უნდა უპასუხოთ, ან პრობლემის სახით, რომელიც უნდა გადაჭრათ

წყაროების მოძიება, არჩევა და კითხვა

დაგჭირდებათ შემდეგი ტიპის წყაროების მოძიება:

- ბარათის კატალოგები, პერიოდულ გამოცემათა ინდექსები, ბიბლიოგრაფიები;
- პირველადი და მეორადი წყაროები;
- ჟურნალები, წიგნები, ენციკლოპედიები, ინტერნეტის მასალა.

ინფორმაციის დაჯგუფება და დოკუმენტირება

შემდეგი სისტემები დაგეხმარებათ იყოთ ორგანიზებულნი:

- ბიბლიოგრაფიულ ბარათებზე წყაროების მითითების სისტემა;
- შედარებითი მნიშვნელობის მიხედვით მასალის მითითების სისტემა;
- ინფორმაციის ჩანიშვნის სისტემა;

ნაშრომის გეგმის შედგენა

ამაში შემდეგი შეკითხვები დაგეხმარებათ:

- რა საკითხს განვიხილავ?
- რატომაა ის მნიშვნელოვანი?
- რა საფუძველმდებარე ინფორმაცია მჭირდება?
- რა არის ჩემი თეზისი (ძირითადი პოზიცია)?
- რა სტრუქტურული გეგმა გამოხატავს საუკეთესოდ ჩემს მიზანს?

ნაშრომის შესავალი

- წარმოადგინეთ შესაბამისი საფუძველმდებარე თუ კონტექსტუალური მასალა
- განსაზღვრეთ საჭირო ცნებები და ტერმინები
- ახსენით ნაშრომის ძირითადი მიზანი
- წარმოადგინეთ თქვენი სტრუქტურული გეგმა

ნაშრომის ძირითადი ნაწილი

- იხელმძღვანელეთ თქვენი სტრუქტურული გეგმით
- ააგეთ თქვენი ნაშრომი საკითხების მიხედვით (და არა მასალის მიხედვით)
- შეაჯამეთ, გააანალიზეთ, ახსენით და შეაფასეთ წყაროები (და არა უბრალოდ მოყევით მათი შინაარსი)
- იმოძრავეთ ზოგადიდან კერძოსაკენ და კვლავ ზოგადისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომის დასკვნა

- თუ თქვენი არგუმენტი კომპლექსურია, საჭირო იქნება მკითხველისათვის მისი შეჯამება
- თუ ნაშრომის დასკვნით ნაწილამდე არ აგიხსნიათ თქვენი დასკვნების მნიშვნელობა, აუცილებლად გააკეთეთ ეს ახლა
- იმოძრავეთ დეტალურიდან ზოგადისაკენ, რაც დააბრუნებს საკითხს შესავალში წარმოდგენილ კონტექსტში
- შემოგვთავაზეთ, თუ მოცემული საკითხის რა მხარეები ითხოვს შემდგომ კვლევას

შესწორება და ნაშრომის საბოლოო ვერსია

- შეამოწმეთ ნაშრომის მთლიანი სტრუქტურა: შესავლის ლოგიკური მდინარება, ძირითად ნაწილში ანალიზისა და შეფასების სიღრმე, დასკვნის ეფექტურობა
- პარაგრაფის დონეზე შეამოწმეთ: ძირითადი მტკიცებულება, მისი მხარდამჭერი დეტალის ლოგიკურობა, პარაგრაფის თანმიმდევრულობა და ჰარმონიულობა
- წინადადების დონეზე შეამოწმეთ: წინადადების სტრუქტურა, სიტყვების არჩევა, პუნქტუაცია
- წყაროების დოკუმენტირება: არჩეული სისტემის თანმიმდევრული გამოყენება, ყველა მასალის მითითება, რაც არ განიხილება საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად, სქოლიოების შესაბამისი გამოყენება

[*Planning a Researcg Paper.* (2006). The Writing Center. University of Wisconsin-Madison. Retrieved 17 Jane, 2006, from http:/www.wiscedu/writing/Handbook/ PlaneResearchPaper.html.]

და ბოლოს, სანამ საბიბლიოთეკო კვლევით ნაშრომზე საუბარს დავასრულებდეთ, შემოგთავაზებთ სპეციალისტების რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ დაგეგმოთ დრო საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის წერის პროცესში.

თუ საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის საბოლოო ვერსიის შექმნამდე დაგრჩათ:

8 კვირა

3 დღე — საკვლევი პრობლემის არჩევა
5 დღე — წყაროების მოძიება და შეფასება
10 დღე — წყაროებიდან ინფორმაციის მონიშვნა/ამოღება
5 დღე — მონიშნული ინფორმაციის დალაგება
1 დღე — მონიშნული ინფორმაციის დალაგება
1 დღე — ნაშრომის სტრუქტურული გეგმის შედგენა
7 დღე — ნაშრომის პირველი ვერსიის შექმნა
3 დღე — შესწორების პროცესი
5 დღე — წყაროების დოკუმენტირება და ნაშრომის საბოლოო ვერსიის შექმნა
1 დღე — საბოლოო შემოწმება

4 კვირა

1 დღე – საკვლევი პრობლემების არჩევა
2 დღე — წყაროების მოძიება და შეფასება
6 დღე — წყაროებიდან ინფორმაციის მონიშვნა/ამოღება
2 დღე — მონიშნული ინფორმაციის დალაგება
1 დღე — ნაშრომის სტრუქტურული გეგმის შედგენა
3 დღე — ნაშრომის პირველი ვერსიის შექმნა
1 დღე — შესწორების პროცესი
3 დღე — წყაროების დოკუმენტირება და ნაშრომის საბოლოო ვერსიის შექმნა
1 დღე — საბოლოო შემოწმება

დანარჩენი დღეები ეთმობა ნაშრომის კომპიუტერზე აკრეფას და ამობეჭდვას.

[Sorenson, S. (2002). How to write Research Papers (3rd ed.). Thomson ARCO]

ვინაიდან ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი უშუალოდ სტუდენტის მიერ ჩატარებულ სოციალურ კვლევაზეა აგებული, ის მეტ დროს საჭიროებს და მეტ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული. კვლევის დაგეგმვას, ჩატარებასა და მონაცემების დამუშავებას საკმაო დრო მიაქვს და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი მონაცემების

ანალიზი და შეფასება.

ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის შესაქმენლად, სტუდენტმა შემდეგი საფეხურები უნდა გაიაროს:

- საკვლევი პრობლემის დასმა;
- საკვლევი ჰიპოთეზების ფორმულირება;
- კვლევის მეთოდების განსაზღვრა;
- თეორიული წყაროების მოძიება და გაცნობა;
- კვლევის დაგეგმვა და კვლევის პროგრამის შედგენა;
- მონაცემების შეგროვება;
- მონაცემების ანალიზი;
- ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის შექმნა.

[Blaxter, L., Hugles, C., and Tighti M. (1996). *How to Research.* Philadelpia. Open University Press].

როგორ ვხედავთ, უშუალოდ ნაშრომის შექმნას საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი უსწრებს წინ. ამ პროცესში შემავალი თითოეული საფეხურის გააზრებულად და აკურატულად განხორციელება, სათანადო ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის შექმნის აუცილებელი პირობაა.

ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი, საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომისაგან განსხვავებით, ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, მეთოდები, შედეგები და დისკუსია/დასკვნა. იმის განსაზღვრაში, თუ რა მიზანს ემსახურება თითოეული ნაწილი და როგორია ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის მთლიანი სტრუქტურა, შემდეგი სავარჯიშოები გვეხმარება:

სავარჯიშო #3. თქვენს წინაშეა ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სექციები, თანმიმდვრობით მოცემული. ქვემოთ არეულადაა წარმოდგენილი თითოეულის განმარტება. მიუსადაგეთ ნაშრომის თითოეულ სექციას მისი შესაბამისი განმარტება.

ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა

1. სათაური
2. მადლობის გადახდა
3. სარჩევი
4. ცხრილების/გრაფიკების ჩამონათვალი
5. აბსტრაქტი
6. პრობლემის დაყენება
7. ლიტერატურის მიმოხილვა
8. გამოკვლევის დიზაინი
9. გამოყენებული მეთოდოლოგია
10. შედეგები
11. დისკუსია
12. დასკვნები
13. ბიბლიოგრაფია
14. დანართი

ა) ინფორმაციისა და მონაცემების პრეზენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილების მიღება ჰიპოთეზების მიღებისა თუ უკუგდების შესახებ.
ბ) მნიშვნელოვანი მონაცემები და საილუსტრაციო მასალა, მოთავსებული ძირითადი ტექსტის ფარგლებს მიღმა.
გ) ნაშრომის ძირითადი სექციები, თანმიმდევრობით მითითებული.
დ) შერჩეული პირველადი და მეორადი წყაროების მიმოხილვა და მათი ორიგინალური და კრიტიკული ანალიზი.
ე) მიღებული შედეგებით ნაკარნახევი პრინციპების, კავშირების, კორელაციებისა და განზოგადებების პრეზენტაცია; შედეგების ინტერპრეტაცია და საკვლევ პრობლემასა და ჰიპოთეზებთან მათი კავშირის ჩვენება; დედუქციურ-ინდუქციური დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.
ვ) ყველა გამოყენებული წყაროს აკურატული მითითება ანბანური თანმიმდევრობით.

ზ) მთელი ნაშრომის ძალიან მოკლე მიმოხილვა.
თ) კოლეგების, ხელმძღვანელების, სპონსორებისა და სხვ. მადლობის გადახდა გაწეული დახმარებისათვის.
ი) მონაცემების სანდოობისა და ვალიდურობის ჩვენება; იმ ანალიზის განხილვა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ჰიპოთეზების შემოწმებას.
კ) მიღებული შედეგებისა და მათგან გამომდინარე დასკვნების მოკლედ შეჯამება.
ლ) ჰიპოთეზების შემუშავება და განხილვა; იმ თეორიული სტრუქტურისა და მეთოდების მითითება, რომლის ფარგლებში და რომელთა გამოყენებითაც უნდა შემოწმდეს ჰიპოთეზები.
მ) ცხრილებისა და დიაგრამების მითითება იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული.
ნ) ნაშრომის ადეკვატური აღწერა რაც შეიძლება ნაკლები სიტყვით.
ო) გამოკვლევის ხასიათისა და მისი განხორციელების მიზეზების მოკლე მიმოხილვა; გამოკვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზების ნათლად ფორმულირება.

მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას გავეცანით, მოკლედ წარმოგიდგენთ მისი შემდგენელი ძირითადი ნაწილების ფუნქციას.

ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი

სათაური

- სათაურმა უნდა ასახოს კვლევის საგანი
- სათაური ზუსტად უნდა ასახავდეს ნაშრომის ფოკუსს (არც ზედმეტად ფართო უნდა იყოს, არც ზედმეტად ვიწრო)
- სათაური თვითამხსნელი უნდა იყოს მოცემული სფეროს სპეციალისტებისათვის

აბსტრაქტი

კვლევითი ნაშრომის აბსტრაქტი შედგება ერთი პარაგრაფისაგან, რომელშიც 4-10 წინადადებაა. არსებობს ორი სახის აბსტრაქტი: I კონცენტრირებას ახდენს მიღებულ შედეგებსა და მათგან გამომდინარე დასკვნებზე; II კი ახდენს ნაშრომის 4 ძირითადი ნაწილის (შესავალი, მეთოდები, შედეგები, დისკუსია) თითო-თითო წინადადებით შეჯამებას.

შესავალი

შესავლის მიზანია საკვლევი სივრცის შექმნა და მკითხველების მოპოვება. ის სამი ძირითადი საფეხურისაგან შედგება:

1. საკვლევი სივრცის შექმნა
   - პრობლემის აქტუალობის ჩვენებით (სავალდებულო)
   - მოცემულ სფეროში უკვე არსებული გამოკვლევების განხილვით (სავალდებულო)
2. კონტექსტის შექმნა
   - წინა გამოკვლევების საფუძველზე ყურადღების მიღმა დარჩენილი საკითხების მითითებით და არსებული ცოდნის შევსების მცდელობით (სავალდებულო)
3. კონტექსტის ათვისება
   - გამოკვლევის მიზნისა და ხასიათის მითითებით (სავალდებულო)
   - ძირითადი დასკვნების წარმოდგენით (არჩევითი)
   - ნაშრომის სტრუქტურის გადმოცემით (არჩევითი)

მეთოდები

სოციალურ მეცნიერებებში მეთოდების სექცია შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

- დეტალურადაა გადმოცემული ყველა პროცედურა
- არ ხდება არსებული კვლევების განხილვა
- მოიცავს დასაბუთებებს, ახსნა-განმარტებებსა და მაგალითებს
- ტერმინოლოგია ხშირად მეორდება

შედეგები

- მეთოდოლოგიის დასაბუთება

- შედეგების ინტერპრეტაცია
- არსებულ გამოკვლევებთან თანხმობის დადგენა
- კომენტარი მიღებულმონაცემებთან დაკავშირებით
- ინტერპრეტაციის პროცესში სირთულეების ჩვენება

დისკუსია / დასკვნა

დასკვნა სამი ძირითადი საფეხურისაგან შედგება:

- საკვლევი სივრცის გამთლიანება (სავალდებულო)
- მოცემული გამოკვლევის შეზღუდვების ჩვენება (არჩევითი, თუმცა გავრცელებული)
- მომავალი კვლევისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მითითება (არჩევითი და გავრცელებული მხოლოდ ზოგიერთ სფეროში)

ბიბლიოგრაფია

ყველა გამოყენებული წყაროს მითითება ერთი არჩეული ფორმატის ფარგლებში (ვთქვათ, APA სტილით).

კვლევითი ნაშრომის სექციებში არსებული საკითხების სიხშირე

	შესავალი	**მეთოდები**	**შედეგები**	**დისკუსია**
ახლანდელი დრო	*მაღალი*	*დაბალი*	*დაბალი*	*მაღალი*
წარსული დრო	*საშუალო*	*მაღალი*	*მაღალი*	*საშუალო*
ვნებითი გვარი	*დაბალი*	*მაღალი*	*ცვალებადი*	*ცვალებადი*
ციტირება	*მაღალი*	*დაბალი*	*ცვალებადი*	*მაღალი*
შეზღუდვები	*საშუალო*	*დაბალი*	*საშუალო*	*მაღალი*
კომენტარი	*მაღალი*	*დაბალი*	*ცვალებადი*	*მაღალი*

[Swales, J.M. and Feak, C.B. (1994). *Academic Writing for Graduate Students.* Michigan: The Univesity, Michigan Press]

როგორც საბიბლიოთეკო, ისე ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომების გაცნობის შემდეგ, წარმოგიდგენთ ბიბლიოგრაფიის მითითების ტექნიკას **APA** ფორმატის ფარგლებში.

- **წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

კიდი, უ. (2002) *კულტურა და იდენტურობა.* ნიუ იორკი: პალგრეივ მაკმილანი.

- **წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:**

ავტორის გვარი, ინიციალი., და ავტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

სუეილსი, ჯ.მ., და ფიკი, ქ.ბ. (1994). *აკადემიური წერა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.* მიჩიგანი: მიჩიგანის უნივერსიტეტის პრესა.

- **წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

სტანტონი, დ.ქ., და ფარბმანი, ე. (რედ.). (2003). *ქალის ავტოგრაფი: ავტობიოგრაფიის თეორია და პრაქტიკა.* მიდლტაუნი: იბის პრესი.

- **სტატია ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რედაქტორი ჰყავს:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის ან თავის სათაური. წიგნში რედაქტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). *წიგნის სათაური* (გვერდები). გამოცემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი: გამომცემელი.

შილზი, ე. (2002). ცენტრი და პერიფერია. წიგნში სპილმენი, ლ. (რედ.). *კულტურის სოციოლოგია.* ოქსფორდი: ბლექველი.

- **ხელახლა გამოცემული წიგნი:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* (მერამდენე გამოცემაა). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

სორენსონი, შ. (2002). *როგორ დავწეროთ კვლევითი ნაშრომი.* (მე-3 გამ.). ნიუ-იორკი: არკო.

- **წიგნი, რომელსაც ავტორი ან რედაქტორი არა ჰყავს:**

წიგნის სათაური. (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

ვებსტერის ახალი ლექსიკონი. (1961). სპინგფილდი: მერიამი.

- **მრავალტომიანი ნაშრომი:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *წიგნის სათაური.* (ტომები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

ბერი, ჯ.ვ., სეგალი, მ.ჰ., და კაგიციბასი, ს. (რედ.). (1996). *კროსკულტურული ფსიქოლოგიის ცნობარი.* (1-3 ტ.). ლონდონი: სეიგი.

- **ლექსიკონი:**

სათაური. (მერამდენე გამოცემაა). (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

ოქსფორდის მოკლე ინგლისური ლექსიკონი. (მე-5 გ.). (2002). ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა.

- **სტატია ჟურნალიდან:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სათაური,* ტომის ნომერი, გვერდები (არ იწერება გვ.)

უიტკროფტი, გ. (2004, ივნისი). ტონი ბლერის ტრაგედია. *ატლანტიკა,* 293, 56-72.

- **სტატია გაზეთიდან:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სათაური. *გაზეთის სათაური,* გვერდები (იწერება გვ.).

მოურისი, დ. (2003, 17 მარტი). პოლიტიკა — ბინძური თამაში? *ნიუ იორკ თაიმსი,* გვ. 11-12.

- **დისერტაცია ან ავტორეფერატი:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* დისერტაცია, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

წულაძე, ლ. (2003). *სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები).* საკანდიდატო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

- **ლექციაზე მიცემული მასალა:**

ლექტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* მასალა წარმოდგენილი ამა და ამ ლექციაზე, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

წულაძე, ლ. (2005, აპრილი). *მშობელთა რწმენის სისტემები კულტურაში.* მასალა წარმოდგენილი კულტურის სოციოლოგიის ლექციაზე, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისი სახ.-ფო უნივერსიტეტი, თბილისი.

- **სამთავრობო დოკუმენტი:**

სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება. (გამოცემის თარიღი). *დოკუმენტის სათაური* (პუბლიკაციისა თუ ბრძანების ნომერი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

მენტალური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი. (1982). *ტელევიზია და*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევა: სამეცნიერო პროგრესის 10 წელი (DHHS პუბლიკაცია A 82-1195). ვაშინგტონი: აშშ-ს მთავრობის გამომცემლობა.

- **არანაბეჭდი წყაროები:**

გვარი, ინიციალი. (პოზიცია). (თარიღი). სათაური [ფილმი, ტელეგადაცემა...]. გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

რედფორდ, რ. (რეჟისორი). (1980). *უბრალო ადამიანები* [ფილმი]. ჰოლივუდი: პარამაუნტი.

- **მასალა ინტერნეტიდან:**

ავტორის გვარი, ინიციალი. (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. *ნაშრომის სათაური სრულად.* ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი.

ინტერნეტ-წიგნი

ბრაიანტ, პ. (1999). *ბიომრავალგვაროვნება და დიალოგი.* მოძიებული 4 ოქტომბერი, 1999, http:/www. .....

საგაზეთო სტატია ინტერნეტიდან

აზარი, ბ., და მარტინი, ს. (ოქტომბერი, 1999). უმაღლესი სკოლის ფსიქოლოგია. *APA მონიტორი.* მოძიებულია 7 ოქტომბერი, 1999, http:/www....

ჟურნალის სტატია ინტერნეტიდან

ფაინი, მ., და კურდეკი, ლ.ა. (1993). რეფლექსია. საგანმანათლებლო რეფორმის საკითხებზე. *ამერიკელი ფსიქოლოგი,* 48, 1141-1147. მოძიებულია 7 ივნისი, 1995. http:/www. .....

[*APA References.* Retrieved 22 May, 2005 from http:/webster.comment.edu/ada.htm]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილაბუსი

აკადემიური წერა

სასწავლო კურსის კოდი:

სასწავლო კურსის სტატუსი: მაგისტრატურა, I კურსი, სავალდებულო.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: 1 სემესტრი.

ECTS: 8 კრედიტი. საკონტაქტო მუშაობაზე გათვალისწინებული საათების რაოდენობა — 32, დამოუკიდებელი მუშაობა — 150 საათი.

ლექტორი: ლია წულაძე, ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის დეპარტამენტი.
T: 33 30 43; 893 21 38 12; e-mail: likuna282003@yahoo.com

სასწავლო კურსის მიზანი: აკადემიური წერის კურსი აგებულია ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური წერის პროგრამის საფუძველზე და 4 ჟანრს მოიცავს: არგუმენტირებულ ესეს, კრიტიკას, ანალიტიკურ რეფერატს და კვლევით ნაშრომს, რომელიც, თავის მხრივ, ორი ძირითადი სახისაა – საბიბლიოთეკო და ექსპერიმენტული. აღნიშნული კურსი ინტერაქტიული ხასიათისაა. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ლექციის მსვლელობაში და ლექციაზევე განიხილავენ და აანალიზებენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს. ისინი ეტაპობრივად ქმნიან თითოეული ჟანრის ნაწარმოებს და, ჯგუფური შეფასების მეთოდის გამოყენებით, ლექციაზევე აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს წინასწარ შემუშავებული შეფასების სკალების საფუძველზე.

კურსის მიზანია არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარება სტუდენტებში, აგრეთვე არსებული თეორიული მასალისა და გამოკვლევების გამოყენება საკვლევი პრობლემის გადაჭრისა და ემპირიული კვლევის პარამეტრების განსაზღვრისათვის. ამასთან ერთად, მოცემული კურსის საფუძველზე, სტუდენტები ეცნობიან პლაგიატის თავიდან აცილებისა და ციტირების სწორ ტექნიკას, გამოყენებული ლიტერატურის მითითებას მსოფლიოში აღიარებული ფორმატის ფარგლებში და პრეზენტაციების მოწყობის ხელოვნებას.

შესწავლის წინაპირობები: მოცემული კურსი აცნობს სტუდენტებს აკადემიური წერის საფუძვლებს და იწყებს არგუმენტის სტრუქტურირების ტექნიკით; ამდენად, მისი მთავარი მოთხოვნაა, რომ სტუდენტები კარგად იცნობდნენ ქართული ენის მართლწერასა და ჰქონდეთ ანალიტიკური აზროვნების შესაბამისი დონე.

სასწავლო კურსის ფორმატი: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და პრეზენტაცია.

სასწავლო კურსის შინაარსი:

გაკვეთილი	თემა	მიზნები
1	არგუმენტირებული ესეს შესავალი	• სტუდენტები ეცნობიან კურსის სილაბუსსა და არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმებს • სტუდენტები ეცნობიან არგუმენტირებული ესეს ჟანრს, მის სტრუქტურასა და ძირითად ელემენტებს • სტუდენტები განიხილავენ არგუმენტირებული ესეს ნიმუშებს

2	წერითი პროცესის საფეხურები პარაგრაფების განვითარება	• სტუდენტები ეცნობიან წერითი პროცესის ძირითად საფეხურებს და ვარჯიშობენ იდეების გენერაციაში, თემების არჩევასა და სათაურების ფორმულირებაში • სტუდენტები ეცნობიან ეფექტური პარაგრაფის სტრუქტურას • სტუდენტები ვარჯიშობენ პარაგრაფების განვითარებაში
3	არგუმენტირებული ესეს შესავალი ნაწილი საკუთარი არგუმენტების პრეზენტაცია კონტრ-არგუმენტების გათვალისწინება და უკუგდება	• სტუდენტები ეცნობიან წარმატებული შესავლის როლსა და მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს • სტუდენტები ვარჯიშობენ შესავლის დაწერაში • სტუდენტები სწავლობენ საკუთარი არგუმენტების წარდგენასა და დასაბუთებას • პრაქტიკა წერილობითი ფორმით • სტუდენტები სწავლობენ კონტრ-არგუმენტების გათვალისწინებასა და უკუგდებას • პრაქტიკა წერილობითი ფორმით
4	არგუმენტირებული ესეს დასკვნა ლოგიკა და მთლიანობა არგუმენტირებული ესეს საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია	• სტუდენტები ეცნობიან წარმატებული დასკვნის როლსა და მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს • სტუდენტები ვარჯიშობენ დასკვნის დაწერაში • სტუდენტები ეცნობიან ნაშრომის გამთლიანებისა და ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველყოფის ტექნიკას და ვარჯიშობენ მასში • არგუმენტირებული ესეს საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია; სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს
5	კრიტიკის შესავალი	• სტუდენტები ეცნობიან კრიტიკის შეფასების კრიტერიუმებს • სტუდენტები ეცნობიან კრიტიკის ჟანრს, მის სტრუქტურასა და ძირითად ელემენტებს • სტუდენტები განიხილავენ კრიტიკის ნიმუშებს
6	პერიფრაზირება შეჯამება ციტირება პლაგიატის თავიდან აცილება	• სტუდენტები ახდენენ ავტორის იდეების პერიფრაზირებას • სტუდენტები ეცნობიან ტექსტის შეჯამების ტექნიკას • პრაქტიკა წერილობითი ფორმით • სტუდენტები სწავლობენ ციტირების სწორ ტექნიკას სტუდენტები სწავლობენ, თუ როგორ აიცილონ თავიდან პლაგიატი
7	შეფასება-რეფლექსია	• სტუდენტები გამოხატავენ თავიანთ პოზიციას ავტორის იდეებთან მიმართებაში • სტუდენტები კრიტიკულად აფასებენ სტატიას • პრაქტიკა წერილობითი ფორმით
8	წერის სტილი და ლოგიკა კრიტიკის საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია	• სტუდენტები ფოკუსირებას ახდენენ წერის სტილსა და ლოგიკაზე • კრიტიკის საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია; სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს
9	ანალიტიკური რეფერატის შესავალი	• სტუდენტები ეცნობიან ანალიტიკური რეფერატის შეფასების კრიტერიუმებს

		• სტუდენტები ეცნობიან ანალიტიკური რეფერატის ძირითად ელემენტებს • სტუდენტები განიხილავენ ანალიტიკური რეფერატის ნიმუშებს • სტუდენტები ადარებენ კრიტიკისა და ანალიტიკური რეფერატის ძირითად ელემენტებს
10	კონტექსტუალიზაცია	• სტუდენტები ეცნობიან კონტექსტუალიზაციის არსს და ვარჯიშობენ კონტექსტუალიზაციის განხორციელებაში
11	ავტორთა პოზიციების ანალიზი და შეფასება შეხედულებების განმტკიცება	• სტუდენტები ადარებენ ავტორთა პოზიციებს, ნაბიჯ-ნაბიჯ აფასებენ რა მსგავსება-განსხვავებებს • სტუდენტები სწავლობენ, თუ როგორ განამტკიცონ შესაბამისი მხარდაჭერით საკუთარი და სხვების შეხედულებები
12	წერის სტილი და ლოგიკა ანალიტიკური რეფერატის საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია	• სტუდენტები ფოკუსირებას ახდენენ წერის სტილსა და ლოგიკაზე • ანალიტიკური რეფერატის საბოლოო ვერსიის შექმნა და პრეზენტაცია; სტუდენტები აფასებენ ერთმანეთის ნაშრომებს
13	კვლევითი ნაშრომის შესავალი	• სტუდენტები ეცნობიან კვლევითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს • სტუდენტები ეცნობიან კვლევითი ნაშრომის ჟანრს და მის ძირითად ელემენტებს
14	საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი	• სტუდენტები ეცნობიან საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას, მის ძირითად სექციებს, ეტაპებს საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის შექმნის პროცესში
15	ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი	• სტუდენტები ეცნობიან ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას, მის ძირითად სექციებს, ეტაპებს ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის შექმნის პროცესში
16	ბიბლიოგრაფიის მითითების APA-სტილი	• სტუდენტები ეცნობიან ბიბლიოგრაფიის მითითების APA-სტილს • სტუდენტები ვარჯიშობენ APA-სტილის მიხედვით ბიბლიოგრაფიის მითითებაში

შეფასება:
დასწრება – 15%
ნაშრომების შექმნა – 60%
ნაშრომების პრეზენტაცია – 25%
სავალდებულო ლიტერატურა:

*რადგან აკადემიური წერა შედარებით ახალი დისციპლინაა საქართველოში და ძალიან რთულია ქართულენოვანი ლიტერატურის მოძიება მის შესახებ, ლექტორი აძლევს სტუდენტებს მის მიერ თარგმნილ და დამუშავებულ მასალას, აგრეთვე, სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებს.

Bailey, S. (2003). *Academic Writing: A Practical Guide for Students*. London and N.Y.: RoutledgeFalmer.

Leki, I. (2nd ed.). (1998). *Academic Writing. Exploring Processes and Strategies.* Cambridge: Cambridge University Press.
Smalley, R. L., Ruetten, M. K., & Kozyrev, J. R. (5th ed.). (2001). *Refining composition Skills - Rhetoric and Grammar.* Boston: Heinle & Heinle, Thomson Learning.
Swales, J. M., & Feak, C. B. (1994). *Academic Writing for Graduate Students*. Michigan: The University of Michigan Press.

დამატებითი ლიტერატურა:

Craswell, G. (2005). *Writing for Academic Success: A Postgraduate Guide.* London: SAGE Publications.
Ede, L. (2001). *Work in Progress: A Guide to Academic Writing and Revising.* (5th ed.). Boston and N.Y.: Bedford/St. Martin's.
Giltrow, J. (ed.). (2002). *Academic Reading: Reading and Writing in Disciplines.*
Hewings, M. (2002). *Writing in Context: Implications and Applications.*
Jordan, R. R. (3rd ed.). (1999). *Academic Writing Course.* Harlow: Longman, Pearson Education Limited.
Rosen, L. (2005). *Handbook of Academic Writing.*
Sorenson, S. (3rd ed.). (2002). *How to Write Research Papers.* New York: Macmillan Reference USA.
Teitelbaum, H. (4th ed.).(1998). *How to Write a Thesis.* Boston: Arco, Thomson Learning.
http://www.apa.org/
http://www.ceu.hu/writing/sfaccess.html
http://www.criticalreading.com/
http://www.csuohio.edu/writingcenter/
http://www.esc.edu/htmlpages/writerold/
http://www.powa.org/
http://www.refdesk.com/citations
http://www.rpi.edu/dept/llc/writecenter/web/index.html
http://www.utoronto.ca/writing
http://webster.comment.edu/
http://www.wisc.edu/writing/
http://writing.richmond.edu/writing/

სწავლის შედეგი:

მოცემული კურსის საფუძველზე, სტუდენტები პრაქტიკულად გაეცნენ აკადემიური წერის ოთხ ძირითად ჟანრს: არგუმენტირებულ ესეს, რომელმაც გააცნო სტუდენტებს საკუთარი არგუმენტების პრეზენტაციისა და შესაბამისი მხარდაჭერით განმტკიცების, აგრეთვე, კონტრარგუმენტების უკუგდების ტექნიკა; კრიტიკას, რომელიც ემსახურება კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარებას სტუდენტებში; ანალიტიკურ რეფერატს, რომლიც ასწავლის სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების შეჯამებას, ანალიზს, კონტექსტუალიზაციას და მათზე რეფლექსიას; კვლევით ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს სტუდენტებისათვის მეგზურს წარმატებული საკურსოს დასაწერად და ამზადებს სადიპლომო ნაშრომების შესაქმნელად. ამასთან ერთად, სტუდენტებმა გაიცნეს პლაგიატობის თავიდან აცილებისა და ციტირების სწორი ტექნიკა, მსოფლიოში აღიარებული ფორმატის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის მითითება და პრეზენტაციების მოწყობის ხელოვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგუმენტირებული ესეს შეფასება

	სანიმუშო	კარგი	დამაკმაყო-ფილებელი	არადამაკმაყო-ფილებელი
ნაშრომის სტრუქტურა	ნაშრომი სანიმუშოდაა ორგანიზებული. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და ეფექტურადაა გამოყენებული.	ნაშრომი კარგად ორგანიზებულია. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და უმეტესად ეფექტურადაა გამოყენებული.	ორგანიზების მცდელობა. ან ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა, მაგრამ არ არის ეფექტურად გამოყენებული, ან ერთ-ერთი ელემენტი აკლია.	არაორგანიზებული. არაერთი სტრუქტურული ელემენტი აკლია.
პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა	პარაგრაფები სანიმუშოდ განვითარებული და ლოგიკურია.	პარაგრაფები კარგადაა განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიოდულად აკლია საჭირო დეტალი.	პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებ ლოგიკურია.	პარაგრაფები არ არის განვითარებული. ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით.
სტილი და ენა	სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა.	კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში.
საკუთარი არგუმენტების დასაბუთება	ავტორის არგუმენტები ძლიერია და დამაჯერებლადაა დასაბუთებული.	ავტორის არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია და კარგადაა დასაბუთებული.	ავტორის არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ აკლია დასაბუთება.	ავტორის არგუმენტები ნაკლებ დამაჯერებელია და არ არის დასაბუთებული.
კონტრ-არგუმენტების გათვალისწინება და უკუგდება	კონტრარგუმენ-ტები გათვალის-წინებული და წარმატებით უკუგდებულია.	კონტრარგუმენ-ტები გათვალის-წინებული და უმეტესად უკუგდებულია.	კონტრარგუმენ-ტების გათვა-ლისწინების მცდელობა, თუმცა ისინი ნაკლებადაა უკუგდებული.	კონტრარგუმენ-ტები არ არის გათვალისწი-ნებული და უკუგდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკის შეფასება

	სანიმუშო	**კარგი**	**დამაკმაყოფილებელი**	**არადამაკმაყოფილებელი**
წვდომა	ავტორი ღრმად სწვდა სტატიას და მასში მოცემულ ძირითად არგუმენტებს.	ავტორმა სათანადოდ გაიგო სტატია და მასში მოცემული ძირითადი არგუმენტები.	ავტორს მხოლოდ ზედაპირულად ესმის სტატია და მასში მოცემული ძირითადი არგუმენტები.	ავტორს არასწორად ესმის სტატია და ვერ ახდენს ძირითადი არგუმენტების დიფერენციაციას.
შეფასება	ავტორი ავლენს კრიტიკული აზროვნების სანიმუშო უნარს. ის განიხილავს ყველა ძირითად არგუმენტს, ახდენს მათ ღრმა ინტერპრეტაციას, ანალიზს, შეჯამებასა და შეფასებას.	ავტორი ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს. ის განიხილავს ყველა ძირითად არგუმენტს, კომპეტენტურად ახდენს მათ ინტერპრეტაციას, ანალიზს, შეჯამებასა და შეფასებას.	ავტორი ცდილობს კრიტიკულად გააანალიზოს სტატია, მაგრამ ზოგიერთი ძირითადი არგუმენტი არ არის სათანადოდ ინტერპრეტირებული, შეჯამებული და შეფასებული.	ავტორი ვერ ახდენს სტატიის კრიტიკულ ანალიზს. ძირითადი არგუმენტები არ არის ინტერპრეტირებული და შეჯამებული. მათი შეფასება არაადეკვატურია.
ნაშრომის სტრუქტურა	ნაშრომი სანიმუშოდაა ორგანიზებული. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და ეფექტურადაა გამოყენებული.	ნაშრომი კარგად ორგანიზებულია. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და უმეტესად ეფექტურადაა გამოყენებული.	ორგანიზების მცდელობა. ან ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა, მაგრამ არ არის ეფექტურად გამოყენებული, ან ერთ-ერთი ელემენტი აკლია.	არაორგანიზებული. არაერთი სტრუქტურული ელემენტი აკლია.
პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა	პარაგრაფები სანიმუშოდ განვითარებული და ლოგიკურია.	პარაგრაფები კარგადაა განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიოდულად აკლია საჭირო დეტალი.	პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებლოგიკურია.	პარაგრაფები არ არის განვითარებული. ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით.
სტილი და ენა	სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა.	კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიტიკური რეფერატის შეფასება

	სანიმუშო	კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
ძირითადი საკითხების იდენტიფიკაცია და კონტექსტუალიზაცია	ავტორი ავლენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების სანიმუშო უნარს.	ავტორი ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას და ცდილობს მათ დაკავშირებას ფართო კონტექსტთან.	ავტორი ცდილობს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას, მაგრამ ყველა მათგანი არ არის გამოყოფილი. მათი ფართო კონტექსტთან დაკავშირების წარუმატებელი მცდელობა.	ავტორი ვერ ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციასა და კონტექსტუალიზაციას.
პოზიცია, ანალიზი, შეფასება	სანიმუშო შედარებითი ანალიზი. ავტორი ახდენს სტატიათა ავტორების პოზიციების დიფერენციაციასა და შეფასებას, იმავდროულად გვთავაზობს რა მის კარგად დასაბუთებულ პოზიციას.	ავტორი ახდენს სტატიათა ავტორების პოზიციების სათანადო დიფერენციაციასა და შედარებით ანალიზს, მაგრამ მისი პოზიცია არ არის ნათლად დასაბუთებული.	შედარებითი ანალიზისა და სტატიების ავტორთა პოზიციების შეფასების მცდელობა, მაგრამ ძირითად არგუმენტებს აკლია დასაბუთება და ამიტომ ავტორის პოზიცია უფრო ბუნდოვანია.	ავტორი არ ახდენს შედარებით ანალიზსა და სტატიების ავტორთა პოზიციების შეფასებას, მისი პოზიციაც არ არის ჩამოყალიბებული.
ნაშრომის სტრუქტურა	ნაშრომი სანიმუშოდაა ორგანიზებული. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და ეფექტურადაა გამოყენებული.	ნაშრომი კარგად ორგანიზებულია. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და უმეტესად ეფექტურადაა გამოყენებული.	ორგანიზების მცდელობა. ან ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა, მაგრამ არ არის ეფექტურად გამოყენებული, ან ერთ-ერთი ელემენტი აკლია.	არაორგანიზებული. არაერთი სტრუქტურული ელემენტი აკლია.
პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა	პარაგრაფები სანიმუშოდ განვითარებული და ლოგიკურია.	პარაგრაფები კარგადაა განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიოდულად აკლია საჭირო დეტალი.	პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებ ლოგიკურია.	პარაგრაფები არ არის განვითარებული. ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით.
სტილი და ენა	სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა. გამოყენებული ლიტერატურა სრულად და სწორადაა მითითებული.	კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულად და სწორადაა მითითებული.	მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულადაა მითითებული, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით.	არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა არასრულად და არასწორადაა მითითებული.

n 108/412

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევითი ნაშრომის შეფასება

	სანიმუშო	კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
შესავალი	ეფექტური შესავალი, პრობლემის ნათელი დეფინიციითა და დეტალური საფუძველმდებარე ინფორმაციით.	პრობლემა განსაზღვრულია ადეკვატური საფუძველმდებარე ინფორმაციითა და დეტალებით.	პრობლემა არ არის ნათლად განსაზღვ- რული და აკლია საჭირო დეტალი. საფუძველმდებარე ინფორმაცია არ არის ადექვატურად ახსნილი.	პრობლემა არ არის განსაზღვრული. საფუძველმდებარე ინფორმაცია ბუნდოვანია ან არ არის დაკავშირებული პრობლემასთან.
ძირითადი ნაწილი	გამოყენებული წყაროების შედარებითი ანალიზი და კრიტიკული შეფასება სანიმუშოა.	გამოყენებული წყაროების შედარებითი ანალიზი კარგია, მაგრამ გარკვეულწილად აკლია კრიტიკული შეფასება.	შედარებითი ანალიზის მცდელობა, მაგრამ აკლია კრიტიკული შეფასება.	შედარებითი ანალიზი ბუნდოვანია. კრიტიკული შეფასება არ არის მოცემული.
დასკვნა	ძირითადი საკითხები სანიმუშოდაა შეჯამებული და არ არის განმეორებადი. დასკვნები და რეკომენდაციები ლოგიკურია და კავშირშია საკვლევ პრობლემასთან.	ძირითადი საკითხები კარგადაა შეჯამებული და ნაკლებ განმეორებადია. მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც კავშირშია საკვლევ პრობლემასთან.	ძირითადი საკითხები ზოგადად შეჯამებულია, მაგრამ განმეორებადია. რეკომენდაციები თუ საკუთარი შეხედულებები არ არის მოცემული.	ძირითადი საკითხები არ არის ადექვატურად შეჯამებული. რეკომენდაციები თუ საკუთარი შეხედულებები არ არის მოცემული.
გამოყენებული ლიტერატურა	მინიმუმ 5-6 წყაროა გამოყენებული. ყველა წყარო საკვლევი პრობლემის რელევანტურია. ისინი სრულად და სწორადაა მითითებული.	5 წყარო მაინც არის გამოყენებული. ყველა წყარო საკვლევი პრობლემის რელევანტურია. ისინი სრულად არის მითითებული, მაგრამ რამოდენიმე არ არის სასურველ ფორმატში.	5 წყაროზე ნაკლე ბია გამოყენებული. ისინი სრულად არის მითითებული, მაგრამ მათი ნაწილი არ არის სასურველ ფორმატში.	4 წყაროზე ნაკლებია გამოყენებული. ისინი არ არის სრულად მითითებული, უმრავლესობის ფორმატი არასწორია.
სტილი და ენა	სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა.	კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში.	არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში.



K 24.59

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე გამოყენებულია კარლო კაჭარავას ნახატი „მარტოობა“